

საქართველო




თ ვ ი უ რ ი

# ქრეშელო

წელიწადი მეორე

№ III

მ ა რ ტ ა, 1899



ქუთაისი  
ლამბაშიძის სტამბა \* Типография Гамбашидзе  
1899

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ზირველი განყოფილება.

		83.
I	ნეკროლოგი . . . . .	1—6
II	ღღვანდელი ჩვენი საჭიროება აკაკის . . . . .	7—17
III	ახირებული სტუმრობა, ლექსი აკაკის . . . . .	19—21
IV	მწიკი, ლექსი კოლხიდელის . . . . .	23—24
V	არამი ლუკმა კაცს არ უმერგება— (ამბავი), თ. ხუსკიფაძის . . . . .	25—50
VI	გობტგოლდ ლესნიგნი, ხომელელის . . . . .	51—74
VII	საქართველოდ დედა-ძალაძი ტვილი- ნი, (გაკრძ.) შ. ჯანაშვილის . . . . .	75—104
VIII	ქართული ძველი თქმულებანი, გულ- ბათის, თარგ. ა. შელიქოვის . . . . .	105-115
IX	კავკასიის სამოსწ. ოლქის მგრუნვ. 1897 წ. ანგარიზისა გამო, ჳამუთბეის . . . . .	116-132


### მეორე განყოფილება.

I	მასალები ქრისტიანობის დაცემის ჭ ისლამის გავრცელების ისტორიისა დასავ. საქართველოში (გაკრძ.) შ. ჳ. სოფელი წევა, (გაკრძ.) ს. გაჩეჩილაძის . . . . .	1—24
II	სოფელი წევა, (გაკრძ.) ს. გაჩეჩილაძის . . . . .	25—40
III	განცხადებანი.	

ს ს ს ს ს ს




თ ვ ი უ რ ი



წელიწადი მეორე

№ III

მ ა გ ო ა, 1899



ქუთაისი

ღამბაშიძის სტამბა \* Типография Гамбашидзе

1899

000000



0 2 5 0 8 0

000000

Дозволено Цензурою. Тифлиси, 18 марта 1899 г.

000000

000000

000000

0000

## შ ი ნ ა პ რ ს ი:

### ზირველა განყოფილება.

		83.
I	ნეკროლოგი . . . . .	1—6
II	ღღვანდელი ჩვენი საზიროება სკაკისა	7—17
III	ახირებული სტუმრობა, ლექსი სკაკისა.	19—21 ✓
IV	მწირი, ლექსი კალხაიჯიასა . . . . .	23—24
V	არამი ლუკმა კაცს არ შეერგება— (ამბავი), თ. ხუსკივაძისა . . . . .	25—50
VI	გობტგოლდ ლესინი, სომეჯიასა . . . . .	51—74
VII	საქართველოს დედა-ქალაქი ტფილი- სი, (გაგრძ.) მ. ჭანაშვილისა . . . . .	75—104
VIII	ქართული ძველი თქმულბანი, გულ- ბათისა, თარგ. ა. შელიქიჯიასა. . . . .	105-115
IX	კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნვ. 1897 წ. ანბარიზისა გამო, ჭამუთ-ბეისა.	116-132

### მეორე განყოფილება.

I	მასალები ქრისტიანობის დაცემის ღ ინლაშის გავრცელების ისტორიისა დასავ. საქართველოში (გაგრძ.) ნ. ჭ. . . . .	1—24
II	სოფელი წევა, (გაგრძ.) ს. კახეიჯიასა	25—40
III	განცხადებანი.	

## ს ე კ რ ო ლ ო ზ ი .

ამ წლის 22-ს იანვარს გამოეთხოვა წუთი-სოფელს მელქისედეკ ფალავას მეუღლე, მურძაყან ფალავას ასული დარია, რომელიც ძველებურად იყო აღზრდილი ზუგდიდის მაზრაში, სოფელს ზანას პაპა-მისის აფაქიძის ოჯახში.

მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ყველა შეაძრწუნა!.. არა თუ მისი ნათესავ-მოყვრები, გარეშეებიც კი იგლოვენ. ის იყო ერთი უკანასკნელ ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დრო და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია!.. ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი, ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარ-შვილისათვის თავ-დადებული, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტკბილ-მოქართულე, მართლა რომ მადლსა ჰფენდა გარეშემოს. მართალია, ის არ იჩენდა მისთანა თვალ-საჩირო რამ ღირსებას, რომლითაც ზოგიერთებს დღეს თავი მოაქვსთ, მაგრამ სამაგიეროდ კი განუშორებლად ყოველთვის ეწერა სახეზე: „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაო!“ ბატ. ილია პონტელმა წერილი უძღვნა მის სახსოვარს და ის წერილი იმდენად საგულისხმოა, რომ საჭიროდ დავინახეთ, ჩვენის მკითხველებისათვის „კრებულში“ გადმოგვებეჭდა უმეტესაკლებოდ:

## სასიქადულო ქალას ხსოვნას.

რასთვის არის ასე მოწყობილი ადამიანის ბუნება, ადამიანის გული? რასთვის არის, რომ ღირსეულს, სთაყვანო ადამიანს სიტყვებშივე თაყვანს არა ვცემთ და მხოლოდ მაშინ ვიკრძნობთ მის სიკეთეს, როდესაც იგი ჩვენთვის სპეციალურად დაკარგულია? უკეთესი კი იქნებოდა სხვათა წასაქვებლად, რომ რჩეულ ადამიანთა შუბლი აქვე სიტყვებშივე შეგვეშვა დაფინანს გვიარგვინით და მათ სადიდებლად ციურს ხმაზე მოგვეწუო ჩანკი. ამგვარი ზეტავისცემა უქველად გაურკვევებდა ძალას რჩეულს ადამიანს და, ვინ იტის, რამდენს სხვებსაც გამოიწვევდა მის წასაბაძავად. უკულა ადამიანი ზეტავის მოუვარკა და მისი მოღვაწეობაც უწინარეს ეოვლისა ამ ზეტავის მოსახვეჭად არის მიმართული. ამბობენ, ზოგიერთი დიდ-ბუნებოვანი კაცები, გენიოსები ამ ქვეყნის წამიერს დადებან, სახელს არად სთვლიანო. ისანი მხოლოდ ზეცისა და უკვდავების შესახებ ოცნებობენო. ეკ მართალია, მაგრამ ჩვენი ცხოვრება მარტო გენიოსთა შრომით არ წარმართება. გენიოსები ძალიან იშვიათად მოკვლენებიან ქვეყნას და მარტო იმათგან რომ იუთს დამოკიდებული ეროვნულის ცხოვრების წინსვლა, გაუმჯობესება, უნუკეშო მდგომარეობაში ვიქნებოდით. ერის ეოვლადდიურ ცხოვრებას აცისკროვნებს ცხოველმყოფელის შუქით მუდმივი მოღვაწეობა იმ ადამიანთა, რომლებიც გენიოსებად არ ჩაითვლებიან, მაგრამ ზიარადი ზნეობრივი ძალა აძლევს მათ უზიარატყრობას ბრბოს წინაშე და ბრბო ხომ უმეტესობას შუადგენს თითქმის უკულა საზოგადოებაში. აი, ამისთანა მოღვაწეებს უნდა ზეტავისცემა

სინოცხლეშივე, რადგან ისინი ამ ქვეყნიურ ჯილდოს დიდად აფასებენ. მაგრამ, ჩვენდა სამარცხეანოდ, ჩვენი გულძვირობა, ჩვენი ხარბობა არ გვაძლევს ნებას დროზედ აღვიართო ჩვენი ნამდვილი გრძნობები. ზოგჯერ კიდევ გვერცხვინება აღტაცების გამთქმა რომელსამე დირსეულს კაცის შესახებ, რაოდეს ბავშური გულ-შურვეილობა არ დაგვწყამანო. ამ აზრებმა გამარბინა თავში დღეს უდროოდ გარდაცვალებულის დარია ფაღვას გასვენების დროს.

ამ უკანასკნელის სამის დღის განმავლობაში ქუთაისის ქართველ საზოგადოებას რომ დაჰქვირიბოდათ, სწორედ გატაკვირვებდათ მისი არა ჩვეულებრივი მოძრაობა და თან გულს გატაკნდათ მისი მკუხარება. დიდი თუ ზატარა, ქალი თუ კაცი — ყველა სვედიანის სახათ მიეშურებოდა ერთს ადგილას — იმ სასაღმრთო, სადაც ესვენა ახლად მიცვალებულის დარია ფაღვას გვამი. მიდიოდნენ უკანასკნელად მის სახასხავად, გამოსათხოვრად ისეთებიც-კი, ვანც მხოლოდ შორიდან იცნობდა ამ ზატარას ქალს. მართლაც, ქუთაისში დაახლოებით ბევრი არ იცნობდა დარია ფაღვას, მაგრამ ამისდა მაუხედავად, ბევრმა სტა ზატავი მის სსოვნას და მსურვალე გულით იტარა. სხანს, ეგეთია გავლენა ზნეობით მადლის ადამიანისა, რომ უცნობებსაც მისწვდება მისი ცხოველმყოფელი შუქი. სახე ხომ სარკეს ადამიანის სულისა და მართლაც დარია ფაღვას სახე ნამდვილი სარკე იყო უმანკო, შუბღაღვას სულისა; დარიასთან სათხოების გამომსატველი ქალის სახე დღეს ჩვენში იშუათად მოიპოვება. ან რა საკვირველია რომ სათხოების ელოფერი ჰქონდა იმ ქალის სახეს, რომლის სარწმუნოებრივი გრძნობა, ღუთის მიმართი სსოება მართლაც რომ სამაგალითო იყო ჩვენის დროისათვის. ბევრი რამ კარგი მოგვატანა ახლმა დრომ განათლებით და საზოგადო განვითარებით, მაგრამ, ამისდა მაუხედავად, ზოგჯერ ძალიან მწყა-



რედ ვტირით. ვტირით მისთვის, რომ არ გვასვენებს „სულა ურწმუნო“... ჭეშმარიტად ამ „ვაკლას დედას შვილი არ ჰქვარება“, რომელსაც შვილის გულში მამულის სიყვარულთან ერთად სარწმუნოებრივი, ქრისტიანული გრძნობა არ ჩაუღვებთ. ის დედა მტერია შვილის, რომელსაც ბავშვის აღზრდის საფუძვლად სარწმუნოებრივის გრძნობის ვითარება არ მიაჩნია. ამისთანა დედა უმზადებს საზოგადოებას „სულა ურწმუნო, გულთ უნდა“ წევრს, რომლისგანაც არა გამოვარა. ღარია ფაღვავა იყო განმსჭვალული სარწმუნოებრივის გრძნობით და უთუოდ ამ გრძნობას შვილებსაც კარდარტყმდა. მოვა დრო, როდესაც მისი შვილები დააფასებენ ამ გრძნობის სიდადეგს და მადლობით მოახსენებენ სათნობათ მისიღს დედას. იქნება ვინმემ სთქვას, — ღარია გაუნათლებელი ქალი იყო და მისთვის იყო ეკეთი მორწმუნეა. ეკ შემცდარი აზრია. ესლანდელს დროში ხშირი მოვლენაა, რომ გაუნათლებელი ქალებიც სრულიად მოკლებულნი არიან სარწმუნოებრივის გრძნობას და არ იციან ვინ აწამონ ან რა აწამონ... მართალია, ღარია ფაღვავას არ მიეღო ჩვენი დროინდელი განათლება, მაგრამ ამოდენად ნაკითხი იყო ქართულს ენაზედ, რომ გონების განვითარება ნების აქლევდა მას შეგნებულად ეყურებინა სარწმუნოებისათვის და ცნობების დედა-ბოძად გაეხადა იგი.

მოელმა ქუთაისის საზოგადოებამ იგრძნო-მეთქი, რომ ღარას სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო მისთვის და კიდევ ამისათვის ჰკლავოდა. 24 ამ თვეს ქართული წარმოდგენა იყო დანაშნული ქალაქის თეატრში, მაგრამ გადაიდო. განცხადებაში წავიკითხეთ, რომ წარმოდგენა გადაიდო ვნებინა ღარას სსოების ზეტავსაცემად. ესეც უტყუარო საბუთია იმისა, რომ ღარია ღირსეული ქალი იყო. სხვათა შორის, ჩვენის სსსცხეო ხელფუნების ხაჭაურა წარმომადგენელი ბ-ნი ალექსი —



მესხაშეალი თავის ამხანაგებით დაესწრო დარაის კასკეპებს და, ვკონებ, გვარგვინი დადო მის კუბოს; დაესწრო აგრეთვე კასკეპებს და გვარგვინი დადო ქუთაისის მოზარდმა ახალგაზდობამ. ამ მოზარდს ახალგაზდობას, ყვავილს ჩვენის ცხოვრებისს, დიდ ხანს მიჰქონდა დარაის კუბო და დასტორიდა ისე, როგორც სუფარულს დედას. სხვათა ცრემლიან ბეჭრი დაიღვარა, მაგრამ ისინი რა სხსენებელაა ბავშვების წმიანდა ცრემლთან! დიდხანს ვერ დაივიწყებს ქუთაისი დარაი ფაღვას განსვენების.

ვატი, ბეჭრი გაკვირვებით იკითხავს,—მერე რით დაიმსახურა ამისთანა ქება-დიდება, ამისთანა უურადლება ერთმა კაუნთლებულმა ქალმა; რა საქმეებში გამოიხატა მისი სწოკადო მოღვაწეობა? ამის ზსუხის მოკება ძალიან ადვილია, თუ არ დავივიწყებთ, რომ მარტო ლიტერატურულს მოღვაწეობით არ აღიწევებს ქალის ღირსება? ეველგან და განსაკუთრებით ჩვენში ქალის მოღვაწეობის ანზარეზი ერთობ ვაწროდ არის შემოფარგლული. რად უნდა დავკმდუროთ ჩვენს ქალებს, როდესაც კაცებს უფრო ფართო სარბიელი აქვთ ცხოვრებაში და მაინც ბეჭრი ვერაფერი გაუკეთებიათ! მე დიდად ვაფასებ ქალის ზნეობრავს კავლენას კაცის ცხოვრებაზედ და ისიც სკამარისად მიამჩნია ჩვენს დროში, თუ ქალი თავის ღვთიურს დანიშნულებას ერთგულად და ზარნათლად ემსახურება. ეკ ღვთიური დანიშნულება გამოიხატება მეუღლეობითა და დედობით. ის ქალი, რომელიც ამ დანიშნულებას არ გაურბის და ზნეობრავ სოფუსველად კანდომია ოჯახს, თავისინიცმის ღირსია. დარაი ფაღვაც ამგვარი ქალი იყო და სწოკადობამ მისი ღვაწლი დიდ ღვაწლად მიამჩნია. რასაკვირველია, სადმე იდეალურს სწოკადობებაში რომ ვსცნოვრობდეთ, ამგვარი ღვაწლი არ გაკვაკვირვებდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეველგურს შედარებითი ფასი აქვს, და იდეალური სწოკადობის

როგორც ჩვენში არ მოიხილება, არც სადმე მოელს დედამაწახე მოიძიებება. ღარა ფაღავას წილი ჰქონდა სხვაგვარ მოღვაწეობაშიაც: მან წიგნთ-საცავი დააფუძნა თავისს სოფელში და ამით მდაბიო ხალხის განათლებას ხელს უწყობდა; ღარიბ სტუდენტებისა და მოწაფეების სასარგებლოდ წარმადგენებს მართავდა; თავს არ იზოგავდა საქვეყნო საქმისათვის; გულმხურვალე მოტრფიალე სამშობლოსი ნამდვილს შუაღებს უზრდიდა მამულს. თუ ვეგლავიერს ამას გაითვალისწინებთ, ღარა ფაღავას ხსენებისთანავე წარმოგიდგებათ ბრწყინვალე სახე „მატრონას“, ამ რომაელის ოჯახის დედისა, რომელსაც ისტორიკოსები ისეთის ქებით იხსენიებენ. ღარა ფაღავა რომ სასიქადულთა ქალი არ ეოთვილიყო, მისი საკვდილი არ გამოიწვევდა საერთო მწუნარებას. აწ ის დაგვრჩენია ვეგლავს სატირლად, რომ უღმობელმა საკვდილმა კვრე უღროდ მოგვკლო მომხაბლავი გავლენა ხატოისხის ქალისა, მოგვიხმო შესამხნევი ხსეობრავი ძალა, მოგვიხმო მადღას გრძობით აღსავსე გულა. („ივერ.“)



## დღევანდელი ჩვენი საჭიროება.

პირველი ნაბიჯი თუ უკულმართად გადაიდგა, წაღმა სიარული შეუძლებელია, და წყალი თუ სათავეში აიძღვრა, ბოლოში ველარა გასწმენდს რა!.. ასე მოუვიდა, სწორედ, ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკსაც: მისი პირველი ნაბიჯი, წინ დაუხედაოპისა და შორს ვერგამჭვრეტელობის გამო, უკულმართი იყო და მისი მიმდინარეობაც იმ თავითვე აიძღვრა. ამას ზოგიერთები წინდაწინვე გრძნობდენ და სამწუხაროდ კიდევ გამართლდა მათი მოლოდინი. რაც მხოლოდ წამხედურობით კეთდება და არა შეგნებულ მოთხოვნელობით, ის, ყოლიფერი, სასაცინოა და საუკულმართო. ჩვენშიც ბანკის დაარსება, მისის სახაფანგო წესდებით, წამხედურობა იყო მხოლოდ და სხვა არაფერი: უხსოვარ ღროიდან საქართველო სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული და მისი შვილები—რაინდ-მეომრები, ბრძოლის ველზე ათენ-ალამებდენ. სააღებ-მიმცემო ანგარიში მათი საქმე არ იყო! ვაჭრობა და სხვა და სხვა გვარი ხელოსნობა სომხებთან და ურიებთან ერთად ეპირათხელში მხოლოდ მისთანა ქართველებს, რომელნიც საპყარობისა, ანუ სხვა რაიმე უვარგისობის გამო, ომში ველარ გამოდგებოდენ.



ჩვენ მამა-პაპებს, რაც კი მათის ცხოვრებისას დასაჯა, საჭირო იყო, შინავე ჰქონდათ მზად. ოქრო და ვერცხლი ზედ-მეტე იყო და რაღაი კი იარაღს გააქედინებდნენ, დანარჩენი მერე თიხის ჭურჭლით ან მიწაში უნდა წაეფლათ და ან საჩუქრად გადაეყარათ მათთვის, ვინც მათ გულს მოიგებდა.

აღებ-მიცემობასაც ისე, როგორც ყოველგვარ საწარმოებელ ხელობას, თავისი შკოლა უნდა და ტრადიცია. სომხებმა და ურიებმა იცოდნენ ფულის გემო, მიწვეული იყვნენ ძველადგანვე მოხმარებას, და ქართველი კი ყოვლად ხამი იყო მისი. და ამისთანა ხალხს ბანკმა მისცა შემთხვევა, რომ ფული ხელში ჩაეყარა.

აქედან რომ საკეთილო არა გამოვიდოდა რა, ეს აღრიდანვე კიდევ დაგვიმტკიცა „პრიკაზმა“, რომელმაც ქართლ-კახეთი ჩაითრია და სიკვდილის პირად მიაყენა; მაშინ როდესაც იმერეთში, სადაც „პრიკაზს“ ხელი არა ჰქონდა, არც ერთი მამული დაგირავებული არ ყოფილა. ეს მოსაზრება გადავეცი განსვენებულ ბ. ლოლაბერიძეს, მაგრამ აი რა მიპასუხა: „ეგ ყოლიფერი მართალია, მაგრამ მე იმედი მაქვს იმერლების წინ-და-ხედულობისა და შორს გამჭვრეტელობისაო“. იმერლების შორს გამჭვრეტელობაზე ჩვენც თანახმა ვართ, მაგრამ ამგვარ შემთხვევაში მართო ეს არ კმარა: შეიძლება კაცი დიდი ჭკუა-გონების პატრონი იყოს, მაღალ-ნიკიერიც, რომელიმე საზენაო საქმეში დაგვირგვინებულ-სხივოსანი, მაგრამ ცხოვრებაში გამოსაყენებელ საწვრთლმანო კანონების კი უვიცი და უმეცარი... ცხოვრების ყოველ-დღიური ავ-კარგი უფრო საქვეყნოა და განა ყველას შეუძლია რომ გული დაუღვას და წინ წაუძღვეს მას? მაშინდელი ჩვენი შიში რომ უსაფუძვ-

ლო არ იყო, დღეს ამას ყველა ჰხედავს: ვაკარგავთ იმას, რაც საუკუნოების განმავლობაში მამა-პაპების სისხლითა და ოფლით იყო მოპოებული და რისიკ დაბრუნება ჩვენ შვილსა და შვილიშვილებს აღარ შეუძლიათ. სიღარიბე ხშირად გზა და ხილია ხოლმე მრავალ-გვარ ბიწიერების, და ამ სახითათო ბანკმაც ქონებრივ სიგლახაკეს გარდა, სხვა ქირსაც გადაგვიკიდა, კიდევ უფრო უარესს: შეგვატოპია ზნეობრივ სიგლახაკეში და ნელ-ნელა გვითრევს... ეს ის ზღაპრული გველეშაპია, რომელიც საყდარს შემოეგვერგვებოდა და შიგ აღარავის უშვებდა ხოლმე!..—ეგებო ვინმემ იფიქროს, აქ მაინც რა შუაშია ბანკიო? და აი ჩვენი პასუხი: ამ 30 წლის წინად ჩვენში ინტელიგენტებს, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, სტუდენტებს დიდი სახელი და ძალა ჰქონდათ. იმათი მაშინდელი მოღვაწეობა დღესაც კიდევ სამაგალითოდ მიაჩნიათ და ნაყოფიერად სთვლიან აქამომდე. „მათ შემდეგ თავი ველარავინ იჩინაო“—ამბობენ გულ-დაწყვეტით. „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქმნაო“ ნათქვამია, და, თუ ამას შევხედავთ ჩვენც, მართლა რომ მაშინდელები ახლანდელებზე უფრო დიდად გვესახებიან. საკვირველია!... დღევანდელი ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, მაშინდელზე უფრო მომზადებული და განვითარებულია, და რიცხვითაც თვითოზე ას-ასი მოდის. მაშინდელი ინტელიგენტი ხელ-მოკლევობისა და მარტოობის გამო ყოლიფერს ეპოტინებოდა, რომ საოჯახო ცეცხლი არ გამქრალიყო, მისი დრო და შრომა ათას გვარად იყო განაწილებული; გულდასმით და საკუთრად ერთ რომელიმე საქმეს ეერ დაუჯდებოდა!... აქაც იყო და იქაც!—დღეს კი იმდენი არიან ჩვენში ინტელიგენ-

ტები, რომ თვითვეულ მათგანს შეუძლია ერთ რომელიმე არაყულ საგანს დაუდვას გული და სხვებზე აღარ იფიქროს. მაშინ ნაყოფიც უფრო ბარაქიანი იქნება აღრინდელზე, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერა ვხედავთ! ეს მისი ბრალია, რომ დღევანდელი მოღვაწეები წინანდელგებად შეთანხმებით კი არ მოქმედობენ, პირიქით ერთმანერთს ეჯიბრებიან!... უხდენენ საქმეს. და ეს სულ არაყენების ბრალია!...

აღრინდელი ახალ-თაობა, ანუ ეგრედ წოდებული სტუდენტები, საზოგადო საქმეს, გინდ მცირედიც ყოფილიყო, ისე უყურებდენ, როგორც „წმინდათა-წმინდას“ და ხელსახოცადა და პირბადედ კი არა ჰქონდათ გახდილი დღევანდელგებად. მათი ერთმანეთ-შორისი თანხმობა და კავშირი სამაგალითო იყო. კერძოდ, პირადად, რომ ერთმანეთის მტრებიც ყოფილიყონ, საზოგადო საქმეში მაინც საერთო იყო მათი ჰირიცა და ლხინიც. ერთმანეთის დაუკითხავად, თუ რჩევა არ ექმნებოდათ, მეტირობით, თავხედად საქმეს არ გამოუდგებოდენ. სიტყვა: „სტუდენტი“, „ანასტუდენტარი“ „მოღვაწე“ და „წვენი მომხრე“ საკმაო იყო, რომ წრეში შემორეულიყო, რასაკვირველია, თუ კი ღირსად დაიქერდა თავს. მაშინდელი ინტელიგენტები, თვითქოს ერთი სახლის წევრები არიანო, დაახლოებული იყვნენ ერთმანეთთან. მაგალითი ბევრი იყო, რომ შორს მყოფი რომელიმე მოღვაწე, პირადად ჯერ კიდევ არ იყო გაცნობილი, მაგრამ წრესთან კი მიწერ-მოწერა ჰქონდა და წრეც მასთან დაახლოებული იყო. ძველები ახლებს ელოდენ სიყვარულითა და სიამით და ახლებიც ძველებსაკენ მიისწრაფოდენ. ერთი-მეორეს კარგად იცნობდენ. დღეს კი ხშირად შეხვდებით ჯალარა-გამო-

რეულ ინტელიგენტს და როცა ჰკითხულობ მის ვინაობას, გეუბნებიან: „ეს ის კაცია, რომელმაც ამა და ამ წელში მაღალი სასწავლებელი ოქროს მედლით გაათავაო!“... მერე და აქამდე სად იყო, რომ ვერ ვიცნობთ?—ალბად საქმე არა გქონიათ მაგის ხელობის შესაფერი და ვერ შეხვედრიხართო!.. ერთი ადვოკატიაო, მეორე პედაგოგი, მესამე მოსამსახურე და ამგვარადო. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ თავის ვიწრო წრიდან არ გამოდიან და საზოგადო, საერო სარბიელი მათთვის არ არსებობს.

მათი ამგვარი სიბრთხილე და განმარტოება შიშით არის გამოწვეული: ვაი თუ უკუღმართობად ჩაგვეთვალოს თან-შობილი გრძნობისა და დაფარული სურვილის აყოლაო?!... პეტრესავით უარ-ჰყოფენ ქემარტიტებას, მაგრამ განსხვავება კი ის არის, რომ პეტრეს უარის ყოფა წამითი იყო... მან მაშინვე შეინანა და ჩვენი პეტრეები კი სიკვდილამდე უარის-მყოფლებად რჩებიან. ეჰ, ამათ თქვენი ქირი წაიღონ!... ესენი გულით მაინც კეთილის მსურველები არიან, და თუ არას გვიკეთებენ, არ გვიხდენენ მაინც რასმე.— მაგრამ არიან კიდევ სხვებიც მეორე დარგის ანალგაზღვები, რომელთაც თვისი სიჩუმეცა და ყვირილიც საპირადო საჭურველად აქვსთ გადაქცეული: ეს ვაჟბატონები ისეთის რიხითა და მედიდურობით გამოდიან ცხოვრების სარბიელზე, რომ ბაყბაყ-დევს არ ჩამოუვარდებიან. ვინ არიან? საიდან მოსულან? და სად მიდიან? უკან ბარგად არა მისდევთ რა!.. წინ საგზალი არა მიუძღვისთ რა და აწმყოში კი ნაცარ-ქექიაობის მეტი არა ეტყობათ რა! მაგრამ ბაყაყისა არ იყოს, ხმა დიდი აქვსთ და გაიძახიან!.. უარსა ჰყოფენ წარ-



სულს!... ძველებს კეჩინასა სცემენ და სამაიმუნო შემდეგს გვპირდებიან!... დღევანდელ ინტელიგენტების ზოგიერთი წევრები სწორედ ამგვარები არიან და რომ ეს მათი მოქმედება და ქცევა ჯერ გამოუცდლობითა და სიყმაწვილით იყოს გამოწვეული, კიდევ არა უშავს რა, ოდესმე გასწორდებიან, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ, თურმე შეგნებულად მოქმედობენ წინაგანძრახულად: მხოლოდ მიტომ ყვირიან და გარბი-გამორბიან, რომ ყურადღება მიიქციონ და როდესაც საპირადო რაიმეს ჩაიგდებენ ხელში, „ბამბათა და ბამბის ქულად“ გადაიქცენ ხოლმე. ამ გვარ ქახრაკა-გმირებს დიდ ნიადაგს უმზადებს ყოველთვის ბანკი და სხვა საარჩევნო ადგილები.

დიახ. სწორედ ბანკმა ჩამოაგდო ჩვენში მტრობა, დაარღვია ის ერთობა და კავშირი, რომელზედაც ზემო მოგახსენებდით და აკვიმღვრია ცხოვრება. მართალია, თავდაპირველად ბრძოლა პრინციპიალური იყო: ღობაბერიძეების დროს ძნელი წარმოსადგენი იყო საპირადო და საქვენაო რამ!.. შესაძლებელია თითო-ორო-ლა მომხრეებში აქეთაც და იქითაც ყოფილიყვნენ საპირადოდ გამოსული და ბრძოლაში ჩარეული, მაგრამ მეთაურები და უმეტესობა მომხრეთა კი პრინციპიალურად იბრძოდნენ, ისე როგორც დღესაც იბრძვიან დაწინაურებულ ქვეყნებში. მართალი ნათქვამია: „მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო?“ ეს საზოგადო შეხლა-შეტაკება მაშინდელ ინტელიგენტების, ნელნელა, შემდეგში საპირადოზე გადავიდა და ისე მოიკიდა ფეხი, რომ შერყევაც გასაპირია. თუ მაშინ ერთი პარტია ეუბნებოდა მეორეს: „ჩვენი კანდიდატი სჯობია თქვენსას“, „ეს უფრო სასარგებლო იქნება ამ

საქმეში თქვენსაზეო“ და სხვანი, ღღეს უსირცხვილოდ აღიარებენ: „ჩვენი კანდიდატი გვირჩევნია თქვენსას, ამიტომ რომ ჩვენი მომხრეა ყოველ გვარ საპირადო სისაძაგლეშიო“!... ვიღას ახსოვს საზოგადო და საქვეყნო? სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ყველა სცდილობს, რომ ხელი მოითბოს. და თუ ერთი ეჭიდება მეორეს მიტომ კი არა, რომ ცეცხლის გაქრობაზე იფიქროს. არა! მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ის ხელის მომთბობი ჩამოაშოროს და თვითონ ჩადგეს მის ადგილზე და საზოგადო რამეებს კი ხელსახოცადა და პირბადედ ხმარობს!.. ხალხი ამათი მნახველი და შემყურე, დაფრთხა... შეშინდა და აღარა სჯერა რა. ნამდვილი მოღვაწეც მოჩვენებულისაგან ვეღარ გაურჩევია! ეს საზოგადო კანონია: როდესაც ხალხში შავი ქირი და ხოლერა შემოვა, უბრალო მუცლის ტკივილი და მცირე რამ წყლულიც ხოლერა და შავი-ქირი ჰგონიათ და ისე გაურბიან, როგორც ნამდვილს. ამით სარგებლობენ გაიძვერები და ცილსა სწამებენ მისთანაებსაც კი, რომელთაც არავითარი ზნეობითი სატკივარი არა ჰქონიათ მის ღღეში. ბრბო სტყუვდება და ტყუილ-მართალი ვეღარ გაურჩევია!.. დაიკარგა სწორ-მხედველობა და სიმართლის სასწორ-საზომი. აღარ ესმის: რა არის პატივის ცემა?! და რას ჰქვიათ შეურაცხყოფა?!... ამ საზოგადო არეულობის დროს ყველა გაკიცხული და შეურაცხყოფილი შეიქმნა. ასჯერაც რომ ყოფილიყო საქვეყნოდ ჯვარზე გაკრული სარწმუნოებისათვის, ოღონდ ერთმა ვინმე, ფარისეველთაგანმა განზრახ წაილაპარაკოს: „ურწმუნოა“ და კმარა! მომხრეებს მოიპოვებს და ბრბოსაც აალაპარაკებს. მაგალითად ჰხედავ, რომ პირადობის გულისათვის ორი გაიძვერა ვინმე ებრ-

ძვის ერთმანერთს, ბრბოც აუყოლიებია და ორ დასად  
გაყოფილან. შენ, რასაკვირელია, ორივე გეზიზღება  
და სიტყვიერად ჰგმობ ორივეს, მაგრამ იმ საშინელ  
კეტის ტრიალში და ტალახის სროლაში ჩარევა არ  
გინდა და არც შეგიძლია!.. მით უფრო, რომ ორივე  
თანასწორად მავნებელი და საზიზღრები არიან. რასაკ-  
ვირელია შორიდან უყურებ ამ კირს. და გული გი-  
წუხს!.. მაგრამ ეს შენი გულის ტკივილი ვის ესმის?..  
ასე ჰგონიათ თუ ან ერთისა ან მეორესი მიმდევარი ხარ  
და მიტომ არ იბრძვი. და ის კი ვერ წარმოუდგენიათ,  
რომ იმათში რჩევა და ხელის გამოღება თავის გაჩირ-  
ქიანება და უგნურებაა.—როგორც ქუქუცი და ბინძუ-  
რობა უწყობს ხელს ბაცილების გახარებას, ისე დღე-  
ვანდღვს ჩვენს უგნურებას ხელს უმართავს ბანკი და  
მასთან ერთად საქალაქო არჩევნებიც. ამ სწეულებას,  
ამ სახად-კირს ძირეული განკურნება ეჭირვება და  
ერთად ერთი წამალი კი აღზრდა-განათლებლა, რომე-  
ლიც დღეს არა გვაქვს! უნდა გამოვძებნოდ საშუალება  
და გავმართოთ მასთან რამ, რომელიც დაგვიბრუნებს  
დანაკარგს და დაგვაყენებს სწორ გზაზე. ეს ყოლიფერი,  
თუ შეგნებული არაა, აღლოთი მაინცა აქვს აღებული  
ხალხს და მიტომაც მიუხედავად თვის საკიროებისა  
ბანკიდან მისადები ფული საზოგადო საკიროებისათვის  
გადასდვა ერთ ხმად და ერთ პირად. ყველა იმ აზრზე  
დგას, რომ სწავლა-განათლებას უნდა მოხმარდესო.  
მაგრამ რა გვარი უნდა იყოს ის სასწავლებელი და ან  
როგორ უნდა მოხმარდეს, ეს ჯერ კიდევ არ დაუსა-  
ხელებიათ. ამისათვის საკუთარი კომისიაა დანიშნული  
და იმათ უნდა წარუდგინონ თავისი აზრი.

ჯერ კიდევ ფულის შესახებ არა იყო რა გადაწყვეტილი, რომ ხალხში სიტყვიერად თუ ბეჭდვით სხვადასხვა ლაპარაკი იყო: ზოგი ერთს თხოულობდა და ზოგი მეორეს. მართალია, დღეს ჩვენ ბევრი რამ გვაკლია, საჭიროება რთულია, მაგრამ ამ ცოტა ფულით ყველას დაკმაყოფილება არ შეიძლება. და ამიტომაც გონიერება მოითხოვს, რომ უსაჭიროესი ავირიოთ და უკეთესს მოვახმაროთ!.. ეს უკეთესი ჯერ-ჯერობით იქნება—ქალების აღზრდა. სახლი როგორც უნდა განათლო ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ ექნება. რაც უნდა განათლებული იყონ ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარი იქმნებიან!.. აბა რა ქართველ-ქალობა უნდა გასწიოს იმან, ვისაც „ქრისტე აღდგაც“ კი არ ეხერხება რომ ქართულადა სთქვას; ყველაფერი იცის გარდა თავის ქვეყნისა; მარაოს იჭერს ხელში, რომ მუნჯურად ალაპარაკოს და ნეკის აღება კი არ შეუძლია, რომ შვილს პერანგი გაუყეროს!..—ლომი ქაშისაგან ვერ გაურჩევია და შვილი სათამაშო დედოფალა (კუკლა) ჰგონია? ცხადია რომ დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ-ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ ცოლ-დედებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც არ არიან. საჭიროა, რომ ცოტათი მაინც მივაშვავსოდ ძველებს და ისეთი სასწავლებელი დავაარსოთ, რომ ნაკლი შევუქსოთ.

ჯერ-ჯერობით მალლა პოტინი საჭირო არ არის!.. მივაწოდოთ იმდენი, რომ დღევანდელ-მოთხოვნილები-სა-და კვალად, თავის შვილების გამოზდა, მომზადება სხვა-და-სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში მისაღებად,

ოჯახშივე შეეძლოთ დედებს, სხვაგან გაუბარებლად. წარმოიდგინეთ ერთის მხრით სოფელში მშობლებისაგან მომზადებული ათი წლის ბავში და მეორით ათითერთმეტი წლისავე მეორე ყმაწვილი, სხვაგან გაბარებული მოსამზადებლად, დედის კალთას მოშორებული, უცხოების ხელში!.. ერთი სულითაც და ხორციითაც მრთელი იქნება და მეორე კი გატეხილი, დაკნინებული და ნაღრბია! პირველი, რასაკვირველია, უფრო მეტს აიტანს შრომას, სადაც უნდა იყოს, უფრო მალეც შეიგნებს ყოლიფერს და დაწინაურდება. ეს ისე ცხადია, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, და მხოლოდ ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა, დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავლისათვის ბოლო უნდა მოეღოს.

ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარა-მარად მოლაქლაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდესმე, არც უთესიათ და მხოლოდ უდროოთა და უადგილოდ ნამგალს სხვის კალოზე ატრიალებენ და „ჰოოპუნას“ ნაცვლად „ჰკა მაგასო!“ იძახიან და უთითებენ იმათზე ვისაც მართლა რამე უმუშავნიათ და ღვაწლი მიუქდვისთ... დიახ! როდესაც ეს ნაცარქექია ფარისევლები აღარ იქნებიან ჩვენში და მათ ადგილს დაიჭერენ შეგნებულნი ახალ-გაზდები, რომელთაც ნამდვილი, ქეშმარიტი, სასწორ-საზომი ეკირებათ ხელში და არა ზოვიერთ

დღევანდელგზავით საპირადო-საფარისველო, მაშინ თავის-თავად გაიკურნება დღევანდელი ჩვენი სატკივარიც. დასასრულ ჩვენც იმას ვიტყვით, რაც ადრე განსვენებულმა ბ. ლოლაბერიძემ გვითხრა: „ჩვენ იმედი გვაქვს იმერლებისა წინდაზედულობისა და შორს გამკვრეტელობის“, რომ ბანკიდან გამოტანილ ფულებს კეთილად ასარგებლებს და მოგებიდან ნახევარს მაინც გადასდებს საქალგებო სასწავლებლისათვის.

ჯუბი



## ახირებული სტუმრობა.

(გუქდენი ისტორიკოსს კზოფს).

სასწორ-საზომით მოარულს,  
უმადურს, გაუტანელსა,  
რა უნდა უთხრას ქართველმა,  
შემოხიზნულსა ვანელსა?!

ერთ დროს რომ კარზე მოადგა,  
მშიერ-მწყურვალი, შიშველი  
და საწყლად, ქრისტეს სახელით  
გამოუშვირა მას ხელი,

ვევდრებოდა: „დავკარგე  
სამშობლო, სახლი... კარბო!..  
გზა აღარა მაქვს შენს იქით...  
აღარც თავ-შესაფარიო.

ამხანაგობას ვერ გკადრებ...  
ვერც ვაგებდავ ძმობასო!...

შენ მიპატრონე! მეც ნაცვლად  
გაგიწევ ნამდვილ ყმობასო“.

---

პასუხად ესმის: „ეჰ, ძმაო,  
გულს მიკლავს შენი კვნესაო!  
ყმობა-მონობა ქრისტეს სძულს!  
მან ძმობა დაგვიწესაო!

---

ვინც სტუმრად მოდის, არ არის  
თვით ქრისტეს მოციქულიო,  
და ქრისტეს ტახტი-ტახარი  
მასპინძლის წმინდა გულიო?!

---

ჰა, ძმაო, სახლი და კარი  
შემოდი მზაზე წვერადო!..  
შენი სტუმრობა და ძმობა  
არ დამიჯდება ბევრადო“.

---

შედის სტუმარი მადლობით,  
მასპინძელს ჩაესახლკარა,  
მაგრამ რომ სული მოიდგა,  
სტუმრობა აღარ იკმარა;

---

ჩაჰკიდა ხელი ყოლიფერს...  
ეს ჩემი იყო ყველაო!  
მათხოვრად როდის მოვსულვარ?  
ან როდის გთხოვე შეველაო?

---

ადრეც ვყოფილვარ!.. ახლაც ვარ!  
შენ ვერც კი გიცნობ: ვინ ხარო!



არც წარსული გაქვს, არც აწმყო,  
რომ მომავალით იხარო!

—  
ამაში მოწმეც ბევრი მყავს  
შენივე ქვეყნის შვილიო!..  
ჩემს ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი...  
ჩემგანვე გაქედლიო!!

—  
ოქრო და ვერცხლი ბევრი მაქვს,  
აქცია... ასსიგნაცია!  
შენ ღარიბი ხარ!.. მომშორდი!  
არ გესმის? „ასი გნაცია!“

აკაკი

მ ვ ი რ ი.



მის საშობლესკან, ურწყულსა ველსა  
 იჟდა ჭაბუკი რა ფერ მინდილი,  
 სოფლისა ამის დაუდგრამლობას  
 მოსთქმიდა მწარედ გულ-ამოსკუნბილი.

აგონდებოდა გონს მადლი,  
 მთელბოდი ვაგეთ, ტყეათა და ველთა,  
 სადაცა ძვალნი ეკვლესიაშიდ  
 განსკუნბებენ მისთა მშობელთა,  
 სიკდანაც ღეფვა შავისა ზღვის  
 გამონდებოდა ლურჯად და ლურჯად,  
 სიღვანაც ათასთ მცხორებთა ერთა  
 მოსწანდა სახლი ზირად ზირადად.  
 არდა ნათობდა მისი მთავარე,  
 რომელს ბინდის ჟამს ის შეეჭრებოდა,  
 რომელი მასზედ შუქსა აფრქვევდა  
 და ვითა ღედა შვილსა დათრთობდა,  
 აკლბებდა და ახარებდა,  
 აჭაბუკებდა, ახალისებდა,  
 სიყვარულისა სახთელს უნთებდა,  
 დამეს უთევდა, დროს უტარებდა;

ასადა იყო მისი მდინარე,  
თქროს ქვიშაზედ მიძეუდ მთარე,  
რომლის სათავე არის მჭქეფარე,  
კაკეშნო ჯარის შეიავარე;  
არ ჰსჭერეოდა იგი ვარსკვლავს ბუდისს,  
მთიებსა მჭვირვადს ბუდის წერისს,  
საცოცხლის სუეტსა, იმედსა თვისსა,  
ბრწყინვადებასა სამშობლოსს.  
შორს სამშობლოსგან ურწყუფსა ველსა  
იჯდა ჭაბუკი რა ფერ მიხდილი,  
სოფლისა ამის დაუდგრომლობას  
მოთქმიდა მწარედ გულ-ამოსკვნალი.

კოლხიდელი



„არამი ლუკმა კასს არ შეირგება“.

(ამბავი შავა-ქვის მწარმოებელთა ცხოვრებადგან).

I



ანერის ცივი სუსხიანი ღამე იყო. განრისხებული ქარი დათარფატებულ გლეხის სახლებს შეუბრალებლად დაჰქროდა. უსინათლობით დაობლებული არე-მარე ადრე მისცემოდა განსვენებას. მთელი სოფელი სამარისებურ სიღუმეს შთაენთქა. მხოლოდ აქა-იქ სიცივისა გამო კბილებ-შეკრული ძაღლები საცოდავად შეწაწკანობდნენ ამ სოფლის განაპირაა მდებარე სახელოსნოს, თითქო სთხოვდნენ: „კმარა, ნულა ხმაურობთ, ძილს ნუ უბრთხობთ შრომისაგან დაქანცულს ხალხსა“ და მით არღვევდნენ ამ საზოგადო დუმილს... მაგრამ სახელოსნოში მუშაობა, ჩვეულებრივ, გვიანობამდის არ შეწყდებოდა ხოლმე... ამ ხმაურობის მიზეზი სახელოსნოს პატრონი — გოგია რკიერაძე გახლდათ. გოგია ზემო-იმერელი გლეხი იყო. ბატონ-ყმობის გაყრამდის გოგია მებატონის სასახლეში

შინაყმობდა. იგი ყველა შინაყმებში ამორჩეული იყო. ბუნებით ნიჭითაც მალა იდგა გოგია სხვა, მის ტოლებ შინაყმებზედ, თუმცა კი ამ ღირსებით ხშირად ბოროტ-მოქმედებდა. რას მოიფიქრებდა მისი ახალგაზდა მებატონე, რომ გოგიას არ შეესრულებია. გოგიამ თავის მებატონეს სიყვარული იქამდის დაიმსახურა, რომ ადგილ-მამულით უფულოდ გაათავისუფლა. გოგია საკუთრის მექონე გლეხი შეიქნა; სახელი და პატივისცემა მოემატა. მაშინვე ძმებს გამოეყო. ძმებისაგან რამოდენიმე ქცევა მიწა, ერთი ნაკვეთი ტყე, წკნელის საბრძელი და ერთი ქელური სასიმიდე ერგო. ამ სასიმიდეს ცალი გვერდი გამოუღო, სიგრძეზედ წკნელი გაღობა, შიგნივ და გარეთ გაღესა და სადგომად გადააკეთა. საბრძელი გზის პირას იდგა, მიწით შეღესა და შიგ სახელოსნო მოაწყო. ღურჯღობა გოგიას პატარაობიდან ჰქონდა ნასწავლი. გოგიას მამა, ნეტარ-ხსენებული ივანე ცბიერაძე, გამოჩენილი ღურგალი იყო ზემოთში. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც შავი ქვის ამბავი მთელს იმერეთს ცეცხლის ალივით მოედო. სალაპარაკო საგნად შეიქნა. ყველას გამდიდრების სურვილები გაუღვიძა; ყველა დიდის დაკვირვებით, საიღუმლო ბურუსით მოცულ მითქმა-მოთქმით ადევნებდა თვალ-ყურს ამ ახალ საქმის დაბადებას და მის აღორძინების ისტორიას.

მაისის ბრწყინვალე დილა იყო. ...ის სოფ. სკოლის აივანზედ, სელის სკამზედ იჯდა ამ სოფლის მასწავლებელი. მისი სათნოებით სავსე პირის სახე, რაღაც სიხარულის და სიამოვნების გრძნობებს გარემოეცათ.

გულის სიღრმიდგან ამონახეთქ სიხარულს მასზედ ბრწყინვალე სხივი მიეფინა. და გულის ნაგრძნობს, თითქო პირის სახის გამომეტყველება გეუბნებოდათ. იჯდა და ხელში ქართულ გაზეთ— „დროების“ ნომერი ეკავა. აიენის წინ ხალხს თავი მოეყარა, რადგან იქვე, სკოლის ახლოს, სოფლის ეკლესია იყო.

— ბატონო მასწავლებლო! წაგვიკითხე, რა სწერია, მაგ გაზეთში! — ცოტა სიუმის შემდეგ ერთ-ხმად სთხოვა რამოდენიმე გლეხმა.

— თქვენ, რომ არ გეთხოვნათ, მე დღეს მაინც უნდა წამეკითხა თქვენთვის ერთი სასიამოვნო ამბავი.

— რა ამბავია, ბატონო! წაგვიკითხეთ შენი ჰიროიმე!

— მადანი გამოჩენილა ჩვენში, მადანი.

— რა მადანი ბატონო?

— რა და შავი ქვა.

— მერე, ვის რად უნდა, შენი ჰიროიმე, შავი ქვა?

— ვის? სამზღვარ გარეთლებს. იმათ იციან რადაც უნდათ.

— ხა, ხა, ხა, ხა! გაიცინა რამოდენიმე გლეხმა. ჩვენ გვეგონა, მართლა რამე კაის გვეტყოდით, თორემ შავი ქვა ვის რა ოხრად ენდომება, ბატონო!

— ჰო, ჰო! თქვენ იცინეთ! იცინეთ! აბა, ნახავთ, რა მომოვალე ექნება თქვენს ხრიოკ სოფლებს!! ხალხში ჩუროჭული შეიქმნა. ვისსჯეროდა ეს ამბავი და ვის სიცილიად არ ყოფნიდა. „ეს კი კარგი ახალი ამბავი წაგვიკითხა; დღეს ჩვენმა მასწავლებელმაო!“ სიცილ-კისკისით ასკდებოდენ ერთმანეთს ახალ-გაზდები. „მართალი რომ გამოდგეს, ქე არ მოგვხედავს ღმერთიო“ — ამბობდნენ უფრო ხანში შესული და დარბაისელი გლე-

ხები. ასე თუ ისე ყველა აალაპარაკა ამ ამბავმა, ყველამ თავ-თავისი სთქვა, გარდა გოგია ცბიერადისა. მხოლოდ გოგიას კი არა ეტყობოდა რა. მის პირი-სახეს რაღაც საიდუმლოების პირ-ბადე გადაჰფენოდა, თითქო ბაგენი მისნი დადუმებულიყვნენ, ისე უძრავად იდგა აივნის ერთ კუნკულში, მასწავლებლის ახლოს, და მთლად სმენად იყო გადაქცეული; გულ-მოდგინედ ისმენდა ყველას ნაამბობს და საიდუმლოდ, სხვის შეუმჩნევლად თავის გულის სიღრმეში ინერგავდა. „ეგებ, მართლა, ბედმა გამიღიმოს და ამ ოხერს სახელოსნოს მოვშორდეთ“... ჰფიქრობდა გოგია გზაში, შინ დაბრუნების დროს... გოგიას პირველად არ ესმოდა შავი ქვის ამბავი...

მეორე დღეს გოგია ს. შიმშილაქეთის გზას ადგა. შიმშილათელი გლეხი თამაზა გოგიას ნათლიმამა იყო. მთელი ეს სოფელი შავი ქვით იყო სავსე. ყანები ლობის მაგიერ შავი ქვით იყო შემოზღუდული.

— ჩემო თამაზავ! ჩემო ნათლიმამავ! ეუბნებოდა გოგია თავის ნათლის მამას. რამდენი ხანი იქნება არ მინახავხართ. ასე უნდა ნათელ-მირონობა?! შეძლებით ვარ ღარიბი, თორემ გულით ხომ არა?! გზაში რომ შემხვედროდა ჩემი ნათლული, ხომ სირცხვილი დამემართებოდა, ვერც კი ვიცნობდი! ეს სულ შენი ბრალია, ჩემო ნათლის დედავ! მიუბრუნდა გოგია ნათლის დედას. რატომ ერთხელ მაინც არ მაჩვენე ეს ჩემი ნათლული?

— ისე თქვენმა პატროსანმა ცოლ-შვილმა გაიხაროს, რავარც მე და თქვენი ნათლული თქვენის ნახვით გა-

ვიხარებდით. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ნათლიას ვე-  
ნაცვალე, ღარიბი, მარტოხელი კაცი ამბავი. ამოტელა  
ოჯახს ერთად-ერთი მამა-კაცი დაგეტრიალებს თავზედ.  
საქონლის მომვლელი ესა გვყავს და წყლის, შემის შე-  
მომტანი ეს გახლავსთ. თქვენი ნათლული ჯერ ისეთი  
მორცხვია, რომ ვერსად ვერ გაიგზავნის კაცი და მერე  
ჯიუტი, ჯიუტი .. ღმერთმა დაიფაროს... რასაც იტ-  
ყვის ის არის... მეორეს ველარ გაუბედავთ... რამდენ-  
ჯერ მოვინდომე თქვენი ნათლულიანა თქვენთან ჩა-  
მოსვლა, მაგრამ წამომყოლი ვერ ვიშოვნე, და მარტო  
15—20 ვერსის სიშორეზედ ვერც გავბედე და არც  
წესი იყო წამოვსულიყავი. გოგია ახლობელი სოფლის  
გლეხი იყო.

—სიღარიბეს ყველაფერი შეუძლია, ჩემო გოგია,  
თორემ მეტი რა დამიშლიდა ამდენს ხანს საყვარელ  
ნათლია-მირონის ნახვას? ჩაერია ლაპარაკში თამაზაც.

—ნათქვამია, ჩემო თამაზა! სიღარიბე და სიმდიდ-  
რე და-ქმანიაო. ფიქრი არ არის ჩემო ნათლის მამავ!  
კაცი სასოწარკვეთილებაში არასოდეს არ უნდა ჩავარ-  
დე, ცხოვრება კიბეა, ხან ზევით მოვექცევით და ხან  
ქვევით. ვინ იცის, ეგებ ბედმა ჩვენც არ მოგვიძუ-  
ლოს?!!

—შენს პირს შექარი, ნათლია ჩემო! თუ მართა-  
ლი გამოდგა ის ხმები...

—რა ხმები?

—რა და ის, რომ ეს შავი ქვა, თურმე, ძვირფასი  
რამე მადანი ყოფილა. ყოველ დღე მოდიან და კით-  
ხულობენ ადგილების ფასს. ისე მტერი შეგიწუხდეს  
მე უფულობით შეწუხებული ვიყო! ქალიშვილის ბედი  
კარზედ მადგია, შექლება რომ არ მიშლიდეს მის ბედს



ძალი არ დაჰყუფს, მაგრამ რა ვქნა, მენანება გავკიდ-  
ლო. ვაი თუ ჩემი ქონით მევე დამიწვან თვალები. მი-  
უგო თამაზამ. „აქ სულ სხვა ნაირად უნდა მოვიქცეო“,  
იფიქრა გოგიამ და შესცვალა მუსაიფის კილო.

—თამაზა, ვნახოთ, შენს ადგილებში შავი ქვა  
აღმოჩნდა, რა ნაირად გინდა აწარმოვო! ჰკითხა გოგიამ.

—აღმოჩნდეს კი არა, ნათლია ჩემო! მთელი ჩემი  
ყანები სულ ეს ოხერი შავი ქვა არ არის?! რა ეშმა-  
კად მინდა? სიმიდი იქ არ მომდის და ვენახი. თუ კი  
რამედ გამოდგა—ხომ ღმერთი მომხედავს, თუ არა და  
მადლობა ღმერთს...

—არც ის ვარგა, რომ ასე მოულოდნელი ბედ-  
ნიერებით მარტო შენ დასტკბე, ზოგი შენმა ნათესავებ-  
მაც უნდა ისარგებლონ!!.

—იქნებოდეს რამე, ჩემო გოგია, თორემ ვინ მა....  
მართლა, გოგია, შენ ხომ გამოცდილი კაცი ხარ.  
თვალი დაუდგეს იმ სიღარიბეს, თორემ გამოცდილება  
შენ არ გაკლია, კარში ნასიარულები ხარ. აბა, მე  
უნდა სიმართლე გითხრა, ქუთაისს გარდა არსად არ  
ვყოფილვარ და ისიც ერთხელ თუ ორჯელ ვიყავი ქუ-  
თაისში, კარგად არც ის მახსოვს. შენ ბევრს იცნობ. ბევრი  
გიცნობს. შენც ისარგებლე, ჩემო ნათლიავ, და ნურც  
მე დამწვაკ, იაფად ნუ დამაკარგვინებ!

—მე, თუ შენგან ვგ სიტყვა მექნება, ვეცდები,—  
ვნახოთ!

—ვილას ვენდობი თუ არა შენ? შენ იცი და  
შენმა ნათლია-მირონობამ!..

ამ გვარ ტკბილ მუსაიფს შეექცეოდნენ იმ ლამეს  
ვახშმად გოგია ცბიერაძე და მისი ნათლის მამა შიმში-



ლათელი გლეხი თამაზა. თამაზას ადგილები იმდენად მწირი და მოუსავლიანი იყო, რომ თამაზას წლის საყოფი სარჩო ძლივს მოსდიოდა. მიზეზიც ეს იყო, რომ გოგიას მოსვლამ თამაზას, თითქმის, ფრთები გამოასხა და ამ ახალ საქმეში მონაწილეობა დაავალა. თამაზას სიტყვები გოგიას მაშინვე გულში მოხვდა და საიმედო მომავალი დაანახვა—ამის შემდეგ რამოდენიმე თვემ გაიარა. თამაზას გოგიასაგან არაფერი ამბავი არ მოსვლია.

## II

სალამოს ჟამი იყო. ბრწყინვალე ნათელი შავ სამგლოვიარო ზეწრის წამოფარებას აპირებდა და ნათლით შემოსილ ღღეს ბნელ წყვდიადში გვიცვლიდა. კაცი კაცს კარგად ვერც კი იცნობდა, რომ თამაზას ეზოს კარებს სამი უცხო ცხენოსანი მიაღდა. თამაზა სამუშევრიდგან ახალი მოსული იყო. პირველ დამახებისათნავე გამოხედა და მიიღო უცნობი სტუმრები. როგორც შემდეგში აღმოჩნდა ერთი ამათგანი ჩვენი ცნობილი გოგია იყო, მეორე ქვემო იმერელი მდიდარი ვაჭარი სტეფანე დიდგულაშვილი და მესამეც ტრაპიზონელი ბერძენი, ისიც მდიდარი ვაჭარი. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მათ შორის ჩვეულებრივი მუსაიფი გაიმართა. მათ მუსაიფის დროს თამაზას ოჯახობა ვახშმის მზადებას შეუდგა: ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა; მიხაკო, ერთად ერთი ვაყი თამაზასი და ნათლული გოგია ცბიერაძისა—შეშას ჩეხდა; რვა-ცხრა წლის პატარა ცუგრუმელა გოგო თამაზასი კესარია ქვაბს რეცხევდა, თებრონია კი თავზედ ადგა და პატარა და-ძმას საქმის კეთებას ასწავლიდა. თებრონია თამაზას

უფროსი ქალი იყო. მიხაკოს მეტი ვაჟი თამაზას არც  
ყოლებია და არც ეყოლებოდა.

თამაზას თებრონა სილამაზით ასში გამოსარწევი  
ქალი იყო. ვის შეეძლო გამამდარიყო თებრონეს  
ბროლის ფერ მალალ კისერის ცქერით, რომელზედაც  
შავი ლენტის მსგავსად გადაწოლოდნენ მაყვალივით  
შავი და სქელი თმის ნაწნავები. თებრონეზედ ბევრს  
ჰქონდა კბილები ალესილი. განსაკუთრებით მას აქვთ,  
რაც შავი ქვა მადნად აღიარეს. თამაზას შავი ქვის  
ადგილები ულეველი ჰქონდა. თებრონეც ერთად ერთი  
მემკვიდრე იყო თამაზასი, სანამ ამ მოხუცებულობის  
დროს უკანასკნელი ვაჟი დაებადებოდათ; თებრონეს  
ვინ არ ეტრფოდა. მის მოტრფიალეთა რიცხვში ბევრი  
ადგილობრივი აზნაურებიც იყვნენ, მაგრამ თებრონე  
ამ გვარ მდგომარეობით სრულებითაც არ ამაყობდა;  
იგი მუდამ იმ აზრის იყო, რომ „გლეხის ქალი ვარ  
და გლეხს უნდა გავყვეო“. ერთს დროს ხმა გავარდა,  
რომ თამაზას თებრონას მოტაცებას უპირებენო, თუმც  
ეს ხმა ისევ ხმადვე დარჩა, მაგრამ ამის გამო თებრონე  
ძლიერ იშვიათად გამოდიოდა ეკლესიაზედ, თემში;  
საზოგადოთ უცხო კაცს არ დაენახვებოდა. ეს იყო მი-  
ზეზი, რომ იმ ღამეს თებრონა გარეთ არ გამოსულა,  
სტუმრებს არ გაცნობია.

სახლის პირდაპირ თამაზას ნალია ედგა. ნალიას  
ზედ მოდგმული მარანი ჰქონდა. თამაზამ იმ ღამეს აქ  
მიიღო თავისი სტუმრები. ბერძენი უცხო ტომელი  
ვაჭარი იყო. ის, თუმც ახალგაზრდა კაცი აღარ იყო,  
მაგრამ როგორც შეძლებული კაცი ადრევე აჭყოლოდა  
ხორციელ გრძნობების დაკმაყოფილებას. მას არ შეეძ-  
ლო მრუშობაში თავი შეეკავებია, თუ კი მის გარყვნილ

გემოვნებას რაიმე დაატკობდა. მის წინაშე ცოდვა, პატიოსნება, შებრალება, სინიდისის შებლაღვა სრულებით გათელილი იყო. თამაზასთან ბერძენს ბევრი არ ულაპარაკნია. მაშინვე გაიგო, რომ, თუ მარჯვედ იქნებოდა, ეს ქვეყანა მის საკბილოდ შეიქნებოდა. „აქ ჯერ ნიადაგი შეურყეველია, ხალხი ველურია, სიმდიდრე ჩემს ხელში ჩავარდება“, იფიქრა ბერძენმა და შესწყვიტა ამაზედ ლაპარაკი. „ახლა სხვაზედ ვილაპარაკოთო“ — უთხრა გოგისა და ფიქრებში გართული ბერძენი გავიდა დერფთანში გასავლელ-გამოსავლელად. ამ დროს თებრონა ციბრუტივით უტრიალებდა შუა ცეცხლს. სტუმრებს ვახშამს უმზადებდა. კარებ დახურულ ძეღურ სახლში, შუა ცეცხლის სიმხურვალის გამო, სულის შემსუთველი სიცხე კორიანტელი ტრიალებდა. თებრონეს თეთრი ლოყები ამ გვარ სიცხეს ვაშლის ფრად აეფორაჯებია. ოფლის წვეთები მარგალიტივით გაჰკროდნენ აქა-იქ თვალების გრძელ წამწამებში და ცრემლების მსგავსად ლაპა-ღუბი გაჰქონდა მის ბროლისფერ მკერდზედ. ცეცხლის პირას მოძრაობის დროს შავი ნაწნავები გველივით ეხვეოდნენ თეთრ კისერზედ. თებრონე ამ ნაწნავებს ხან ერთს ისროდა უკან და ხან მეორეს, თან გაჯავრებით მიაწყევლიდა: „დამაცა შე ცეცხლისგან დასაწვაო, ისედაც ვიწვი, შენ კიდევ რაღას მაწვალებო“.

ამ დროს პატარა კესამ კარი გამოაღო და გახურებული სახლი ცოტა გააგრილა.

— უჰ! ქე არ მოვრჩი, დედა-ჩემო! უთხრა თებრონემ დედას, რომელიც იქვე იჯდა და საკმაზს ამზადებდა.

— მოგიკვდეს დედა-შენი, დამეწვი შვილო განა?!



რა ვქნათ, შვილო! უნდა გავიჭიროვოთ, თორემ ვეღარ ველი ცხოვრება აქლა ჩვენს ბატონის შვილებსაც აღარ აქვს. ეგებ ღმერთმა მოგვხედოს, მამა შენმა საქმე გააკეთოს, მაშინ შვილო შენს ბედსაც მალე ეშველება, მალე გაგათხოვებ. უთხრა თებრონეს დედამ.

გაღებულ კარებიდგან ცეცხლის აღმა პირდაპირ თვალებში მიანათა ბერძენს, რომელიც ამ დროს ეზოში დასეირნობდა. დადგა ბერძენი ერთ ადგილას და დააშტერდა: შუა ცეცხლი, გარშემოწყობილი კეცები, საქვაბეზედ ჩამოკიდებული ქვაბი, ყოველიფერი ეს მისთვის ახალი სანახავი იყო. მაგრამ აგერ სურათი უცებ შეიცვალა. ცეცხლის პირს უცებ მოვარდა რაღაც ანგელოზებრივი კეკლუცი არსება, ხის საკეციით კეცი გადმოიღო, ელვის სიჩქარით ქადის ცომი კეცხედ სტყუბა და აჩქარებული „ტყაბა-ტყუბით“ გაიყვან-გამოიყვანა ცომი კეცის კიდებამდის; შემდეგ საკეციითვე აიღო და ცეცხლს აუფიცხა: აქ კი ბერძენი სრულებით გაშტერდა. თებრონეს სილამაზემ ბერძენს მთელი მისი გარყვნილი ცხოვრება დაავიწყა. ის სულ ცქერად გადაიქცა. თებრონეს ნორჩი გული კი ამ დროს სრულიად არ გრძნობდა იმას, რომ გამოღებულ კარებში უცხო ვინმე იტყობოდა და შორიდგან სკამდა ხარბის თვალით მის ანგელოზებრივ უმანკობას. თებრონემ უცებ რაღაცასთვის გარედ გამოიხედა. მაშინვე შემოპრუნდა და დედას მივარდა.

— დედა, დედა! ვაი, თუ ამ გამოღებულ კარებში გვიყურებდენ ის უცხო სტუმრები, ღმერთო კი მომკალი, მერე მე სულ გულ-ღია ვიყავი! რაღაც კაცის ლანდივით მომეწვენა ეზოში. ნეტა ვინ იქნებოდა?!

— მერე რა ვუყოთ, შვილო! ეგებ მამა შენი იყო.

მაგას რად შეუშინებინარ, უთხრა დედამ. ამ დროს კარებზედ რაკუნნი მოისმა: „გამიღეთ კარი!“ გაღებულ კარებში თამაზა შემოვიდა, გადაავლო თვალი ვახშამს და უსაყვედურა: „რა ჰქენით, სამი კაცის ვახშამი ამდენ ხანს ვერ მოამზადეთ?!“

— კი მამა, ვახშამი ამ საათში იქნება მზად. მიუგო თებრონემ.

— ხომ გითხარი, შვილო, მამა შენი იქნება მეთქი! წასჩურჩულა თებრონეს დედამ.

— აპაა აპაა?! მე სხვა მეგონა და გული ტყვილად გადამიტრიალდა.

ასე ათი, თუ თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ თამაზა და მისი სტუმრები გარედ ნალიაში გრძელ ხის სუფრას გარს უსხდნენ და თამაზა ბოდიშით ეუბნებოდათ: „უკაცრავად ბატონებო! თქვენ, რომ გეკადრებათ, ისე ვერ გაგიმასპინძლდით, მაგრამ ხომ გაგიგონიათ „ღარიბი კაცის ლუკმა გემრიელიაო“. ამ დროს თებრონე საჯლის ერთ ბნელ კუნჭულში იყო ამოკრული. დედა გვერდში უჯდა, იდაყვი დედის კალთაში ჰქონდა დაყრდნობილი და სინათლეში მყოფ სტუმრებს ათვალიერებდა. ძილ-მორეული თებრონეს დედა უცებ შეკრთებოდა ხოლმე, როცა თებრონე ჰკითხავდა: „რას შობი დედა, დაგეძინა?!“ და მაშინვე უპასუხებდა: „არა, შვილო, ცოტა წამყევინთაო“.

— ეს, ღმერთმა გაგიბედნიეროს, ნათლი-მამა, შენი უფროსი ქალიშვილი თებრონია!

აქ თებრონიამ კიდევ ჰკრა ხელი დაძინებულ დედას: „უყურე, უყურე, დედა ჩემო, ჩემს სადღეგრძელოს სვამენ“.

— ალავერდი სტეფანეს! გაუმარჯოს ბატ. თემის-

ტოკლეს! (ასე ეძახდნენ ბერძენს) მიაძახა გოგამ. ბერძენმა უცებ ყურები სცქვიტა, თითქო წიშადღურის ძმარი აყნოსეს ცხვირშიო, გამოჰყიტა თვალები.

—როგორ? ჩვენს მასპინძელს განა ქალი ჰყავს?! იკითხა ბერძენმა თითქო არაფერი არ ენახოს.

—როგორ არა. ჰყავს, მაგრამ.... მე გამოტყუხილად უნდა ვსთქვა თამაზას მამობა იმას არც კი ეკადრება. არაფინ არ იტყვის თუ ეს გლეხის ქალიაო. მზოლოდ ეს მაკვირვებს, რატომ არ გაათხოვებ, ჩემო ნათლიმამა! ხომ იცი ღვინით სავსე ჭიქა და გასათხოვარი ქალი ერთია. ძნელი შესანახავია, ჩემო თამაზა, ძნელი!..

—მაშ, თუ გყავსთ, რატომ არ გაგვაცანი შენი ქალი? უთხრა თამაზას ბერძენმა. თამაზას ამ გვარი ხანგრძლივი და თავისუფალი მუსაიფი მის თებრონაზედ სასიამოვნოდ არ ღარა და მოწყვეტით უპასუხა: „მოვეტრებით, მოვეტრებით სხვიმისაცო, ახლა სხვაზედ ვილაპარაკოთო... გოგამ ამას სხვა სადღეგრძელოები მოაყოლა და ნაშუალამევის სამი საათი იქნებოდა, რომ თამაზას ოჯახში ადამიანის ფეხის ხმაურობა შესწყდა.

### III

—ყველაფერი კარგი, ჩემო თამაზა, მაგრამ ამ აღგილებს რა ნაირად მოგვეყიდი. უთხრა თამაზას გოგია ცბიერაძემ მეორე დღეს, როდესაც მადნები დაიარეს და გული სიხარულით აღევსოთ.

—სულ ვერ მოგყიდით, ნათლია ჩემო, და რასაც გავბედავ—ყველაფერზედ „კუპაჲვოდელესკი“ მაქვს. მიუყო თამაზამ.

—ეგ, თუ გინდა ასე იყოს, მაგრამ ნოტარიუსის

წესით ყიდვა-გაყიდვა, აღბად, შენც გამოგიცდია. რაც  
მამული ღირს, ორი წილი ხარჯი მოგვივა. ახლა წასვლა-  
წამოსვლა, იქით აქეთ თრევა-ხეტიალი კიდევ სხვა იქ-  
ნება. მაშ ისე გადაკეთოთ, რომ ხარჯიც ცოტა წაგვი-  
ვიდეს და ჩვენც ადგილებში ვერავინ შემოგვეცილოს.

— აგრე, თუ შეიძლება, რაღა აჯობებს, მაგრამ  
ვინ უნდა გავვიკეთოს? იკითხა თამაზამ.

— ხრიკაძე ვექილს ხომ იცნობ? ჰკითხა გოგიამ.

— როგორ არა. ბევრჯელ ვარ მისგან პატივნაცე-  
მი. მიუყო თამაზამ.

— მაშ ის ენახოთ და ვკითხოთ. ის ყველაფერს  
გვირ<sup>ე</sup>ვეს. მოხერხებული კაცია. უთხრა გოგიამ და სი-  
ამოვნების ნიშნად გესლიანად გაიღიმა.

სანამ იმას შევიტყობდეთ, თუ რა გზაზედ დააყენა  
ისინი ბ. ხრიკაძემ, ვგონებ, უადგილო არ იქნება გა-  
გაცნობა ს. უპატრონეთის ვექილი სილიბისტრო  
ხრიკაძე.

სილიბისტრო ივანეს ძე, ანუ როგორც მას ხალხი  
ეძახოდენ, სილიბისტრო ივანიჩი ხრიკაძე ტან-მორჩილი,  
ჩაფსკენილ-ჩარგვალეხული კაცი იყო. ხნით ასე ორ-  
მოცის ანუ ცოტა მეტის თუ იქნებოდა. მისი სახის  
გამომეტყველება, მუდამ ჩაფიქრებული, დაღვრემილი  
პირის სახე, მელის მზგავსი, წვრილი, ცოცხალი თვა-  
ლები და ზედ წამოდგმული შავი სათვალეები ცხადათ  
გეუბნებოდათ მის ვინაობას. სილიბისტრო ადგილობ-  
რივი ახნაურთაგანი იყო. მამა მისი, უიგანსვენებული  
ივანე ხრიკაძე საშუალო შეძლების კაცი იყო. თუმც  
საშუალება იმდენად ნებას არ აძლევდა, მაგრამ სწავლა-  
განათლების საჭიროებას ივანე ყველა თავის მეზობ-



ლებზედ უფრო გრძობდა და ეს იყო მიზეზი, რომ სილიბისტრო ქ.... სააზნაურო სკოლაში შეიყვანა. სილიბისტროს ნიჭმა იმდენად გაამხნევა ცხონებული ივანე, რომ იქიდგან დიდ გემნაზიაში გადმოიყვანა. მესამე კლასამდის სილიბისტრო თითით საწვევებელი შეგირდი იყო. ივანეს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა.

— ჩემი შვილი „ატუკანტათ“ უნდა გამოვზარდოვო — იტყოდა ხოლმე განსვენებული ივანე. მამის სიცოცხლეში სილიბისტრო ბეჯითად სწავლობდა, მაგრამ შემდეგ კი სწავლაზედ გული აუვარდა; ამას დედის რჩევაც ზედ დაემატა: „გამოდი შვილო კლასიდგან, ოჯახი მარტო მაქვს, ცოლი შეირთე და ოჯახს მოუარეო“. სილიბისტრომ მეცნიერების ტაძარს თავი დაუკრა და სოფელს მიაშურა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სილიბისტრომ ცოლი შეირთო. სოფელმა დიდ ხანს ვერ შეიგუა სილიბისტრო, რადგან სოფელი და სილიბისტრო ძრიელ დაშორებოდნენ ერთმანერთს. სოფელი მას ვერ იცნობდა და სილიბისტრო კი სოფელს თავის გაააკრეფ ცხვრად უცქეროდა. ამ გვარ ერთმანერთის სიძულვილმა სილიბისტრო სოფელს მოაშორა და მაზრის სასამართლოში მწერლად შეიყვანა. მწერლობის დროს სილიბისტრო იმერულად იცვამდა, თუმცა კი „კაკარდიან“ ქუდს არასოდეს არ მოიშორებდა.

დრო მიდიოდა. სილიბისტროს შვილები თან და თან ემატებოდა. მამული ცოტაოდენ შემოსავალს აღწევდა და სილიბისტროს მწერლის ჯამაგირი ჩაი-შაქარში არ ყოფნიდა. სილიბისტრომ სასამართლოში დილ-დილობით ადრიანად დაიწყო სიარული. ჯერ კარგად არც კი იყო გაათენებული, რომ ის მაზრის სასამართლოს ეზოში

დადიოდა, მოსულ მთხოვნელებს ვის „სპრავკას“<sup>152</sup> ლევდა და ვის თხოვნას უწერდა. ამ გვარ მოქმედებით ხრიკაძე თვეში სამ-ოთხ თუმანს გამოჰკრავდა ხოლმე ხელს. ხრიკაძეს მოხერხებულ კაცს ეძახდნენ გლეხები. „რა იქნება ისეთი, რომ სილიბისტრო ხრიკაძის გამკრიახ გონებას გადურჩეს შეუტყობელიო“ — ამბობდა ხრიკაძეზედ ხალხი.

ერთ დროს მაზრის სასამართლოში სილიბისტროს ამხანაგებმა რაღაც სიყალბე ჩაიდინეს... თუმც საქმე პირდაპირ ვერ ჰკიდებდა ხელს, მაგრამ თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ დანაშაულობის დედაბოძი და სულის ჩამდგმელი ხრიკაძე იყო. მაზრის უფროსმა მარტო ექვიც იკმარა და სილიბისტრო სამსახურიდგან დაითხოვეს. სამსახურიდგან გამოგდებული ხრიკაძე ისევ თავის სოფელს მიეკედლა. როდესაც მაზრის უფროსი სხვაგან გადიყვანეს, ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის შემწეობით სილიბისტრომ სოფლის მწერლობას გამოჰკრა ხელი. მის მოქმედებას აქ უფრო ვრცელი მოედანი გაეშალა წინ. მის ნაშრომში მამასახლისი და ბოქაულიც მონაწილეობდნენ; მაგრამ მის საზღვარზედ გადასულ უსვინდისობას, გაუმაძღარ მგელმუცლობას ვერც ბოქაული და ვერც მისი მამასახლისი ვეღარ გადაეღობენ წინ. ერთხელ ს. №-ის გლეხობა თავის მებატონეს აუჯანყდა. ღალის მიცემასზედ უარი უთხრა. ამ საქმემ უმაღლეს მთავრობამდის მიაღწია. გლეხების აჯანყებას მებატონეები სილიბისტრო ხრიკაძეს აბრალებდნენ. ხრიკაძე არა ერთჯერ დაიბარეს ამ საქმის შესახებ, მაგრამ მწერლობიდან დათხოვნის მეტი ვერა მოუხერხეს რა. ყოველგან და ყველასგან განდევნილმა ხრიკაძემ ადგილობრივ მაზრის ქალაქის

ერთს მივარდნილ ქუჩაში ოთახი იქირავა. შიგ ხის სადა ფიცრის მაგიდა დადგა, ქვეშ ხისავე ორიოდ სკამი შემოუდგა, იქვე თავის დასაწოლი სკამ-ლოგინი გამართა და გამვლელ გამომვლელს სხვა-და-სხვა საჩივრების ქაღალდებს უწერდა. სილიბისტროს დღესასწაული ჯარისკაცების გამოწვევის დროს იწყებოდა... ცოტას არ შოვობდა სილიბისტრო ამ დროს. მაზრის სასამართლოში სამსახურის დროს სილიბისტრო კეთილ განწყობილებაში იყო. ამ საქმის მდივანთან და გამოთხოვების დროს სხვათა შორის ყურში ჩაულაპარაკა: „მასარგებლედ და არც შენ დაგტოვებ უნაწილოთო“. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდენ, რომ მდივნის ორი სამი სახლი სულ ამ გვარ ფულებს ნაშთიაო. სილიბისტრომ თამაზას ძმისშვილი იმ მიზნით მონათლა, რომ იქ თავისუფალ მსვლელობით თამაზას ოჯახსაც დაახლოვებოდა და ამით ლამაზი თებრონეს გული მოეხიბლა. მიზეზიც ასე დაახლოვებული ნაცნობობა იყო, რომ თამაზა მაშინვე დასთანხმდა სილიბისტრო ხრიკადის ამორჩევას.

—ის გამოცდილი კაცია, ყველგან მსახურობდა, ნათლია მირონიც ის არისო. მაშ მეტს ვიღას უნდა ვენდოო!.. იფიქრა თამაზამ და მედიატორის წესით ერთი ნაკვეთი ადგილის გაყიდვას გოგიას ხელი მისცა.

#### IV

სილიბისტროს ცხელი დღეები იყო. სიცხისაგან შეწუხებული ხალხი თავთავიანთ სახლებში თუ ბაღებ-ვენახებში იმალებოდა. ერთს ამ გვარ დილას გოგია

ცბიერაძე აღრე ამდგარიყო და თავის სახლის დადიოდა.

— გოგიას გაუმარჯოს, გოგიას! შემოესმა ვილაც უცნობის ხმა. გოგიამ გახედვაც ვეღარ მოასწრო, რომ სტუმარმა ალაყათის კარები კიდევაც შემოაღო და ეზოში შემოვიდა.

— ოოო! სილიბისტრო ივანიჩს ვახლავარ! კაცი რომ ინატრებს სწორედ იმისთანა დროს მობრძანდით! მიაძახა გოგიამ და თან ცხენი ჩამოართვა.

— სად ბრძანებულხართ აქეთ? ბატონო სილიბისტრო ივანიჩ! ალერსით ჰკითხა გოგიამ თავის სტუმარს, როდესაც ეზოში ხის ჩრდილ ქვეშ მიიყვანა და ხის გრძელ სკამზედ ჩამოაჯინა.

— არსად. პირდაპირ შენთან ჩამოველ, გოგია ჩემო! მიუგო სილიბისტრომ.

— ნეტავი, რამ დაგსარჯათ ამ სიცხე-კორიანტელში?

— რამ და გაკირვებამ, ჩემო გოგია, გაკირვებამ. ხომ გაგიგონია გაკირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო...

— გაკირვებისაგან ღმერთმა დაგიფაროს, ბატონო სილიბისტრო ივანიჩ! გაკირვებას თქვენთან რა უნდა?! გააწყვეტია მუსაიფი გოგიამ.

— გეუბნები ამაზედ მეტს გაკირვებულს ვერ მნახავ მეტქი! გაუმეორა სილიბისტრომ. ამ თვეში მთელს მამულს ბანკი მიყიდის. 20 თუმანი შესატანი მაქვს და მე კი ხუთი თუმნის მეტი არ მომეშვევება რა...

აქ მათ შორის ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს გოგია იღუმალ სიხარულის მორევში ცურავდა. სი-

ლიბისტროს ამ გვარი მდგომარეობა მას ფრთხილად ას-  
ხავდა, აღტაცებაში მოჰყავდა. „შემთხვევა გაქვს და თუ  
ვარგხარ ისარგებლე გოგიაო!“ ჩასძახოდა ყურებში მისი  
ბედის ვარსკვლავი.

—მერე, მერე, ბატ. სილიბისტრო?! მიუბრუნდა  
გოგია თავის სტუმარს.

—მერე ის, რომ შენ შემოგიტოვე, ჩემო გოგია!  
უარით ვერ გამისტუმრებ, ჰა, ხანჯალი (იღებს ხანჯალს)  
და ან დამკალი ან 15 თუმანი მიშოვნე!

—მერე, თქვენ არ იცით, ბატ. სილიბისტრო, ჩემი  
ავლა-დიდება?! ფული მე ვინ მომცა?

—ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ რამეთუ ბერ-  
ძენტან ეგებ გამიკეთო საქმე. ის შენ გიცნობს და  
კიდევაც გენდობა. კაცი კაცს რითაც შეუძლია იმითი  
უნდა დაეხმაროს. ეს შენ შეგიძლია და კიდევაც უნდა  
მიშველო.

—მაგის კი რა მოგახსენოთ!? ბერძენი ვაჭარი კა-  
ცია. ფული სავაჭროდ აქვს. ის ფულს არ ასესხებს.  
ამასთან ბევრი სხვებიც მაწუხებენ და გამოტყუილი უნდა  
ვსთქვათ, ბატ. სილიბისტრო ივანიჩი, რომ თუ არა  
თქვენ, სხვისთვის ბერძენტან ამ საქმისთვის არ წავი-  
დოდი. ვეცდები. ვნახოთ. ხვალ ყველაფერს შეგატ-  
ყობინებთ.

მათ მუსაიფში დრო შეუმჩნეველად გასულიყო.  
გოგია ჩვეულებრივად 10 ან 11-ს საათზედ სადილობ-  
და. ამ დროს გოგია დაბალ სადილობას ეძახდა.

—ახლა პატარა „ზაკუსკა“ მიირთვით ბატ. სილი-  
ბისტრო ივანიჩი! მართალია თქვენ ასე ადრე არ ბრძან-  
დებით სადილობას დაჩვეული, მაგრამ მე დღესვე უნდა  
გიახლოთ ბერძენტან.—უთხრა გოგიამ და თან სილი-  
ბისტროს წინ გრძელი იმერული სუფრა გაშალა.

—გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო გოგია! მიუგო სილიბისტრომ, და ცოტა ხნის შემდეგ გრძელ სუფრას მიუჯდა.

ორივე მხიარულის სახით, იმედებით აღჭურვილნი მიუხსდნენ სუფრას. გოგიას აღნიშნული მიზნის მიღწევა, მისი განხორციელება ახარებდა და სილიბისტროს კი ფულის შოვნის იმედი.

—ბატონო, სილიბისტრო! თქვენც გაიგებდით, რომ თამაზას ქვის მუშტარი ვუშოვნე. დაიწყო გოგიამ სადილზედ მუსაიფი.

—თუ ღმერთი გწამს?! გაიკვირვა სილიბისტრომ.

—ვაჭარი კარგი ვუშოვე. ფულიანიც არის და პატიოსანიც, მაგრამ ერთი საქმე გვაჩერებს.

—რა? რა საქმეა? ჰკითხა მსუნაგმა ვექილმა.

—რა, ბატონო და ნოტარიუსის წესით ყიდვა ვერ გადაგვიწყვეტია, რადგან ორ-სამ წილ ხარჯს გარდა ბევრი თრევა უნდა. არ შეიძლება სხვანაირად შევისრულოთ ნასყიდობა! სრულებით დამშვიდებულის ხმით ჰკითხა გოგიამ, თითქო მის გულის სიღრმეში კაცთმოყვარეობის მაგიერი ბოროტება, სიმუხთლე და გაუტანლობა არ გამეფებულიყოს.

—როგორ არა. ნოტარიუსის ხარჯს თუ ვრიდებით, ამის ასაცდენად ბევრი საშუალებაა. მიუგო სილიბისტრომ.

—რა არის, თქვენი კირიმეთ! გვიბრძანეთ. უთხრა გოგიამ და ღვინით სავსე ჭინჭილა\*) სილიბისტროს წინ დაუდგა.

\*) ჭინჭილას იმერეთში ზაფხულობათ სმარობენ. თიხის მატარა დოქა, ვიწრო უკლიანი საიდგანად წურაღად მომდინარე ნაკადული ადვილად უკლავს კაცს წუერვილს. ავტ.

—საშუალება ბევრია, მაგრამ ყველას მედიატორის წესით შესრულება სჯობია. მხოლოდ საჭიროა აქ თამაზას თანხმობა... იგი თანახმა....

—როგორ არა, როგორ არა! გააწყვეტია მუსაიფი გოგიამ. ის მე ყველაფერს მენდობა, რასაც ვურჩევ, ის არის...

—ჰოო! თუ ასეა, მაშ საქმე კარგად ყოფილა. სთქვა სილიბისტრომ და ცივი ღვინით სავსე ჭინკილა სიამოვნებით გადაუკიდა. მერე მედიატორეთ ვის ირჩევთ? ცოტა ხნის შემდეგ მოუბრუნდა ისევ სილიბისტრო.

—თქვენს იქით გზა არ გვაქვს, პატივი უნდა გვცეთ და ეს საქმე თქვენებურად უნდა მოგვიქახრაკოთ! უთხრა გოგიამ.

—თქვენ კი მირჩევთ, მაგრამ ახლა თამაზასაც ჰკითხეთ, რას გეტყვისთ. თუმც იმისთვისაც ბევრჯერ მიცია პატივი, მაგრამ, ვინ იცის, იმას, ეგებ, სხვა ჰყავს სახეში. უთხრა გოგიას გახარებულმა სილიბისტრომ.

—ამაზედ ლაპარაკი გათავებულია. თამაზამ თანხმობის ნიშნად ხელიც მომცა. უთხრა გოგიამ, მხოლოდ თქვენ ეს გვითხარით მედიატორეს შეუძლია რამე მოახერხოს?

—მედიატორეს ბევრი რამ შეუძლია, ჩემო გოგია! თუ სინდისს გადაუდგა, სიითაც უნდა იქით მიმართავს საქმეს. მკვდარს სულს ჩაუდგავს და ცოცხალს სიცოცხლის დღეს გაუმწარებს. მისი გადაწყვეტილება, რაღაი ძალაში შევა, ვერავინ ვერ დაარღვევს; ძალაც ისეთი აქვს, როგორც „ქუფჩას“. განუმარტა გოგიას სილიბისტრო ხრიკაძემ.

—მაშ, რად უნდა დაგიფიცოთ. დღეს აქ მე და შენ ვართ; ღმერთის მეტი კაცი არ გვიყურებს... ძნელია ადამიანის ლალატის გულში გავლება, მაგრამ, როგორც ვატყობ ქვას ბედნიერი მომავალი მოელის. შავი ქვის მუშაობა დიდ წარმატებაში წავა. თამაზას მამული, ადრე თუ გვიან, მაინც ვილაც უცხოელის ხელში ჩავარდება... თუმც ძრიელ მიჰირს, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდეს... გაფიცებ შენს პატიოსანს ცოლ-შვილს, თუ ეს საქმე არ მოხერხდება—აქვე დავიწყვით ჩემი ნაამბობი... ჩვენს მეტმა ეს არავინ შეიტყოს... მე განვიზრახე თამაზას მთელი შავი ქვის ადგილები როგორმე ხელში ჩავიგდო... თუ ამას მომიხერხებ, მერწმუნე, ჯეროვანს საღირაღს მიიღებ... ყოველ-გვარ სავექილო საქმეს შენზედ გადმოაცემინებ!.. უთხრა ადელვებულის ხმით გოგია.

—ეგ ძნელი საქმე გიფიქრია, ჩემო გოგია! სიღარიბისა გამო, შეიძლება, კაცი სინდისს გადაუდგეს, მაგრამ... ცოტა შეერდება... მაგრამ მაგ გვარ საქმეს ციმბირისკენ ბევრი მიუბრძანებია. შესაძლებელი კი არის? რატომ არა! ადამიანს ყველაფერი შეუძლია!.. მაგრამ თამაზა ჩემი კარგი მეგობარია და მეგობრის მოღალატეს ხომ ვაგიგონიათ, რაც მოელის... „მეგობრის მოღალატე ქრისტეს გამყიდველიაო“—ნათქვამია.

სილიბისტრო ხრიკაძემ დიდ ხანს ილაპარაკა სინდისზედ, პატიოსნებაზედ, მეგობრობაზედ, ლალატზედ და სხვანი... ბოლოს გადაწყვეტით უთხრა გოგიას:

—რადგანაც ვგრეა, მაგ საქმის წარმოებას ჩემს კისერზედ ვღებულობ, მხოლოდ ნუ გეწყინებათ და სასყიდელიც შესაფერი უნდა მივიღო. ვინ იცის თუ



კარგად საქმე არ მოვაწყვე, ამ საქმემ კიდევაც გაძა-  
კიმბიროს. უთხრა სილიბისტრო ხრიკაძემ.

—სასყიდელზედ გულს არ დავწყვეტავთ, მხოლოდ  
გვიბრძანეთ, რა ნაირად მოვევლება ამ საქმეს თავი?

—ეს საქმე აი როგორ უნდა გავაკეთოთ: შენ და  
თამაზა შავი ქვის ადგილებში თითქო მოზიარენი ხარო  
და დღეს იყოფით. ამასთან თამაზა უნდა დავარწმუნოთ,  
რომ გოგიას საკუთრებად მხოლოდ ის ერთი ნაკვეთი  
ადგილი დარჩება, რომელშიდაც გარიგდენ და ფულიც  
მიიღო, დანარჩენი კი ისევ მისვე საკუთრებად დარჩება.  
მხოლოდ არამც და არამც ნოტარიუსთან ყიდვა-გაყიდ-  
ვაზედ არაფერი არ უნდა დასცდეს. ნოტარიუსის და-  
სამტკიცებელ ქაღალდშიმე ყველა ადგილებს ჩავუწერ.  
საჭიროა თამაზამ მარტო ხელი მოაწეროს, ნოტარიუს-  
მა ბეჭედი დაჰკრას და მერე მე ვიცი. თუ ვისურვებ  
მთელ მამულს შენ მოგისჯი, რადგან ამის სრული ნება  
მექნება. ჩემ განჩინებას „სულში“ წარვადგენ. „სულია“  
დაამტკიცებს. „ლისტს“ მოგცემენ და მერე, ვისაც  
უნდა ქვა თავში იხალოს... მხოლოდ საწყალ თამაზას  
დავღუბავთ... ამის ნაცვლად, რასაკვირველია, ჩემს  
საშრომელს ცოტას ვერ დაგჯერდებით. ათას მანეთს,  
ერთი კაპეიკი, რომ დააკლდეს—არ მივიღებ... შენ რა  
გენადვლება, ჩემო გოგია! ამ ფულებს ხომ შენ ჯიბიდ-  
გან არ მაძლევ. ბერძენს და იმ შენს ამხანაგს, როგორ  
ეტყობა, უთვალავი ქონება აქვს... მათი ოხრად ნაშო-  
ვარი ფული ცოტა ჩვენც გვერგოს... ვალიანი კაცი  
ვარ... წვრილი ცოლშვილი სულს მიწუხებს... უთხრა  
გოგიას სილიბისტრომ.

—ათასი მანეთი ბევრია, ბატონო სილიბისტრო!  
ვერც გეტყვი მაგდენს, რადგან შავი ქვის წარმოება

ჯერ ახალი საქმეა. ვინ იცის როგორ წავა?! მე ხვალ ამის შესახებაც მოველაპარაკები, თუ ისურვებთ და საქმეს გაგვიკეთებთ 300 მანეთს ხვალვე მიიღებთ და 300 მანეთსაც მაშინ, როდესაც ხელში რაიმე საბუთი გვექნება.

სილიბისტრო სრული თანახმა იყო გოგიას წინადადებისა, ამაზედ უმცირესი სასყიდელიც, რომ შეედლიათ, მაგრამ „არც ასე უცბად დათანხმება ვარგაო“ იფიქრა სილიბისტრომ და მეორეჯერაც უარჰყო გოგიას წინადადება...

დილა იყო. ასე 9 ანუ 10 საათი თუ იქნებოდა. №-ის ნოტარიუსის კანტორა სავსე იყო ხალხით. კანტორის ერთ კუნჭულში ჩვენი გოგია ცბიერაძე, სილიბისტრო ხრიკაძე, თამაზა გლეხიცი დამდგარიყვნენ და ხრიკაძის დარიგებაზედ თამაზა დრო გამოშვებით, სრული თანხმობის ნიშნად, თავს უკრავდა და ეუბნებოდა: „კი ბატონო, როგორც თქვენ მიბრძანებთო!“ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ეს სამი არსება, რაღაც სიხარულით გაბრწყინვებულნი გამოვიდნენ კანტორიდან... ერთს მათგანს—ხრიკაძეს რაღაც ქაღალდი ეკავა ხელში და მცინარე თვალებით ჩასჩერებოდა.

✓

ახალი გამოზაფხული იყო. მწვანედ აბიბინებული მინდორ-ველი ხელოვნურად დახატულ სურათს წარმოადგენდა. ზამთრის სიცივეებისაგან შეჩერებული გრძნობები—გაზაფხულის სითბოს კვლავ აეშალა და ყოველი არსება წმინდის გულით ერთმანეთს ეტრფოდა,

ვალერსებოდა და ალტაცებულის სიხარულით ზამთრის ბატონობიდან განთავისუფლებას ულოცავდა. ამ გვარად ამწვანებულს მდებლოს კიდევ უფრო მეტს სიმშვენსიერეს აძლევდა მასზედ მოდებული შინაური ცხოველების ჯოგი.— აქა-იქ, შეამჩნევდით სოფლის ცუგრუმელა გოგოებს, რომლებსაც მკლავზედ პატარა კალათი წამოეცვათ, ხელში მოკლე ტარიანი იმერული დანები დაეჭირათ და ღობის ძირებში „ფხალს“ თუ „პრასინას“ თხრიდენ, კალათებში იწყობდენ. ერთმანეთს შესცინოდნენ, ეოხუნჯებოდნენ და ერთი მხიარული კისკისი გაჰქონდათ.

— გოგო, ირინე! გეიგე თამაზას თებრონიას, რა საქმე დამართია?! უთხრა ერთმა სოფლის გოგომ მეორეს.

— რა, გოგო, რა დამართია? მითხარი თუ ქალი ხარ! მაგრამ აქეთ მოიწი, ხმა მალლა ნუ იტყვი, თორემ თებრონეც აქ არის და გაიგონებს. უთხრა მეორემ.

რა, შელახა \*) და ჰო!.. (შეჩერდება და თებრონესაკენ გაიხედავს) თურმე იმათ ადგილებში რომ ბერძენი მუშაობს იმას მოსწონებია და ცოლად თხოულლობსო... ვაი ნეტაი მის ბედს?! მერე რამდენი ფული აქვს თურმე იმ მიწა გასაწყვეტს!!

— ჩუ, თუ ღმერთი გწამს, ჩუ! მაგას რაუა დევიჯერებ. ღმერთო კი მომკალი, რას არ მოჰკორავენ ამ ოხერს ჩვენს სოფელში?! ის კი არა და ბერძენი კარგად არც კი დალაპარაკებია თებრონეს. განაგრძო ირინემ.

---

\*) შემოკლებული „შენ გლახა“, რომელსაც ხშირად ხმარობენ სოფლის დედაკაცები მუსხაიფის დროს. ავტ.

— თებრონე, თებრონე! მართლა ძალიან მდიდარს ამბობენ იმ თქვენს ბერძენს? მიახარა ირინემ, ცოტა მოშორებ მდგომ თებრონეს იმ მიზნით, რომ მისი პასუხი ყველას გაეგონა და თავისი ნათქვამით გაემართლებია.

— მიწასაც შეუქამია მისი სიმდიდრე. მდიდარი ქე არის, მარა, ჩვენ რაი მერე?! ამას წინეთ ჩემი მაშვლენი მოვიდნენ. საქმე თითქმის, გათავებული იყო. საკუთარი ჩვენი ფული გვერგებოდა. ვსთხოვეთ რამოდენიმე თუმანი წინდაწინ მოეცა, მარა ისე მის თვალებს გაუხარია, რავარც იმან ჩვენ ხელი გაგვიმართა! მიუვო თებრონემ და თან ამხანაგებსაც წამოეწია.

— მაგას გოგო განგებ იხამდა! ჩაერია მუსაიფში კესარიაც და სიცილით უთხრა. ასე ამბობენ, შელახა, რომ თებრონეს ის ბერძენი ცოლად თხოულობსო კისკის-ხუმრობით ჩასჩურჩულა ყურებში კესარიამ.

— ვაი, არ აუდგა იმას გვერდები! ის კი არა, დედა არ მომიკვდეს, სულ ორჯელ არ დაუნახავარ... ნეტავი მართლა, გაუწყრებოდეს ღმერთი და მოექცეოდეს ფხარი. გოგო, უნდა ნახო, შელახა, რა ფულები აქვს?! სულ ტომრებით მოაქვს ხოლმე და ურიგებს მუშებს. ნეტავი მის ცოლს?! განაგრძო თებრონემ.


თებრონემ, თუმც პირველად ითაკილა ბერძნის ცოლობა, მაგრამ სიმდიდრეზედ ოცნებურ წარმოდგენილობამ, ყველაფერი დაავიწყა.

ბერძენი სულ ერთი წლის მოსული იყო. მადნები

თამაზას სახლზედ ცოტა დაშორებული იყო. ბინა  
ბერძენს თამაზას ეზოში ერთ პატარა ცალკე ოთახში  
ჰქონდა, რომელიც განგებ თავის გემოზედ გაიკეთა.  
მუშაობიდან მოსვლის დროს თებრონე ბერძენს განგებ  
ემალეობდა, თვალით არ ეჩვენებოდა. ამით ბერძენი  
უფრო ღელვდებოდა და მუდამ ლამაზ თებრონეს ხელ-  
ში ჩაგდებას ფიქრობდა.

თეოდ. ხუსკივაძე

(შემდეგი იქნება).



## გობბგოლდ ლესსინგი.



წერლის ცხოვრებას, თავ-გადასავალს ძლიერ დიდი ზედ-მოქმედება და გავლენა აქვს იმი, გრძნობა გონების ვითარებაა და მოღვაწეობაზეს ამიტომაც, კარგად რომ შეიგნოს და სამართლიანად დაათვალოს კაცმა მწერალის სალიტერატურო მოღვაწეობა, საჭიროა იმის აღზრდის, ყოფა-ცხოვრების, თავ-გადასავალის და მოქმედების ზედმიწევნით, ნათლად შესწავლა. მხოლოდ და მარტო ამ პირობით გამოირკვევა მწერალის სრული სახე და იმის ისტორიულს მნიშვნელობასაც მიენიჭება ლიტერატურაში ჯეროვანი და შესაფერი ადგილი. ამ აზრით მსურს შევებო ამ წერილში გერმანიის ლიტერატურის ერთის უშესანიშნავესის და უდიდესის წარმომადგენლის—ლესსინგის ცხოვრებას და მოღვაწეობას... ლესსინგის ცხოვრების თავ-გადასავალი ნათელს მიჰქვენს მის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობასაც და აშკარად დაგვანახებს, თუ რაოდენი ღვაწლი და ამაგი შეუძლია დასდოს ერთმა კაცმა თავის სამშობლოს, ამასთანავე ლესსინგის ცხოვრება ჩვენ დაგვანახებს იმასაც, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა

გერმანული მწერლობა ლესსინგის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლამდე, და როგორი ხასიათი, გზა და მიმართულება, აზრი და შინაარსი მიანიჭა ამ შესანიშნავმა კრიტიკოსმა შემდეგი თაობის გრძნობა-გონების წინმსვლელობის და წარმატების საქმეს.

## I

### ივანიშვილი მუხრანბაძის

გამოჩენილი რეფორმატორი გერმანიის ლიტერატურისა გოტტგოლდ ლესსინგი დაიბადა 1729 წ. მამა ლესსინგისა ისე, როგორც მამის მამაც და დედის მამაც პასტორება, მღვდლები იყვნენ. მშობლები ლესსინგისა დატვირთული იყო დიდი ოჯახით, მრავალი შვილებით: ათი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ და, თუმცა ღარიბები იყვნენ, მაგრამ შვილების აღზრდას მაინც დიდ ყურადღებას აქცევდნენ, განსაკუთრებით უფროსი ვაჟის მომტანს—გოტგოლდს, რომელიც ჰსურდათ აღეზარდათ სარწმუნოების დიდს შიშსა და კრძალულებაში. ჯერ ხუთი წლის არც კი შექნილიყო გოტგოლდი და იგი დაბადებას და კატეხისმოს შეენიერად ჰკითხულობდა. ლესსინგს ბავშობიდანვე ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა და მამაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელს უწყობდა შვილის სწავლა-განათლების საქმეს. თერთონსა აღვთო სჯულს და დაბადებას ასწავლიდა. მშობლებს უნდოდათ, რომ მათი შვილი გამოსულიყო ღირსებით, ცოდნით და სათნოებით სავსე პასტორი და ცდილობდნენ გემანზიაში მიეცათ ყმაწვილი და იქიდან გადასულს უნივერსიტეტის კურსიც დაესრულებინა. 1741 წელს მამამ, დიდი მეცადინეობის შემდეგ, ძლივს 12 წლის ლესსინგი მიაღებინა ერთს მაშინდელ საშუალო სასწავლებელში,

რომელსაც აფრანეთს ეძახდნენ. — იმ საშუალო სასწავ-  
 ლებელში, სადაც სწავლობდა ლესსინგი, მეტის მეტად  
 სასტიკი წესები იყო შემუშავებული და შემოღებული  
 მოწაფეების აღსაზრდელად. ყმაწვილები ხუთი საათის  
 ნახევარზე დილით ფეხზე უნდა მდგარიყვნენ, პირი თავის  
 ხელით იქვე ეზოში ამოყვანილ ქის წყალით უნდა დაე-  
 ბანათ, ტანისამოსი და წაღები თვითონვე თავის ხელით  
 უნდა გაეწმინდათ და სალოცავად უნდა წამდგარიყვნენ.  
 კვირა-უქმე დღეებში მთელი რვა საათი ეკკლესიაში უნდა  
 ფეხზე მდგარიყვნენ და ისე მოწიწებით და გულ-მხურვა-  
 ლედ უნდა შევედრებოდნენ ღმერთს. ვინც თამბაქოს  
 მოსწევდა, ან ბანქოს ითამაშებდა, იგი, რაც უნდა ნიჭი-  
 ერი ყოფილიყო, უეჭველად სასწავლებელს უნდა გამოთ-  
 ხოვებოდა საუკუნოდ. სხვა რამ მოზარდი სხეულისათვის  
 სავარჯიშებელი თამაში, გიმნასტიკაც აკრძალული იყო,  
 მხოლოდ მცირეს ხნობით შეიძლებოდა სასწავლებლის  
 პაწია ეზოში გასეირნება. წარმოიდგინეთ, ზაფხულობით  
 ორის თვით მოწაფეთა ჩვეულებრივი განთავისუფლება და  
 დათხოვნაც არ იცოდნენ იმ სასწავლებელში, თუ რა ხილი  
 იყო. საგნების სწავლებას წმინდა ცრუ კლასიკური ხასი-  
 ათი ჰქონდა. ერთს კვირაში ყველა გაკვეთილების მთელი  
 ნიხვარი მარტო ერთს ლათინურს ენას ექირა, ასე რომ,  
 საღვთო სჯულს, ლიუტერის კატეხისმოს და სხვებსაც  
 ლათინურად ასწავლიდნენ. ბერძნულსაც საძაგლად ასწავ-  
 ლიდნენ. ფრანგულ ენას, არითმეტიკას, ისტორიასაც ისე  
 ხილად ასწავლიდნენ და საზიზღრადაც. იმ სასწავლებელში  
 სულ ექვსი კლასი იყო და მთელი კურსის დასრულება-  
 საც ექვსი წელიწადი უნდებოდნენ. მხოლოდ ის, ვინც  
 მთავრობის თვალში ნიჭიერად ითვლებოდა, ერთს წლით



ადრე დაასრულებდა კურსს. ლესსინგიც ერთი ამ ბედნი-  
ერთაგანი შეიქმნა.

აფრანეუმში ლესსინგის საყვარელი პროფესორი იყო  
კლიმი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ფილოსოფია და  
მათემატიკა. კლიმის ჩაგონებით და ხელმძღვანელობით  
ლესსინგი შეუდგა წიგნების ბეჯითად კითხვას, ლიტერა-  
ტურის საფუძვლიანად შესწავლას და განსაკუთრებული  
ყურადღება კლასიკურ მწერალთა პოეტურ ნაწარმოებს  
მიაქცია. ძალიან შეუყვარდა ჰომიროსი, ანაკრეონი, პლა-  
ვტი, ტერენცი და თეოფრასტეც. ანაკრეონის გავლენის  
ქვეშ მყოფი ლესსინგი ლირიკულ ლექსების წერას გაჰყვა.  
ამ დროს მან ხელი აიღო თითქმის გაკვეთილების გაზე-  
პირებაზე და სკოლაში ყოფნაც ძლიერ მოსძულდა. მთელს  
სამეცადინო დროს მხოლოდ ლექსების წერას და სხვა-  
და-სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა. თვითონ დაბნული  
ცხოვრება, კარ-ჩაკეტილ ოთხ კედელ შუა ყოფნა იმ სა-  
სწავლეობლისა, უფრო ხელსაც უწყობდა ფიზიკის, ენე-  
რგიით სავსე ნიჭიერი ყმაწვილი კაცის ამ გზით სიარულს  
და იგი, მართლაც, საფუძვლიანად გაეცნო ძველ მწერ-  
ლებს გარდა, ახალ გერმანულს სამხატვრო ლიტერატუ-  
რასაც. რამდენადაც უფრო-და-უფრო ვითარდებოდა ნი-  
ჭით და თვისი თავის ცნობაში შედიოდა, იმდენად უფრო-  
და-უფრო მეტი სკოლის ზიზღით და სიძულვილით აევსო  
ლესსინგს გული და, ბოლოს, იქამდის მივიდა საქმე, რომ  
მან ამ ხანებში დასწერა კომედია, სახელდობრ, „ახალ-  
გაზდა სწავლული“, სადაც შხამიანის დაცინვით გამოხატა  
ტიპი სასწავლეობლის ქკუის კოლოფთა, ცრუ-მსწავლუ-  
ლთა. ეს კომედია ლესსინგმა მხოლოდ ორი წლის შემ-  
დეგ დაასრულა, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი უკვე  
ლევაცილის სტუდენტი იყო. ამ კომედიას დიდი საბიო-

გრაფიო მნიშვნელობა აქვს. „კომედია მსწავლა ჩემი საკუთარი თავის ცნობაო“, ამბობს ლესსინგი და, მართლაც, იგი ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას და ჭკუის განვითარებასთან ერთად გაივარჯიშა და დაიხელოვნა სალიტერატურო ნიჭი, რომლითაც ბუნებისაგან უხვად იყო დაჯილდოებული. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ლესსინგის შესახებ დაწერილი შენიშვნები აფრანგუზის რექტორის მიერ, რომელიც ამბობს, რომ «არ მოიძებნება ცოდნის არც ერთი ნაწილი, რომელსაც არ შეეებძოლოს იმის მღელვარე სული, მაგრამ იმას ხშირად უნდა მოაგონოთ, რომ ასე უგანაჩენოდ ნუ ჰფანტავს და აწვრილმანებს თავის სულიერს საუნჯესო“...

როგორც მოგახსენეთ, ის საშუალო სასწავლებელი საშინლად შეზიზღდა, გული თან და თან აევსო «ნაღვლითა და შხამითა», და მშობელ მამას გული-ამომჯდარი, ტირილით ემუდარებოდა, გამიყვანე და მომაშორე აქაურობას, თორემ დავიღუპებიო. გულკეთელმა მამამ შვილს თავის თხოვნა მხოლოდ მაშინ აღუსრულა, როდესაც რექტორისაგან მიიღო შემდეგი წერილი: „ეს (ლესსინგი) ისეთი ჯიშის კვიცია, რომელსაც ორჯელ მეტი საქმელი უნდება, ვიდრე სხვებს; ის გაკვეთილები, რომელნიც სხვებისათვის ძლიერ მძიმე და აუტანელია, შენი შვილისათვის ბატის ფრთის კალთაზე უმსუბუქესია და უადვილესია. ამიერიდგან იგი ჩვენთვის თითქმის აღარ გამოდგება“.

ლესსინგი აფრანგუმიდან პირდაპირ გადავიდა უნივერსიტეტში, სადაც მამამ სტაპენდია მოუხერხა და უშოვა. ლესსინგი უნივერსიტეტის ვიწრო პროგრამისა და წეს-წყობილების მოთხოვნილებასაც ექვემდებარებოდა. ეს იყო მიზაზი, რომ ხშირად მშობლები და პროფესო-



რები აქაც უსაყვედურებდნენ მას, რომ ყოველისთვის სტა-  
ნაჩენოდ ედები და შენი გრძნობა-გონება იფანტება,  
წვრალმანდება სრულიად უბრალოდ და უხეიროდო. იგი,  
მართლაც, ყოველისთვის ეტანებოდა და რაიმე განსაზღვ-  
რულს ერთ გზას არ ადგა, თუმცა წიგნებს გატაცებით  
კითხულობდა და მიზნად თვით-განვითარების დიდი  
საქმე ჰქონდა წინ წამოყენებული. უნივერსიტეტში მან  
კარგად იგრძნო, რომ ამიერიდან იგი, ვერც ღვთის-მეტ-  
ყველი მღვდელი შეიქმნებოდა, ვერც პედაგოგი საღვთის-  
მეტყველო დოღმატები იმის საშინელს მქრელსა და კრი-  
ტიკულს ნიქს სრულიადაც არ ეპიტნავებოდა. პედაგო-  
გობაც ვერ გაიტაცებდა მას, რადგან, ლესსინგის აზრით,  
პედაგოგი და პედანტი ერთი და იგივეა, სულსა და ხორ-  
ცივით განუყრელნი არიან. მართლაც, საღვთის-მეტყვე-  
ლო და საპედაგოგო ცოდნას ლესსინგისებური კაცები  
ცხოვრების სახსრად ვერ გამოიყენებენ ხოლმე ლესსინგს  
დიდი სურვილი ჰქონდა ცრუკლასიციზმის საპყრობილის  
დახშულის და მოწამლულის ჰაერისათვის თავი დაეღწია,  
კოცხალი და ენერგიით სავსე გამოსულიყო და ქეშმა-  
რიტის მეცნიერების და ლიტერატურის შესწავლით გა-  
ცნობოდა ქვეყანას და ცხოვრებას. სამწუხაროდ, ბუ-  
ნების-მეტყველება, ე. ი., ნამდვილი და ქეშმარიტი მეც-  
ნიერება იმ დროს პრუსიაში ერთს უშველგებელს საშიშ-  
რობას წარმოადგენდა და უნივერსიტეტებშიაც კი ძლიერ  
ვიწრო და უმნიშვნელო ფარგალი ჰქონდა შემოსაზღვრუ-  
ლი. ამიტომაც, ლესსინგი იძულებული შეიქმნა დასწაფე-  
ბოდა და შეებოდა კლასიკურ განათლებას გაცნობას,  
ძველი ქვეყნების ცხოვრების ისტორიას. ლესსინგმა ამ  
დროს უნივერსიტეტში მიაქცია აგრეთვე დიდი ყურად-  
ღება ახალი დროის ლიტერატურის და ხელოვნების

ვითარების საქმესაც. მრავლის უმრავლესი საინტერესო წიგნების კითხვა, და ამ წაკითხულის აზრის ნიქიერად შეთვისებამ ლესსინგი ძალიან განავითარა ჰკუა-გონებით, გაუფართოა და გაუვარჯიშა აზრი და ძლიერს, მკაცრს ლოდიკურს მსჯელობასაც შეაჩვია.

ესლა კარგი და პატივცემული პროფესორების ლექციებიც ვეღარ აკმაყოფილებდა მას და ამიტომ ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ კარგი წიგნები და ლექციები, მართალია, რაიმეს შეგასწავლის, სისტემატიურ გზას დაახლოვებითაც გიჩვენებს, მაგრამ ნამდვილ ცოცხალ და მომქმედ კაცად, ნიქიერებით და ენტუზიაზმით საესე მოღვაწედ ვერასოდეს ვერ გაგხდისო. ლესსინგი ამ დროს გაიტაცა თეატრმა... გერმანული თეატრის საქმე იმ დროს ძალიან უბედურს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. პრუსიის დიდი მზრძანებელი ფრიდრიხი II ძალიან სწყალობდა თეატრს და საფრანგეთიდან მოსულ მსახიობთ მუდამ ათამაშებდა ხოლმე შიგ. საკუთარი გერმანული დრამა-კომედიები რაკი არ არსებობდა, ეს მსახიობნი ფრანგულიდან და ინგლისურიდან გადმოთარგმნილ დრამებსა და კომედიებს თამაშობდნენ ყოველთვის...

ლესსინგმა ამ დროს დაბეჭდა ერთი უხვირო კომედია „დამონ, ანუ ჰემმარიტი მეგობრობა“, სადაც, არც აღდამიანის ხასიათი იხატება, არც სცენის ცოდნა. ამ კომედიას ეტყობა ცრუ კლასიციზმის და, განსაკუთრებით, იმისი მამათ-მთავრის კლოპშტოკის გავლენა. მაგრამ ლესსინგის მახვილი გრძნობა-გონება, იმისი უხიზელი კრიტიკული ნიქი მალე მიიზიდა რეალურ ცხოვრების მრავალ-გვარობამ და კლოპშტოკის «გენიოსურს» კილოს და ფორმას სამუდამოდ ზიზლით განშორდა. რამდენადაც

ლესსინგი წინად აღმერთებდა კლოპშტოკს, იმდენად ახლა იმას ზიზლით უყურებდა, და საშინელის ირონიით გულს უსერავდა. „მესსიადის“ სახელოვანს ავტორს იგი შხამიანის ენით დასცინის: «ვინ არ აღიდებს კლოპშტოკს? მაგრამ განა ყველა კიოზულობს იმას? არა. ჩვენი სურვილია, რომ დიდებას მცირედ გვიძღვნიდენ, ხოლო გულმოდგინებით და ხალისით კი გვეკითხულობდენ. მრავალი უნიკო მომღერალი იმის ლექსებს მღერის, იმას აღიდებს მრავლის უმრავლესი უმცარი კრიტიკოსი, იმას ჰბაძავს ხომ ამდენი სულელი და გამოჩერჩეტებული... გალობა, რომელსაც დიდ ალტაცებაში მოჰყავს ჭაობის ბაყაყი... ეს გალობა ხომ, რასაკვირველია, უნდა იყვეს ნამდვილი ბაყაყის ყიყინი“. თუ „დიდებულს“ კლოპშტოკს ასეთი სიტყვებით უმწარებდა სიკოცხლეს, ადვილად წარმოსადგენია, ამ დროს სხვებს, კლოპშტოკზე გაცილებით უფრო უნიკოებს, თუ როგორ გამწარებით და დაუზოგველად უთხრდა იგი სამარეს... ლესსინგი ძალიან დიდი ტალანტის მქონი ახალ-გაზდა კაცი იყო, გამოჩენილ კლასიკურ ნწერალთა ნაწარმოებზე აღზრდილი, ახალი ლიტერატურის ზედ-მიწევნით მკოდნე და, რასაკვირველია, იგი უფრო განვითარდებოდა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ბუნების-მეტყველების და ფილოსოფიის გაცნობას შეუდგებოდა. ლესსინგი ძალიან ხშირად დადიოდა ბოტანიკის და ქიმიის ლექციების მოსასმენად და უნდოდა შეესწავლა მედიცინა. ფილოსოფოსების ნაწერებმა უფრო გაიტაცეს იგი და, განსაკუთრებით, ცნობილის ვოლფის თხზულებანი შეიყვარა. ამ დროს ლესსინგი ისე ძლიერად განვითარდა და დაბრძენდა, რომ ყოველ ნაბიჯს კაცის მოქმედებისას და გრძნობა-გონების ნაწარმოებისას დაუწყო ყურება წმინდა საისტორიო-

ფილოსოფიურის შეხედულობით. პირველ საქმედ ლეს-სინგს მაინც თეატრი მიაჩნდა... სტატიებისა და ნათარგმნებისაგან რაც ფულს შოობდა, სულ ერთიანად თეატრის ბილეთებზე ხარჯავდა; ასე გასინჯეთ, ფრანგულ და ინგლისურ დრამებს და კომედიებსაც იმ იმედით სთარგმნიდა, რომ თეატრში დასაჯდომი სკამის ბილეთი უფასო ჰქონოდა.

კომედია „ახალ-გაზნაღ სწავლული“, რომელიც ლეს-სინგმა ორის წლის წინად დასწერა, დიდად განათლებულის პროფესორის კესტენგრის ხელ-მძღვეანელობით შეასწორა, კარგად შეამუშავა, და ისე წარუდგინა მს.ხიობს ქალს ნეიბერს, რომელმაც ლესსინგი ძლიერ შეაქო და უწოდა მას წინამორბედი გერმანული ნაციონალური დრამისა. მ.ღე ეს კომედია წარმოსადგენად დადგეს სცენაზე და დიდი შთაბეჭდილება გამოიწვია და საოცარი ზედ-მოქმედებაც მოახდინა მაყურებელ საზოგადოებაზე, რადგან მასში ცოცხლად არის დახატული ისეთი ტიპი, რომელსაც იცნობდა მთელი ლეიპცილი. მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს პიესა არც ისე სანაქებო და ვასაოცარი იყო მაინცა და მაინც, როგორც ბევრს ეგონა. კი, მომქმედი პირები პიესაში ცოცხლად არიან დახატულნი, ავტორს არც კომიკური სახე ნაწერისა აუ გადაუქცევია კარიკატურად, მაგრამ კომედიის მაინც ძლიერ ეტყობა მიბაძვა, ფრანგულ კომედიებიდან ზოგიერთ ადგილის თითქმის პირ და პირ გადმოწერა. მთელი ნიჭი ლესსინგის მიმართულია ახალ-გაზნაღ პედანტის დამისის ცოცხლად დახატვაზე. დამისის ხასიათი ფრიალ შნოიანად და თავიდან ბოლომდე უმეტნაკლებოდ გაატარა ავტორმა. განსაკუთრებით დიდი ნიჭიერებით გამოხატული აქვს ავტორს ის ფსიხოლოგიური წამი, როდესაც ახალგაზნაღ სწავლუ-



ლი შეიტყობს თავის დისსერტაციის სამწუხარო  
ბერლინელ მეგობარს, რომელსაც დამისმა გაუგზავნა თვისი  
ნაშრომი, ვერ გაუბედავს აკადემიაში იმის წარდგენა,  
რადგან ავტორს, თურმე, ვერ გაუგია ტემაც, უმთავრესი  
საგანი, რაზედაც უნდა ემუშავნა. — აკადემიამ ტემად და-  
ნიშნა გამოჩენილის ფილოსოფოსის ლეიბნიცის მონადე-  
ბის შესახებ საგნის სრული განხილვა და ეს საგანი უნდა  
გამორკვეულიყო ფილოსოფიურის და ისტორიულის  
მხრით. ახალგაზდა პედანტს კი ეგონა, რომ სიტყვის მო-  
ნადის ღრამატიკული აზრი უნდა აეხსნათ, და დასწერა  
მთელი უშველებელი ტრაქტატი იმის შესახებ, თუ რო-  
გორ, რა აზრით უხმარია სხვა და სხვა დროს, სხვა და  
სხვა სწავლულს ეს სიტყვა. რა თქმა უნდა, რომ აკადე-  
მიის ტემასა და დამისის დისსერტაციის შორის „დიდი  
ზღვარია“... ამ ამბავმა დამისს ელდა დასცა და გულ-  
გახეთქილია, გამწარებული მთელს პრუსიას ემუქრება. ის  
ღრმად დარწმუნებულია, რომ ქვეშარტი გენიოსი არის,  
მაგრამ მუხთალი წუთი-სოფლის უბრალო მომაკვდავთ  
არა სწამთ დამისის გენიოსობა. „ოჰ, თქვე გამოჩურჩუ-  
ტებულო ნემცებო! დიახ, რა საკვირველია, რომ ღირსე-  
ულად დაფასებული არ იქმნას ისეთი ნაწარმოები, როგო-  
რიც ჩემი დისსერტაცია, საჭიროა, რომ სხვებიც ჩემსავით  
გენიოსები იყვნენ!! თქვენ საუკუნოდ ბარბაროსულ უმე-  
ცრებაში უნდა დარჩეთ, და იქმნებით მუდამ თქვენი გო-  
ნება-მახვილ მეზობელთათვის დაცუნვის საგნად! მაგრამ  
ჩემი ასეთი შეურაცხებისათვის მე თქვენზე შურს ვიძიებ!  
ამიერიდან უარს ვყოფ ნემენცობას და იმის სახელ-წო-  
ლებას აღარ ვატარებ, მე ჩემს უმადურს მამულს საუკუ-  
ნოდ განვშორდები“...

მამა ლესინგისა ძალიან შეწუხებული იყო, როდენ-

საც თავისი შვილის ესეთი საქციელი გაიგო, და წერილი მისწერა, სადაც იგი სთხოვდა ლესსინგს, თეატრი და აქტიორ-აქტრისებთან ტლინკვა მიეტოვებინა, თორემ ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ სტრენდიას წაგართმევენო. მაინც მშობლებს ათას-ნაირს უმსგავსო ჭორებს უზიდავდენ შვილის შესახებ. 1748 წელს, როდესაც ლესსინგმა ზამთარი სახლში, მშობლებთან გაატარა, გარდაწყვეტილ სთხოვდენ მას, რომ თეატრისთვის თავი დაენებებია და მამა-პაპის გზას დადგომოდა... იმავე წლის ახალ გამოზაფხულზე უნივერსიტეტის სტუდენტი შინიდან ისევ ლეიპცილში დაბრუნდა და საექიმო ფაკულტეტზე დაეწერა. მაგრამ ლესსინგს თეატრი უფრო იზიდავდა, ვიდრე მედიცინა. ამ დროს ლესსინგმა კიდევ დაიწყო ერთი ტრაგედიის „გიანგორი, ანუ უარყოფილი ტახტი“ს თხზვა, მაგრამ ვეღარ დააბოლოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლესსინგის სალიტერატურო მოღვაწეობა ერთბაშად შესწყდა. თურმე ნუ იტყვიოთ, მისის მოხუცებული მამის სიტყვები გამარჯობდა. ერთმა ვიღაც მსახიობმა გულკეთილი სტუდენტი მწარედ მოატყუა. მსახიობს სტუდენტი თავდებად დადგომოდა; მსახიობი ვენაში წაბძანებულიყო, იქ ლაშად აღვილიც ეშოვნა და თავის დამხსნელი ყმაწვილი კაცი გაბრაზებულ ფულის გამსესხებელს ჩაუგდო ხელში. ამ დროს ლესსინგი ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. იმა' ჰყავდა ერთი კარგი მეგობარი მილიუსი, მაგრამ ისიც ბერლინს წავიდა. ის იყო იმ დღეებში ლესსინგის ბიძაშვილი, ვიტტენბერგის უნივერსიტეტის სტუდენტი ლეიპცილში სტუმრად იყო, და აქედან ლესსინგი თავის ბიძაშვილს გაჰყვა ვიტტენბერგში, საიდანაც ლესსინგს ბერლინს უნდოდა წასვლა.



II

ვიტტენბერგში ლესსინგი ავად გახდა და ბერლინს ვეღარ წავიდა. იგი დაეწერა სიეკიშო ფაკულტეტზე იქაურს უნივერსიტეტში, მაგრამ ერთ თავად ფილოსოფიას სწავლობდა და პოლიტიკურ საქმეებს ადევნებდა თვალყურს. ამ დროს ლესსინგი მოურიგდა ვენის თეატრის დირექტორს ჭიმისთვის სწერდა კომედიებს. ვიტტენბერგში ლესსინგი მაინც ძლიერ შეწუხებული იყო ნივთიერად და, როდესაც იმისი მეგობარი მილიუსი ბერლინში მიიწვიეს ერთი დიდი გაზეთის რედაქტორად, ლესსინგმაც იმ წამსვე მიატოვა ვიტტენბერგი და გასწია თავის მეგობართან... მილიუსი ალტაცებით მიეგება ლესსინგს, ოთახი მიუჩინა, ჩააცვა სუფთად, საზრდო მისცა და ისე მოუხერხა საქმე, რომ იმ დიდი გაზეთის გამომცემლის ბიბლიოთეკაც ჩააბარეს. ლესსინგსაც ეს უნდოდა... მას მიანდევს კრიტიკისა და რეცენზიების განყოფილება და, რაც ახალი წიგნი მოვიდოდა რედაქციაში, იმათ განხილვას სინიღისიერად სწერდა. მაგრამ გაზეთი მალე დაიხურა და შემდეგ თვით მილიუსმა დაიწყო გაზეთის გამოცემა. მილიუსის გაზეთში ლესსინგმა დაბეჭდა ერთი მოახრობა: „განდევილი“ და კომედია „ხნიერი ქალწული“.

ბერლინში გადასვლა ლესსინგისა იმის მშობლებს თოფიდან გასროლილს გახურებულ ტყვიასავით მოხვდათ გულში. მშობლებმა ვეღარ აიტანეს შვილის ესეთი დანაშაული და მისწერეს მას საშინლად ცხარე და მწარე წერილი, სადაც ლანძღავდნენ შვილს და დიდად უსაყვედურებდნენ, რომ დაივიწყა ღმერთიც და მშობლებიც. ლესსინგი გაუმაგრდა მშობლების მკაცრს საყვედურს და სულდათქმული, ტკბილი პასუხი მისწერა მოხუცებულებს...

ლესსინგმა მაინც გადაწყვიტა ბერლინში დარჩენა და დრამატიულ მოღვაწეობას შეუდგა... მან ფრანგულიდან გადმოთარგმნა რამდენიმე ტრაგედია და დასწერა კომედია «ებრაელნი».. ლესსინგი ძალიან ბევრ დროს ანდომებდა თარგმანებს და საეჟურნალო მუშაობას. მან გადმოთარგმნა „რომის ისტორია“ როლლენისა, შვენივრად შეისწავლა ჰისპანური და იტალიური ენები და გიუდიგერთან ერთად რედაქტორობდა გაზეთს, რომელიც იკვლევდა ისტორიას და თეატრალურ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობას. ამ დროს ლესსინგმა დაიწყო ერთი ახალი ტრაგედია, სახელდობრ, „გენცი“, მაგრამ ვეღარ დაასრულა, რადგან ცუდს ყოფაში იყო, და დამშეულს ქაბუქს, არ იცოდა რა ექნა..

ბერლინში ცხოვრებამ ლესსინგს დიდი სარგებლობა მოუტანა. იგი გაეცნო საზოგადოებას, საფრანგეთიდან მოსულ ფრანკუზებს, რომელთა სიტყვა-პასუხი, ქცევა შეითვისა, ასე რომ ფრანგულადაც დაიწყო თავისუფლად კომედიების წერა... ლესსინგის ფხიზელი კრიტიკული ნიჭი იმასაც კარგად მიხვდა, თუ რისი წარმომადგენლები იყვნენ ეს ცრუ-კლასსიცაზმის მიმდევარი ფრანკუზები, რა ხასიათი და მიმართულებაც ჰქონდა თვით ბერლინელთა მაშინდელს განათლებას და ლიტერატურას. ბერლინში ლესსინგი გაეცნო ფილოსოფიის პროფესორს კენიგს, რომელიც ბერნიდან გამოვესტუმრებიათ, როგორც თავისუფალი და საშიშარი მოაზრე. კენიგის წყალობით ლესსინგმა გაიცნო ძვალი ბერლინისა, ის უპირატესი საზოგადოება, სადაც ბრწყინავდა და მეფობდა ვოლტერი, რომელსაც თითქმის აღმერთებდა პრუსიის თვით-მპყრობელი ფრიდრიჰი II, დიდი, ბერლინში ერთი გაზეთის თანამშრომლად მიიწვიეს ლესსინგი და „სამეცნიერო განყო-

ფილები“ რედაქტორობა მიანდევს. ლესსინგს სწორედ თვისი ნიჭისა და ცოდნის შესაფერ სფერაში მოუხდა მუშაობა, და მანაც ჯერ კიდევ ოც და ორის წლის ქაბუკმა, გამოიჩინა შესანიშნავი კრიტიკული ნიჭი და სწერდა ფრიად საყურადღებო კრიტიკულ წერილებს. მთელი განათლებული პრუსია, და ასე გასინჯეთ, მოხუცებული მაჰა იმისიც, ადევნებდა ახლა თვალ-ყურს შვილის სტატიებს და მოწონდა... ყველასთვის აშკარა იყო, რომ ლესსინგი სალიტერატურო რეპუტაციას დაიმსახურებდა ბერლინში, მაგრამ, რაღაც საფათერაკოდ, ამ დროს ლესსინგს ერთბაშად შეტაკება მოუხდა ვოლტერთან, რომელმაც დიდი ზარალი და ვნება მოუტანა ჩვენს ახალ-გაზდა ლიტერატორს.... შევჩერდეთ აქ, რომ მოკლედ მაინც გავიცნოთ ეს ამბავი.

საქმე, აი, როგორ იყო: ვოლტერის მდივანი რიშე მეგობარი იყო ლესსინგის, რომელსაც ჯერ ერთი დაუბეჭდელი ხელ-ნაწერი თხზულება ვოლტერისა „Siécle de Louis XIV“ ათხოვა. საზოგადოება დიდის ამბით და მოუთბენელობით უცდიდა ამ თხზულების დასტამბვას. რიშემ თუმცა სთხოვა ლესსინგს, რომ ეს თხზულება არავისთვის ეთხოვებინა, მაგრამ ლესსინგთან შემთხვევით მივიდა იმისი მეგობარი, რომელმაც ვოლტერის ნაწარმოები თან წაიღო. ლესსინგის მეგობარს მეტიჩარობით მოუვიდა, აღბად, რომ ეს თხზულება ერთ გრაფის ოჯახობას აჩვენა. აქვე, ამ გრაფის ოჯახშივე ნახა ეს წიგნი ვოლტერის ერთმა პატივის მცემელმა და მეგობარმა ქალმა, რომელსაც ეს ამბავი გველის ნაკბენივით მოხვდა გულზედ. მან დიდად უსაყვედურა ვოლტერს, რომ შეწინი წიგნის ერთი ეგზემპლიარიც არ მითავაზე, და სხვებს კი კაი ხანია მიუღიათ და საქვეყნოდ დაატარებენო. ვოლ-

ტერი, როგორც მოგვხსენებთ, ძლიერ თავ-მოყვარე, წვრილმანი ფილოსოფოსი გახლდათ და, როდესაც გაიგო ეს ამბავი იმ ქალისა, საშინლად გაბრაზდა.. იმ წამსვე უბრძანა თავის მდივანს, რომ წიგნი წაერთმია ლესსინგისათვის და იქვე გაეჩინა. ამ დროს, თურმე, ლესსინგიც ვიტტენბერგში წასულიყო და ვოლტერის თხზულებაც თან წაეღო, რადგან ბოლომდის არ დაესრულებინა ამისი კითხვა. ვოლტერმა იფიქრა, ალბად, ლესსინგს უნდა გადათარგმნოს, ან გადააკეთოს ის ნაწარმოები და ცალკე წიგნად დასტამბოსო. ვოლტერი ბრაზით და ნალველით აივსო. ფილოსოფოსმა ახალ-გაზდა მწერალს სრულიად უსაბუთოთ მატყუარა და ქურდი უწოდა და თავისი მდივანი კი დაითხოვა. ვოლტერმა მისწერა ლესსინგს წერილი, რომელიც წარმოადგენს ვოლტერის ვიწრო თავ-მოყვარეობის, მედიდურობის და ამპარტავნულის სიტყვა პასუხის მარგალიტს. ვოლტერი იწერება, დამიბრუნე წიგნი და დასტამბვის შემდეგ შევიძლია გადათარგმნო ნემენცურს, თუნდ იტალიურს ენაზეო.. ლესსინგმა მისწერა ვოლტერს ლათინურ ენაზე ბარათი, რომელიც ვოლტერის ქალაქებში დღემდისაც ვერ უპოვიათ ლიტერატურის ისტორიკოსებს. ლესსინგმა წერილთან ერთად წიგნიც დაუბრუნა ავტორს, რომელიც ნემენცურს და იტალიურ ენაზე გადათარგმნას კი არ ჰფიქრობდა, ყოველგან და ყოველთვის ლესსინგს საშინლად ლანძღავდა და ზნეობით დაცემულად, გაფუჭებულად გამოჰყავდა. ვოლტერს, როგორც ვიცით, იმ დროს მთელს ევროპაში დიდი სხელი ჰქონდა გავარდნილი და მასთან ლესსინგის დატაკების ისტორიამ მთელი პრუსია აალაპარაკა და ლესსინგის რეპუტაცია დიდად შელახა. ლესსინგმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი „სკანდალი“ და საჩი-

ვრები აუტეხა ფილოსოფოსმა საბირჟო სპეკულიაციის შესახებ ერთს ბერლინელს ურიას. ამ სკანდალის და საჩივრების გამო, ლესსინგი ვოლტერს ძალიან კრიტიკულად უყუბრებდა და ვოლტერის შესახებ დაცინვით ეპიგრამებსაც სწერდა გაზეთში. ერთს ეპიგრამაში, მაგალითად, ლესსინგი ეკითხება თავის-თავს: „დიდებული პოეტისთვის შეიქნა ესე მდიდარ საძაგელ ძუნწად? და უპასუხებს: დიახ, ევ იმისთვის მოხდა, რომ ბედმა წინაღვე განსაზღვრა, რომ ყოველი ქეშმარიტი პოეტი შიმშილით უნდა მოკვდესო“ ..

ლესსინგი დარჩა ვიტენბერგში, სადაც უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში დიდი ხალასით მეცადინეობდა და ემზადებოდა სამაგისტრო ეკზამენის დასაჭერად. 1752 წ. 29 აპრილს მან მიიღო „თავისუფალ ხელოვნების მაგისტრობის“ ხარისხი და გამოეცხობა უნივერსიტეტს. მამა ურჩევდა შეიღს, საპროფესორო კათედრა დაეჭირა, მაგრამ ლესსინგმა ამის მაგივრად თავისი ნაწერები დასტამბა ექვს ნაწილად. პირველი ნაწილი, სადაც მოთავსებულია ავტორის სალირიკო ლექსები და რომელთაც სალიტერატურო მოქმედება აქვს, ლესსინგს პირველ ხარისხვან პოეტის სახელს ეგრ მიანიჭებს. შესანიშნავია უფრო ლესსინგის ეპიგრამები, სადაც ლიტერატურის ბევრს უნიჭო წარმომადგენლებს შხამიანად დასცინის. მაგრამ ირონიის შხამს საზღვარი არა აქვს იქ, სადაც ლესსინგი ვოლტერს ეხება. ერთს ალაგს იგი სწერს ვოლტერსა და ებრაელ ბ.ნიკრის შორის ამტყდარს საჩივრებისა და დავიდარების ამბავს და, სხვათა შორის, აი რას ამბობს: „უცბიერესი ურია მთელს ბერლინში ცდილობდა, რომ პოეტი მოეტყუებინა. მოტყუილება ვერ მოუხერხდა. რატომ? ჰო, ალბად იმიტომ, რომ პოეტს თვით აპოლ-

ლონი სწყალობდა! არა; მიზეზი უფრო მარტივია: პოეტი უფრო დიდი „პლუტი“ და ცბიერი, გაქნილი იყო, ვიდრე ბერლინელი ურია“... ეპიგრამებს მისდევს ლესსინგის შესანიშნავი „კრიტიკული წერილები“, სადაც ავტორის მახვილ-გონიერება, მართლაც გასაშტერებელია. ამ წერილებში ლესსინგი დაეტაკა იმ დროის სახელ-განთქმულ ავტორიტეტებს და ლიტერატურას აუჩინა სრულიად ახალი გზა და მიმართულება...

პირველი სტატია „კრიტიკულ წერილების“ შეეხება ჟან-ჟაკ რუსსოს შესანიშნავ პასუხს, რომელიც მიუგო მან დიჟონის აკადემიის მიერ აღძრულს ტემას: მეცნიერების და ხელოვნების გავლენა ზნეოაზე. ფრიად საინტერესოა რუსსოს მსოფლიოზე უკუხედულება, რომელმაც მისცა დასაწყისი მრავლის უმრავლესს მოძღვრებას, რომელნიც დღესაც ებრძვიან ცივილიზაციას. ყოველს თავის ნაწერში ეტყობა რუსსოს უკიდურესი რადიკალობა, პრაქტიკულს მოქმედებაში კი უარყოფა იმისი, რასაც ემსახურება აზრით და უმოძღვრებს კაცობრიობას. პირველმა იმისმა ნაშრომმა: ეხმარება თუ არა მეცნიერების და ხელოვნების წარმატება ზნეობა-სწავლების განწმენდას, თუ განხრწნილებას? ავტორს ევროპაში ერთბაშად განუთქვა სახელი ბრწყინვალე დიდი მოაზრისა და ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი უარსჰყოფს მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, კულტურას, რომელმაც დააშორა კაცობრიობა ბუნებრივად ბედნიერად ცხოვრებას. რუსსო ამტკიცებდა, რომ მეცნიერებამ, ხელოვნებამ და მთლად ცივილიზაციამ ზნეობით გაანადგურა კაცობრიობა და თავის თანამედროვე საზოგადოებას დაეტაკა თავ-შეუკავებელის მღელვარებით. მაგრამ რუსსოს მალე უკანვე თან მიაქვს თვისი მოძღვრების უკიდურესობანი. მან განაცხადა, რომ იგი უარს ყოფს

მავნებელს კულტურას და მზად არის ირწმუნოს კარგი კულტურის სასარგებლო მხარეები; რომ საჭიროა გავარჩიოთ ცხოვრების ბუნებრივ საფეხურებზე აღზრდილი ბუნებისავე შვილი გაწესრიგებულ სამოქალაქო ცხოვრებაში აღზრდილ ადამიანისაგან. თუმცა რუსსო ხატავს ხელოვნების და ლიტერატურის გამხრწნელ თვისებას, მაგრამ იგი, საზოგადოდ, არ უარჰყოფს არც ერთს, არც მეორეს და სახეშა აქვს მხოლოდ თავის თანამედროვე, უშინაარსო და უმსგავსი ლიტერატურა—ხელოვნება და დიდად ჰსურს პრაქტიკულად თვითონვე მოახდინოს რეფორმები ამ სამფლობელოში; და, ამიტომაც, იგი სწერს ბევრ რომანს, სადაც გამოყვანილია კაცის ბუნებრივი, შეუღლებელი და კულტურის მიერ ხელ-უხლებელი თვისებანი... რუსსო არ უნდა კაკობრიობას დაუბრუნოს წინად ყოფილის, ველურის ადამიანის უმეცრება; იმას ჰსურს მხოლოდ კაკობრიობას მიანიჭოს „განივრული შეუგნებლობა“ და ცნობიერი გულ-მარტივობა, სიალალ-მართლე. ერთის სიტყვით, იგი მოწადინებულია ზნეობრივ და აღზარდოს კაკობრიობა და სულ ერთიანად გარდაქმნას იმის არსება, გრძობა-გონება. სოციალურ და პოლიტიკურ საქმეთა შესახებაც უმწვერვალესი რადიკალი იყო რუსსო, მაგრამ ამის განმარტებას აქ ადგილი არა აქვს... ლესსინგი გაეცნო რუსსოს მსჯელობას და იმის შესახებ, სხვათა შორის, სწერს: „უნებურად გებადება გულში დიდი საიდუმლო პატივისცემა იმ კაცისადმი, რომელსაც ჰსურს კეთილ-მომქმედი ზნეობის დაცვა ყოველ გვარ ამაოდ-მორწმუნეობისაგან — თითქმის იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი თავის ქადაგებაშიაც კი ძლიერ შორს მიდის... ჩვენ შეგვეძლო ბევრი იმის მოძღვრების საწინააღმდეგო აზრები გვეთქვა იმისთვის, ჩვენ შეგვეძლო

გვეთქვა, რომ აღორძინება სწავლა-მეცნიერებისა და ხელოვნების განხრწნა, ანუ სახელმწიფოთა დაცემა—ეს ორი საგანია, რომელიც, შესაძლებელია, ერთი მეორის დროს მოხდეს, მაგრამ ერთი მეორესთან ისეთი დამოკიდებულებაც აქვსთ, როგორც მიზეზს მოქმედებასთან. ქვეყანაზე ყველაფერს თვისი საზღვარი აქვს. სახელმწიფო იზრდება მანამდის, სანამ ამ ზრდის საზღვარს არ მიაღწევს; სანამ სახელმწიფო იზრდება, მანამდის იზრდება იქ მეცნიერებაც და ხელოვნებაც. ამიტომ, როდესაც სახელმწიფო დაეცემა, მეცნიერებისა და ხელოვნების ბრალი კი არ არის იმის დაღუპვა, არამედ იმის, რომ ქვეყანაზედ მუდამ და საუკუნოდ არაფერი არ იზრდება... მართალია, ქვეყანა მოქალაქეთა ათინა დაიღუპა, მაგრამ განა კეთილ-მოამქმედლი ზნეობის მექონი სპარტა კი გადურჩა ამ ხვედრს?.. მეცნიერების და ხელოვნების ცუდად მოხმარება, გამოყენება ჰრყუნის და ხრწნის ხალხის ზნე-ხასიათს; მაგრამ მეცნიერება, ხელოვნება კი არ არის თავის თავად, ბუნებითად გამხრწნელი და გამრყენელი. ნუ თუ მხატვრობა დამნაშავეა იმაში, რომ რომელიმე მხატვარი ცუდად გამოიყენებს და მოიხმარს მას, როდესაც გამოხატავს უმართებულოდ და საძაგლად საგნებს? განა პოეზია იმიტომ უნდა ავითვალწუნოთ და შევიძულოთ, რომ ზოგიერთი პოეტი ჩირქსა სცხებს, ბილწავს მას უგვანო და საზიზღარი საქციელით? ერთსაც და მეორესაც ადვილად შეუძლია ემსახუროს სათნოებას და კეთილ მოქმედების ზნე-ხასიათს. ხელოვნება ყოველთვის ისეთია, როგორც ჩვენა გვსურს იმათი ყოფა“...

როგორც ვხედავთ, რუსსოს მოძღვრებას ლესსინგი არ ეთანხმება, მაგრამ მაინც ამტკიცებს, რომ ბედნიერი იქნებოდა საფრანგეთი, ამ გვარი მქადაგებელნი ბევრი



რომ ჰყავდეს მასო. რუსსოს ამ გვარი ქადაგებანი, რასაკვირველია, მეცნიერებას და ხელოვნებას ვერ მოსპობს, მაგრამ სამაგიეროდ, ცოტად მაინც გვიხსნიდა უმსგავს და უნიჭოთა ნაწერებიდანო... „კრიტიკულს წერილებში“ უფრო საყურადღებოა „მესსიადის“ ავტორზე დაწერილი სტატია. ლესსინგმა ამ შესანიშნავი სტატიით სრულიდ ბოლო მოუღო კლოპშტოკს და იმის მიმდევარ მწერლებს. ოკ-და-ორის წლის ახალ-გაზდა კრიტიკოსის სტატიამ ძლიერი ზედმოქმედება და შთაბეჭდილება მოახდინა ლიტერატურაში. ამ სტატიამ მთელი პრუსია ააღაპარა. ყოველი წრისა და მიმართულების მწერალმა წარმოსთქვა თავისი აზრი ამ შესანიშნავ სტატიის შესახებ. სხვათა შორის, სწავლული ზულცერი ამ სტატიას ძლიერ აქებდა, თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ლესსინგი ჯერ-ჯერობით ძალიან ახალ-გაზდააო. მსწავლული ღეთის-მეტყველი სპალდინგი „მესსიადის“ შესახებ დაწერილს კრიტიკას უწოდებდა „ზრდილობიანს და სამართლიანს“. თვით დიდებულმა კლოპშტოკმა, რასაკვირველია, ჩვეულებრივად, როგორც „დიდებულთ“ იციან ხოლმე, პასუხის ღირსიც არ გახდა ახალ-გაზდა კრიტიკოსი. იმისი შეურყეველი ავტორიტეტობა თითქოს დიპლომატურად უთიუებდა თავის ყურ-მოჭრილებს: თქვენ ებრძოლეთ ლიტერატურის ცაზე ახლად ამოსულს მნათობს... მე კიო... მართალი რომ ვსთქვათ, იმათ ლესსინგი სძულდათ და ამასთანავე ეშინოდათ კიდევ... გაცხარებულმა და დაუზოგველმა კრიტიკული წერილების წერამ ლესსინგს გაუმრავლა აუარებელი რიცხვი მტრებისა, რომელნიც ათას გვარ უმსგავსო ქორებს ავრცელებდნენ მაზე. ლესსინგი, რასაკვირველია, არ შეუშინდა მტრებს და საშინელის მღელვარებით და ენერგიით ებრძოდა მათ. მტრებმა ლესსინ-

გი იმით დასაჯეს, რომ დააბეზღეს იგი მეფე ფრიდრიჰს, რომელსაც მას შემდეგ კრიტიკოსის სახელის გაგონებაც კი საშინლად ეზოზლებოდა... ლესსინგი თანდათან შორდებოდა იმ საზოგადოებას, სადაც ვოლტერის სახელს და სხვების, „დიდებულთა“ ავტორიტეტს დაებრმავებინა ხალხი და სხვა უფრო განათლებულს და მღვიძარებით სავსე, ფხიზელს წრეს გაეცნო. ლესსინგის მეგობართა შორის უნდა დავასახელოთ გამოჩენილი ფილოსოფოსი და დიდირეფორმატორი ურია მოსე მენდელსონი, რომლის ნათელი არსება და ჰუმანური მსოფლიოზე შეხედულება ლესსინგს ძალიან ანცვიფრებდა, და სახელოვანს სპინოზას უღარებდა მას. ლესსინგის კომედია „ებრაელნი“ და შესანიშნავი ნაწარმოები მთელ მსოფლიო ლიტერატურაში „ნათან ბუძენი“ თითქმის ხატვენ იმის მგობრის, მენდელსონის ზნეობის სახელს, ხასიათს და ყოფაქცევას. განათლებული დესპოტი ფრიდრიჰ II, ფილოსოფოსი ვოლტერი და სხვა დიდებულნი და „ძლიერნი ამა სოფლისა“ საშინელი მტრები იყვნენ ურიების, მაგრამ ლესსინგი ვერ შეაშინა ამ გარემოებამ და თვისი თავი დაჩაგრულ ერის მომხრედ გამოაცხადა საქვეყნოდ. ამ დროს ლესსინგი გაეცნო აგრეთვე განათლებულ ჰატიოსან მამულიშვილებს, პოეტებს ზეწიგნების გამომცემლებს, რომელნიც აქეზებდნენ და ახალისებდნენ ლესსინგს და იგიც, მართლა, მთელს თავის ძალ ღონეს და დროს ანდომებდა ლიტერატურას. — ლესსინგის წინანდელ დრამატიკულ ნაწერებს თითქმის კრუ-კლასისიკური ხასიათი ატყვია. ბოლოს კი ლესსინგი სრულად განთავისუფლდა ამ მიმართულებისაგან და იმის კომედიებში იხატება სინამდვილე, მომქმედ პირთა ცხოვრება. ლესსინგი ძალიან მალე მიხვდა მთელი მაშინდელი ლიტერატურის დიდს ნაკლს

და შეუდგა ინგლისურ ბელეტრისტულ და დრამატიულ ლიტერატურას და, განსაკუთრებით, დიდი შექსპირის შესწავლას. მაგრამ, სამწუხაროდ, შექსპირის საფუძვლიანად შესწავლას ლესსინგის ნიჭი ააცილა, ეგრედ წოდებულმა, სანტიმენტალურ ხასიათის ლიტერატურამ... დიდად გასაკვირველია, მამაცურს, მხნეობით საფე და განუყოფელი ბუნების პატრონს ლესსინგს, რად შეუყვარდა დაუსრულებელი სცენები გულ-ჩვილობისა, გრძნობა მორეული და ატირებული კაცის ცრემლები და წუთი-სოფლის საცოდავთასულის უნიადაგო მწუხარებანი! აქ მტკიცდება ის ფაქტი, რომ ლიტერატურის საერთო მიმართულებას ვერ ასცდა წინაპირველად ისეთი უდიდესი ტალანტის მექანიკ კაციც, როგორც ლესსინგი იყო, და ამ გავლენის ქვეშ დასწერა ტრაგედია «სარა სამპსონი». საფრანგეთის ლიტერატურაში სანტიმენტალური მიმართულების წარმომადგენელი იყო დიდი მოაზრე ფილოსოფოსი დიდრო. ამ უკეთილშობილესი ენციკლოპედისტის მეოხებით კრუ კლასიკურმა სკოლამ საუკუნოდ დაჰკარგა უპირატესობა და გზა დაუთმო ლიტერატურის ახალს ვითარებას. ახალი სანტიმენტალური მიმართულება ბურჟუაზიის ცხოვრებიდან იღებდა მასალას და უარს ჰყოფდა დაქანებული რიტორიკას, მაღალს კილოს, საგმირო, დიდებულს სახეთა დახატვას, რომელიც მხოლოდ მეფეების, გამოჩენილ სარდალთა და უპირატეს კარის-კაცთა გარემოში ტრიალებდა. ლესსინგს უნდოდა ეს ახალი მიმართულება ნემენცების ლიტერატურაშიაც შემოეტანა და დასწერა, როგორც ვსთქვით, ტრაგედია „სარა სამპსონ“, რომლის ბერლინის სცენაზე დადგამამ ავტორს გაუგდო დიდი სახელი მთელს პრუსიაში. სწორედ იმავე დროს, როდესაც სწერდა «სარა სამპსონს», ლესსინგმა დაიწყო ისეთი ნა-

წარმოების წერა, რომელიც პირ და პირ ნემენცურ სახალხო სულსა და ხასიათს ჰხატავდა, მაგრამ იგი დაუსრულებელი დარჩა ავტორს.

ახალი ტრაგედიის წარმოდგენის შემდეგ, ლესსინგის სტოვეებს ბერლინს და მიდის ლეიპცილს. აქ ლესსინგი მეგობრებმა გააცნეს ერთ ლეიპცილელ მდიდარ ვაჭრის შვილს — ვინკლერს, რომელიც აპირებდა მოგზაურობას ჰოლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში, და ეძებდა ისეთს კაცს, რომელსაც ცოდნოდა ამ ხალხების ენა, ლიტერატურა, ისტორია და თანაც გაყოლოდა იმას. ამ ვაჭრის შვილს ურჩიეს, რომ ლესსინგი წაეყვანა. ვინკლერიც დაჰყაბულდა. ლესსინგს მეგობრები ურჩევდნენ პირობის ხელწერილით შეკროდა ვაჭრის შვილს. ლესსინგი, თვის მხრით, პატროსნად და სანიდისიერად შეუდგა თავის ვალდებულების აღსრულებას და ძალიან საფუძკლიანად შეისწავლა სხვა და სხვა ხალხთა ხელოვნების ისტორია. გამგზავრების წინად ლესსინგი მუზეუმების გასაცნობად ქ. დრეზდენს წავიდა და იქ მოულოდნელად წაატყდა თავის მშობლებს, რომელთაც ფულების შესახებ მცირე რაზ მოლაპარაკება ჰქონდათ ფრეიბურგელ მღვდელთან.

1756 წელს, გაზაფხულზე, ვინკლერი ლესსინგითურთ გაემგზავრა გალბერშტატს, სადაც ინახულეს ლესსინგის მეგობარი პოეტი ელიმო, მერე — ბრაუნშვიდის, საცა გასინჯეს მუზეი და მივიდნენ ვოლფენბიუტელს, რომ იქაური შესანიშნავი წიგნთსაცავი დაეთვალიერებინათ. მოგზაურებმა ჰამბურღიც ინახულეს და განზრახვა ჰქონდათ მთელი ჰოლანდია შამოეარათ, მაგრამ უეკრად ამსტერდამში ცნობა მოვიდა, რომ შვიდი წლის ომი

დაიწყო და პრუსიელების ჯარმა ლეიპცილი აიღო. ვინკლერი იმ წამსვე გაბრუნდა ლეიპცილს. ლესსინგმაც მთელი ზამთარი იმის სახლში გაატარა. ვინკლერი და ლესსინგი სრულიად სხვა და სხვა პოლიტიკური რწმენისა და შეხედულობის კაცები იყვნენ. ვინკლერი იყო ნამდვილი საქსონელი პატრიოტი და საშინლად სძულდა პრუსიას, ლესსინგი კი ფრიდრიჰ II სთვლიდა გერმანიის საერო გმირად. პოლიტიკური რწმენის სხვა და სხვაობა შეიქმნა იმის მიზეზი, რომ ამ ორ კაცს ერთმანეთს შორის ჩხუბი მოუვიდათ და ვინკლერმა თავის სახლიდან დაითხოვა ლესსინგი, და ვაქრის შვილმა არც ის ფული მისცა, რომელიც პირობის ძალით ლესსინგს ერგებოდა. ლესსინგმა ვინკლერს დაუწყო საჩივარი, რომელიც გაგრძელდა მთელი შვიდი წელიწადი და, ბოლოს, მოიგო მან საქმე, მაგრამ იმ ფულების ნახევარზე მეტიც საჩივრის წარმოებას მოუხდა. ლესსინგი ამ დროს ძალიან ღარიბად იყო და მხოლოდ თარგმანებში აღებული ფულებით იბრუნებდა სულს. ლესსინგი მაინც თვალ-ყურს ადევნებდა პოლიტიკურ ამბებს და დაიწყო ახალი ტრაგედიაც («ქმაღლა ქაღალტი»), რომელსაც ნელ-ნელა და დიდის გაქირებით სწერდა. გარდა ამისა, ლესსინგმა შეისწავლა შვაბთა საგმირო ამბები და სცდილობდა რამე სამუშაო ეშოვა აქ, მაგრამ ამაოდ: ვერასტერს გახდა ლ 1758 წელს, მაისის თვეში, ისევ ბერლინს გასწია \*)

სამჯელი

(შემდეგა აქნება)



\*) 1. წყაროები: Die Lessing—Legende Eine Rettung von Frans Mehring. Stuttgart, 1893.

2. Лессингъ, его время, его жизнь и дѣятельность («эстетика и поэзія»), П. Г. Чернышевскаго, изд. М. Н. Чернышевскаго, Спб., 1893 г. цѣна 2 руб.

3. «Лессингъ, его жизнь и литературная дѣятельность». М. Филлипова,

4. «Лессингъ, какъ драматургъ», Ф. Андерсона, спб. 1887 г.

## სამართველმს

დედა-ქალაქი

# ტფილისი

გაგრძელება \*

ქალაქში მოტანილ ალაფით თამარი აშენებდა და ამკობდა სასახლეებს და ტაძრებს, დედოფალი დიდს საბოძვარს იმეტებდა პალესტინას, სინას, შავ მთას, ათონს და სხ. ტაძრებისათვის. 1187 წ. თამარმა სულთან სალადინს შეაძლია 200,000 დინარი იმ ჯვარში, რომელიც სარკინოზთ მოეტაცნათ იერუსალიმიდგან და რომელზედაც ჯვარცმულ იყო მაცხოვარი.

თამარს ტფილისს გარეშე ჰქონდა სასახლენი შემდეგს ადგილებში: ნაჭარმაგუკს (ეს სასახლე იყო სალბინო და საზაფხულო), თოღას (კახეთში), დედაფლის წყაროს (ქიზიყში), გეგუთს, ანუ ციხე-დარბაზს (ქუთაისის ახლოს), ჯვარანს (სომხითს), გელათს, ვარძიას (სამცხეში), თამარას-ცახეს (ბათომის ახლოს), ლაზურს (მთიულეთში), ბაჭარმას (ფშავეთში), კოღას (სამცხეში), ცხუმს, ოცხეს (აბასთუმანი), ბუთანაას (ტფილისის ახლო), საცა თამარმა ააშენა ტაძარი, რომლის „გასაოცარი ქანდა-

\*) იხ. „კრებული“ № 2.

კება ამტკიცებს, თუ რა მაღალ ხარისხამდე აყვანილი იყო მაშინდელი საეკლესიო ხელოვნება“, ამბობს ბაჭრაძე (ვახუშტ. გვ. 218). აი როგორ აგვიწერს თამარის სასახლეს მისი თანამედროვე შავთელი:

„თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი, გავლა-ვანისა  
შემკულობანი,  
მტილ-სამოთხენი, თვალთ სამ-ოთხენი, ზედ ავაზანთა  
შექმნულობანი,  
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი, იპპოდრომისა განხ-  
მულობანი,  
სახმრად ლანკანთა, თანა პინაკთა, ბადახშნით ხელ ჰყვეს  
შექმნულობანი.

ტახტ-საჯდომელნი, მკამკამებელნი, სარდიონითა  
ხურუზმს შემკულნი,  
მისაყრდნობელნი, ძნელ-საცნობელნი, სამოთხით ნაძლ-  
ტნი თვით უდნობელნი;  
ოქრო-ვერცხლებრივ, ჰბრწყინავს ცეცხლებრივ, კედელ-  
ყურენი ფიქლით ძერწილნი;  
ბივრილიონით, ლიგვრილიონით ურთიერთობით შორის  
შათახილნი.

...გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა, უხდების პურობა  
სკიპტრისა ხელსა,  
ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი  
მათგან დანათვალითა,  
რიყე თუალისა, წინ ნათალისა, წყალნი მგზებარობს  
შიგან ალითა;  
ჰსჩანს მარგალიტი, არ თუ ალიტი, ოდენ ბურთისა სა-  
ბურთალითა;  
აქტს ზარდახჩანი, მას ხე-ბაღანი, ლუსკუმებრ მათთვის  
დასაკრძალითა.

იაგუნდისა, სხუა რად უნდისა? ჯამები იყვის ლალ  
ფირუზისა,  
იყვის კურპელთა, სხუათ უცხო ფერთა, სიმრავლით  
დება თვით ურიცხვისა;  
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი ოქროსა,  
მისგან თლილისა;  
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და  
წინწილისა.  
გუნდ მწყობრი დასი, მას ბევრ ათასი, ჰყავს დიდებულ-  
თა დიდ-გვარ თავადთა.  
...თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყუათა  
სიმართლისათა,  
...სწავლის მოძღუარი, საშვებლის ღვარი, სიწმინდისაა  
ცხოვრების თვალი...  
ჰსჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი, გამდიდრებული ფრი-  
ად ყოვლითა.  
...არ გასტეხს ფიცსა, თვით დანამტკიცსა; ჰე ჰედ  
იყოსა ანუ თუ არად.  
ერი რჩეული, ნიკთა ჩვეული, მისგანვე იქმნეს კეთილ-  
სახმარად“...

თამარიცა და მისი მამაც გარდაიცვალნენ ტფი-  
ლისში. გიორგი მეფემ რომ მიიძინა საუკუნოდ, მაშინ  
თამარი ისნის სასახლეში მარტოდ მარტო იყო, ხოლო  
მისი მამიდა რუსუდანი, თამარის გამზრდელი, იყო  
სამშვილდეს. დიდებულნი და პატრიარქი წავიდნენ  
და მოიყვანეს რუსუდანი. სასახლეში რომ შემობრძან-  
და მამიდა, თამარი დახვდა მეტად დაღონებული და  
ვაგებით მტირალი. დაიტირეს მეფე და იგლოვეს ერთს  
წელიწადს „ბნელსა შინა მჯდომარეთ“.



თამარი ნაქარმაგვეის სასახლეში იყო, რომ აქ  
აქნდა რალაც სენი, რომელმაც ლოგინად ჩააგდო. იგი  
ტახტზე დაწვინეს და მოიყვანეს ტფილისს, ხოლო  
აქედგან წაიყვანეს აგარანს მაგრამ ვერც ჰავამა და  
ვერც მკურნალებმა ვერა უშველეს-რა. თან-და-თან  
სენი უძლიერდებოდა. იგი ისევ ქალაქს მოიყვანეს და  
აქ გარდაიცვალა „მზე ქართველთა“ 18 იანვარს 1213  
წელს. შეიტყუა-რა ერმა მისი განსვენება, ძაძითა და  
ფლასით შეიმოსა და იგლოჯა დიდი დასაკლისი. გვამი  
მეფისა ჩაასვენეს კუბოში და მიიტანეს მცხეთას და იქ  
დასდევს რაოდენიმე დღეს, რათა ერს თაყვანი ეცა  
საყვარელის დედოფლის ნაშთისათვის. მერმე წაასვენეს  
გელათს და დასაფლავეს საგვარეულო სამარხში.

მოგვყავს აქვე თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის  
დატირების ნაწყვეტი ერთ გალექსილ საქართველოს  
ისტორიიდან:

მოადგნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა საზღსა ჩვეულნი,  
„გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი!“  
„შეუძღვნენ, სრასა შევიდნენ, ვით მტერზედ გამარჯვებულნი.

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა დებული,  
„რა არსო ესე, რა არსო?“ შეიქმნენ განცვიფრებული.  
„იქმნება მეფე ძილად წევს! იყავით დაწყნარებული,  
ნურვინ ყაყანებთ, დაჩუმიდით, ვიყვნეთო გაჩუმებული!“

„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა,  
ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვაქსოვსო გმირისა,  
მოვსულვართ შენნი ერთგულნი, არ მხსოვნნი შენგნით ჭირისა,  
ვა-თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს, გვყო მოხსენებად ძვირისა!“

მოიხადეს თავსა ქუდი, იარალი შემოიხსნეს,  
იწყეს მოთქმა საშინელი, არღვისა დაეკათხნეს...



მოსაქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლად სტირნი  
 „ვაჰ, ჩენო ძმანო თუშ-ფშავნო!“ — უბატონობას ჩივიან, —  
 «ხევსურნო ციხის ამღებნა!» — ხმა მალლა ამას ყვირიან, —  
 „აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა! — ყივიან.

„ვაჰ, მთ-ს ხალხნო, ბატონი გვიწყობის, გვწყობის გულითა,  
 არც ჩენი ესპის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,  
 ხომ ჰხედავთ, ჩენნო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ლულითა!  
 ვიციო, შენს უკან არ ვარგ ვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა!“

„მშვიდობით, დიღო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლო და,  
 მშვიდობით, ეროგულთ მოწყალევე, მშვიდობით, ობოლთ მზრდე-  
 ლო და,  
 მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით, მტერთა მკვლელო და!  
 ვით გესალმებით, არ ვიციო, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!“

„რად ესალმებით, მოყმენო!“ — ურთიერთს ეუბნებოდეს:  
 «თან წაგვიყვანე, ბატონო, გული შენთანა გვყვებოდეს,  
 იქნება მარტოს მტერი გხვდეს, თუშთ ხმა არ გეყურებოდეს.  
 ჩვენთვინ სირცხვილ არს, ფშავ-ხევსურ რომე არ შენთან კვდე-  
 ბოდეს!“

„მშვიდობით, თუშთა იმედო, მშვიდობით, ფშაველთ მყვარო-და,  
 მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევე, მშვიდობით, მტერთა მმზარო-და,  
 მშვიდობით, არაგველთ ძალო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,  
 ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ მწყემს წინამძღვარო-და!..»

საქართველო და მასთან სატახტო ქალაქი ტფი-  
 ლისი, დამტკბარნი და განდიდებულნი დიდთა მეფეთა  
 ძლევა-მოსილობით, იმედით შეჰყურებდა მომიავალს.  
 მრავალთა დიდ-დიდთა გამარჯვებათ მოუპოვეს ერს  
 ქონებრივი და ზნეობრივი ძალა, რწმენა თვისის მარ-  
 ჯვენისა და თვისის სამშობლოს სიმტკიცისა. ქართვე-  
 ლთა მეფეებმა აღუფრთოვანეს სული არა თუ მარტო  
 ქართველებს, არამედ თათარ-არაბთაგან ყოვლად და-  
 ჩაგრულ და შევიწროებულ სომეხთაც. ვარდან დიდი  
 ამბობს: „...გიორგი მესამემ დვინი აიღო 1163 წ. და

აქ ნახა, რომ მეწითების მინარეთებზე ელაგა ოღუდუკი  
თათართაგან მოხარშულ ქრისტიანეთა (სომეხთა) თავები. გიორგიმ ამოსწყვიტა მრავალნი მამადიანნი, მათვე ჩამოალაგებინა თავის ქალანი, ოქრო-ქსოვილ ფარჩებში შეახვევინა, კუბოებში ჩააწყობინა და მერე მათვე მუყრესს (ქადაგებს) ზურგზე წამოჰკიდა ეს კუბოები და ფეხშიშველთ წამოაღებინა ქალაქ ტფილისს (ვახუშტი, გვ. 208. შენ. 3).

ამ გვართა შემთხვევათ არ შეეძლოთ არ აღეფრთოვანათ მრავალ-ტანჯული ერი და მერმისის სასოება არ ჩაენერგათ მის სულ-გულში.

უეჭველია, საქართველოს სამეფო დიდ იმპერიად შეიქმნებოდა და ტფილისი ამ იმპერიის სასაყდროდ გახდებოდა, თუ კიდევ ასიოდე წელიწადი მაინც თავისუფლად ყოფილიყო. როგორც ვუწყით, ტფილისის აღებიდან (დავით აღმაშენებლის მიერ) ვიდრე მის გაოხრებამდე ჯალალედდინისაგან გავიდა სულ 104 წ. (1122 წლიდან 1226 წ.) და ამ დროს განმავლობაში საქართველოს საზღვრებად შეიქმნა; კასპიის ზღვა, დარუბანდი, დაღისტანი, ჩაჩანი, ყიბჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნტი, საცა თამარმა დააარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი აღექსი კომნიანოსს, კარნუ ქალაქი (არზერუმი), კარი (ყარსი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე; ასე რომ ამ საზღვრებში ქართველთა მეფეებმა შემოჰკრიბეს მრავალნი სამეფო-სამთავროები, რომელნიც ბაგრატ მესამემდე ცალ-ცალკე სცხოვრობდენ, და ამ გაუქმებულ სამთავრო-სამეფოების გვირგვინოსანთა უფლება თავიანთ ხელმწიფებას შეჰმატეს. ეს გაუქმებულნი სახელმწიფონი იყვნენ: აფხაზეთი (შემო-

უერთდა საქართველოს 985 წ.), ტაო და კლარჯეთი, კახეთ-ჰერეთი, ჩრდილო სამხეთი, აღრიბეიანი, ბარდა, შაქი, შარვანი, დარუბანდი. და თუმცა კავკასიონის მწვერვალი შეიქმნა მიჯნად საქართველოსა, გარნა კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს მოსახლე ერთა ცჰქონდათ საეკლესიო და საპოლიტიკო დამოკიდებულება ქართველებთან.

ღიახ, უმეტესი განდიდება მოელოდა ტფილისსა და საქართველოს, მაგრამ მონგოლებმა (თათრებმა) აღარ დააძალეს.

სულ მცირე ხანს (თამარის სიკვდილის შემდეგ) იშვებდა საქართველოს მეფე ლაშა გიორგი მეოთხე სულ რაოდენიმე წელიწადს „მხიარულითა პირითა ლაშა მოვლიდის სამეფოსა თვისსა: გარდავიდის აჯამეთს განსაგებელად საქმეთა, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, და განაგნის საქმენი, სთველთა შთავიდის ტფილისს, საზამთროდ დადგის დუინს სომითისას, ზაფხულით აღვიდის თავად მტკვრისად და დადგის კოლას, და მოვიდიან მის წინაშე მოხარკენი“. (ქ. ცხ., გვ. 341)...

აზიის შუაგული—ჩინეთსა, ციმბირსა და კასპიის ზღვას შორის—ქველადგანვე ითვლებოდა აკვნად მწყემს ურდოებისა—თათართა (მონგოლთა ანუ გუნთა), ოსმალთა (თურქთა) და სკვითთა. იგინი იყვნენ ბრიყენი, უმეცარნი, სჰამდენ ცხენის უმს ღორცს, სცხოვრობდნენ კარვებში, ხოლო ლაშქრობის დროს მთელის თავისის ბარგი-ბარხანითა და ცოლ-შვილით აიშლებოდნენ ხოლმე და საომრად წავიდოდნენ: ჩინგის-ყაენმა (1206—1227 წ.) შეჰყარა რამდენიმე მილიონი თათრობა და თურქმანობა და გაემართა მთელის მსოფ-

ლიოს დასაპყრობად. 1210—1214 წელს მათ დაიპყრეს 90 ქალაქი ჩინეთისა და მათ შორის სატახტო ქალაქი პეკინიცი. 1218—1224 წელს 700,000 მონგოლი მიესია ხორაზმის სასულთანოს, გაჟლიტა 160,000 ხორაზმელი. სულთანი მოჰამედედი გაიქცა, მაგრამ მალე დაიღუპა კასპიის ზღვის კუნძულზედ; ხოლო მონგოლებს დარბათ ოტრარი, კოგენდი, ბუხარა, სამარყანდი, ხორაზმი, ჰერიტი, მერვი, ნიშაბური, ბალხი, ყანდაარი და ხორასანი. მოჰამედის შვილი ჯელალედდინი სასტიკად შეება მონგოლებს, მაგრამ დამარცხდა და გაიქცა. მცირე ხნის განმავლობაში (1227—1295 წ.) მონგოლებმა დაიპყრეს მთელი აზია და ევროპის უმეტესი ნაწილი და თავხარი დასცეს აღმოსავლეთსა, დასავლეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთს.

ჯელალედდინის დამარცხების შემდეგ ჩინგისხანის შვილებმა გამოსწიეს დასავლეთისკენ, შემოუარეს კასპის ზღვას, გადმოიარეს მდ. ვოლგაზედ და დარუბანდის კარით საქართველოს შემოესივნენ (1120 წ.) და დაიწყეს სომხითის აოხრება. ლაშა გიორგიმ შეჰყარა 90,000 მეომარი და თავს დაესხა ბერდუჯის (საგომის) ნაპირას დაბანაკებულ მტერს. ქართველნი იძლივნენ, გამოიქცნენ და მოვიდნენ ტფილისს მწუხარენი. მტერი დაედევნა მათ, მოაწია სამშვიდ ლომდე და უკანვე გაბრუნდა და შეესია ადრიბეჟანს, და 1222 წ. ისევ შემოება ქართველობას, რომელთაც გაუჟლიტა 30,000 მეომარი \*) და შემდეგ ამისა დარუბანდის კარით წა-

\*) კ. ვ. პატკანოვი. *Исторія монголювъ по армянск. источникамъ*, გამოც. I-ლი, გვ. 2—3, 70. კირაკოსის თქმით მონგოლთა პირველი შემოსევა საქართველოში მოხდა 1121 წ.

ვიდა ყარაყორუმს, მონგოლთა სატახტო ქალაქს, მელიც შუაგულს აზიაში იყო.

ამისთანა უბედურებამ მთელი საქართველო და მასთან ერთად ტფილისიც დიდს მწუხარებაში ჩააგდო, რადგან საქართველოს „დროშა უძლეველი დავით აღმაშენებლისაგან აქამომდე, ძლეულ იქმნა“. ამ მწუხარებამ თან გადიტანა ლაშა გიორგი (13 იანვ. 1223 წ.) და გამეფდა მისი დაჲ რუსუდანი.

გარნა დამარცხებული ჯელალედდინი ისევ შეება მონგოლებს, მაგრამ ძლეულ იქმნა და 140,000 კაცით გამოიქცა ჩვენკენ. სპარსეთი დაემორჩილა თათრებს. ჯელალედდინი შემოვიდა ადრიბეჯანს, აიღო განჯა და იქიდგან შემოესია სომხითს (24 იანვ. 1225 წ.) და დაიწყო რბევა და ოხრება ქვეყნისა. რუსუდანმა 70,000 მეომარი ჩააბარა იოანე მხარგრძელს ო წარგზავნა მტრის წინააღმდეგ. მტერი იდგა მდ. გარნისხედ და მას შეება ქართველების მეწინავე რაზმი, რომელსაც მეთაურობდნენ შალვა და იოანე ახალციხელნი. შენივთდა ომი ფიცხელი და სასტიკი. ქართველების მეწინავე რაზმი იძლია; შალვაჲ და იოანე სთხოვეს იოანე მხარგრძელს მოშველება, მაგრამ მოლაღატე სპასალარმა არ უშველა და გამოიქცა. ჯელალედდინმა გასწყვიტა მოწინააღმდეგენი და შემოაუთვალა რუსუდანს: „ცალკე-ცალკე

გზა და გზა იგინი ელეტავდნენ ხალხსა, პირუტყვსა და ძაღლებსაც კი. მათ მოაწიეს ტფილისამდე და გაბრუნდნენ შამქორისაკენ. ლაშა შეება მათ ხუნანს, მაგრამ დამარცხდა. თათრებმა მოხვედეს ალაფი და წავიდნენ თავიანთ ურდოში, რომელიც იყო ბარდაესა და ბელაქანს, საიდგანაც იწყეს ქვეყნის რბევა-ოხრება (იხ. II გამოც. იმავე ისტორიისა, გვ. 1—3);

ვერ მოვერევით თათრებს, შევერთდეთ და ვერთად ვბრძოთ“. მაგრამ რუსუდანმა იცოდა, რომ ჯელალედდინს საქართველოს გაძლიერების სურვილი კი არა ჰქონდა, არამედ აქ მეფობა უნდოდა, ამიტომ უარი შეუთვალა. ჯელალედდინმა სომხეთის რბევა-აოხრობით და მამაკაცთა ქლექტით გამოვლო სომხეთი და მოადგა ტფილისს, რომელიც ფრიად გაემაგრებინა დედოფალს და თვითონ იმერეთს წასულიყო. ჯელალედდინი ვერ აიღებდა ამ ქალაქს, დასძენს მემატთანე, თუ შინა-გამცემი არ გამოჩენილიყო. ამ დროს ქალაქში იყო სპარსელთა რაზმი, რომელმაც შინა-გამცემლობა იკისრა და მტერს ქალაქის კარი გაუღო. ყაენი შემოვიდა ქალაქში 9 მაისს 1226 წ. და... დაღეწა შენობანი, გაჟლიტა 100,000-მდე ქრისტიანე ერი (ამათ შორის 70.000 სული იყო ქალაქის მუდმივი მკვიდრი მოსახლე და დანარჩენი სოფლებიდან შემოხიზნული), ჩამოაგდო სიონის გუმბათი, ზედ ტახტი დაადგა და იქიდგან უყურებდა ქალაქის ქუჩა-შუკვებში რუებრ მომდინარე სისხლის ნაკადულებს; ხოლო ეს არ იკმარა დიდმა „მეფემ“, სიონის ღვთის-მშობლის ხატი პირადმა დააგდო ავლაბრის ხიდზედ და რომელი ქრისტიანიც არ დააფურთხებდა მას და ფეხით არ გასთელავდა, მას თავს აგდებინებდა და მტკვარში ჰყრიდა. ტფილისის განადგურების შემდეგ ყაენმა შეუსია ჯარი კახეთს, ქართლსა, სამცხესა, ანისსა და ააოხრა. სპარსნიო, ამბობს კირაკოსი, არა თუ ტფილისში, არამედ ყველგან სასირცხოს ტყავებს სჭრიდნენ მამაკაცებს, დედაკაცებს აუპატიურებდნენ, ეკკლესიეშა და სახლებს ანგრევდნენ, ჯვრებსა და ხატებს ლეწავდნენ“ (გვ. 8).

ჯელალედდინი საქართველოს აოხრებაში იყო გარ-

თული, რომ შემოესმა, თათრები მოდიანო. იგი წავიდა ადარბადაგანს და შემწეობა ითხოვა ხალიფასაგან. მაგრამ თათრების სიახლოვემ შეაშინა და ისევ ტფილისისაკენ გამოემართა. რუსუდანმა შეჰკრიბა დიდი ჯარი და ტფილისიდან ბოლნისს წარგზავნა და თავს დაასხა იქ მდგომარე მტერს. პირველი გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ მეორე შებმაზედ იძლივნენ და გამოიქცნენ. მტერი შემოვიდა ტფილისს (1229 წ.) და რაც გადარჩენოდა შეუმუსრავი, შეჰმუსრა \*). გარნა მტაცებელს ყვენსაც ფიალი მალე გაეცსო სამსალითა. 1230 წ. მონგოლებმა ალყა შემოარტყეს განჯას და აიღეს 1225 წ., შემდეგ 1226 წლის ზაფხულს შემოესივნენ საქართველოს. ჯელაღი გაიქცა ტფილისიდან ყარსისაკენ, მაგრამ მას დაეწივნენ მონგოლნი ბასიანს, მისი ჯარი გაიფანტა, იგი მარტო დარჩა და მოკლულ იქმნა მწყემსისაგან. თათრები გამობრუნდნენ, მოაოხრეს ვალაშკერტი, ხლათი და მოვიდნენ განჯას (1227 წ.) ღ დაიპყრეს დარუბანდს აქეთი ქვეყნები: შარვანი, მულამი, ყაბალა, ჰერეთ-კახეთი, სომხითი. რუსუდანი ტფილისს ვეჯარ დადგა და ქუთაისს წავიდა, ხოლო გოქა მუხაძეს „ამცნო, უკეთუ მოვიდნენ თათარნი, მოსწვი ტფილისი, თვნიერ პალატისა და ისანთა, რათა სადგომად არღარა იპყრან, ვითარ ხვარაზმელთა“, და მუხაძემაც შეასრულა ბრძანება დედოფლისა: მოახლოვდნენ-რა თათარნი, „მოწვა სრულიად ქალაქი და თვით პალატი

\*) ნასაჯი ამბობს, რომ ჯელაღდის მიერ შეორეჯ ტფილისის აღების მიზეზსა ის აუთო, რომ მის მიერ ტფილისის გამკედ დაუენებულს შერეულ-მულქს ქართველები აუჯანუხენონ (ვასუშტი, გვ. 228. შენ. 1).



და ისანნი, და ესრეთ მოოხრდა ქალაქი ტფილისისა“.

თათარნი შემოვიდნენ ქალაქს და იწყეს მისი შენება, ხოლო მათი რაზმები, „მსგავსად მკალთა“, მოედნენ ლიხს აქეთს საქართველოს—კახეთს, ქართლს, სომხეთს, სამცხეს, ჯავახეთს, არტანს, კოლას, ტაოს, კლარჯეთს, ანისს და დვინს და ნაცარტუტა აადინეს ქვეყანას. გაიფიქრა იმდენი ქრისტიანი, რომ მათი მოკლული გვამით გაივსო „ყოველნი ალაგნი: ქალაქნი, სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და კეენი, თვინიერ სიმაგრეთა, და თუ სადამე დაჩოომილ იყო ასეთი ალაგი, სავსე იყო ტყეებითა და გოდებითა“. „მამადედნანი ხედვიდეს მოკლულთა შვილთა და შვილნი მამადედნათა მკვდართა მდებარეთა, სხვანი ძმათა და ნათესავთა და დათა თვისთა იავარად წარსხმულთა, ცოლთა და შვილთა და ყოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა განბნეულსა. ესეოდენნი ზარნი იქმნეს თათართაგან, რომელ უმრავლესნი ქართველნი ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტეობდეს და შეივლტოდეს ყოველნივე კავკასიად, მთიულეთს“ და სხ. ამისთანა ყოფამ სრულიად დაარღვია საქართველოს ერთობა: რუსუდანი იმერეთს გამაგრდა, „ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი“ (ამერეთისანი) ცალკე-ცალკე განდგნენ და ანუ სრულიად მოოხრდნენ. შველასა და შეწვენას არსაიდგან მოელოდნენ, რადგან საქართველოს გარეშემოთათრებს ეჭირათ და თვით ბიზანტიასაც ფრიად უჭირდა, ვინაიდგან მთელს მცირე აზიას გაუბატონდა სულტანი ყიასდინ, ქმარი თამარისა, რუსუდანის ასულისა, რომელიც დღე-დღეზე მოელოდა თათართა თავს-დასხმას. საქართველოს სახსნელად და ქირთა სალხინებლად ერთიდა საღსარი იყო დაშთენილი—შერიგება და და-

ზავება თათრებთან. ეს ზავი კიდევ შეიკრა. რუსუდანის ძე დავითი, მონგოლთაგან ნარინად (სეფის პირად) წოდებული, გამოცხადებულ იქმნა მეფედ საქართველოსა, და მიეცა მას ტფილისი და სამშვილდე. რუსუდანი ჩამობრძანდა ტფილისს, მიეგებნენ მას წარჩინებულნი მისნი და „ესრეთ კვალად ეგო სრული სამეფოა ბრძანებასა ქვეშე რუსუდან დედოფლისა“.

გარნა რუსუდანის ხელმწიფობაში იყო მხოლოდ აზრდელი მეფობისა, ვინაიდგან ქვეყანას ჰმართავდნენ და განაგებდნენ თათართა ნოინნი, განჯას დაბანაკებულნი. რუსუდანის ძე დავითი ნოინებმა წარგზავნეს ყარაყარუმს მანგუყაენის წინაშე, რათა სამეფო იერლაცი (სიგელი) მიეღო მისგან. რუსუდანის ასული თამარი ქმრის ძალმომრეობითა და გვემით იძულებულ იქმნა გათათრებულიყო. რუსუდანის ძმის წული დავითი ყიასდინ სულტანს ჩაეგდო ორმოში და უკვე ხუთის წლის განმავლობაში მზის სინათლე არ ენახა. უნუგეშოდ დარჩენილი დედოფალი „ნაღვლითა და ტირილითა მწარედ იღეოდა“. იგი დასნეულდა და გარდაიცვალა ტფილისს, საიდგანაც მისი გვამი წაასვენეს გელათს და დაკრძალეს სამარხსა „მამათა მათთა“.

უმეფოდ და უნუგეშოდ დარჩნენ ქართველნი. აღარ იცოდნენ, რა ექმნათ. „თვითოეული თავადითა ვისა თვისისათვის გააგებდა და ზრუნვიდა, თვითოეული მთავარი ერთსა რომელსამე ნიინს (თათართა ბევ-

ლარბეგს) მიემხრო. ამასთან ნოინებმა გაჰყვეს საქართველო და დანიშნეს „ბევრის“ (10,000) მთავარნი: ევარსლან ბაკურციხელს მიათვალეს ლაშქარი კახეთ-ჰერეთისა, კამბეჩიანისა ტფილისიდან შამახიმდე, გრიგოლ სურამელს ქართლი, გამრეკელსა თორელს ჯავახეთი და სამცხე არზრუმამდე, ცოტნე დადიანსა და რაქის ერისთავს „ყოველი იმერი სამეფო“, ვარამ გაგელს სომხითი. ამის შემდეგ ნოინებმა წაასხეს ქართველნი და თათარნი და წავიდნენ აღმუთის დასაპყრობად. ეს ომი უკიდს წელს გაგრძელდა. ამასობაში ზემორებსენებული ევარსლან, „კაცი საკვირველი და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე, ესრეთ განდიდნა, კინლა და მეფობისა სახელისა დებადმდე, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა ჰმორჩილებდეს, ვითარცა მეფესა და თვით ყოველნი მთავარნიცა და დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთ-უხუცესი და ვარამ გაგელი“.

შამს მყოფ თურქმანთ შეიტყვეს რა ქართველთა ჯარის წასვლა აღმუთის და უმეფოდ დარჩენა საქართველოს, 60,000 მეომრით შემოესივნენ ვალაშქარს და იწყეს მისი რბევა-ოხრება. მანდატურთ უხუცესმა შანშემ შეჰკრიბა 30,000 მეომარი, დაეცა მტრებს, სძლია, და განაბნია. ეს ომი ის იყო გათავდა, რომ სამეცხეთოს

შემოესია ეზინკის სულტანი ურიცხვის ლაშქრით, მოვიდა ბანას, შემოესია ოლთისს. შავშელნი, კლარჯნი, კოლა-არტანელნი და ციხისჯვარელი და სამცხის სპასალარი ყვარყვარე 10,000 მეომრით შეებნენ მტერს და სახელოვანად გაიმარჯვეს. (ამ სახელოვანს ომს უწოდეს „ბანის ჯვარი“).

ქვეყნის გაჭირებას ბოლო აღარ უჩანდა. ამ შფოთით აღსავსე დროს ქართველთა მთავარნი შეითქვენ, შეიყარნენ კოხტის-თავს (ჯავახეთში), და მოინდომეს სამშობლოს განთავისუფლება. ეს მთავარნი იყვნენ: შანშე ჯაყელი (ყვარყვარე სპასალარის მამა), ვეარს-ლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, შოთა—კუპრო, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, ამერნი და იმერნი. გარნა ნოინებმა შეიტყეს და შეიპყრეს შეთქმულნი, ხოლო ამათ თავი იმართლეს ცრუ ჩვენებით: „ჩვენ ამაღ შევიყარენით, რომ განვაგოთ თქვენი ხარკი“. მათაც შეიწყნარეს ესრეთი განმარტება და განათავისუფლეს შეპყრობილნი.

მოთავე ქართველებმა საჭიროდ დაინახეს მოეყვანათ ლაშას ძე დავითი და მეფედ დაესვათ. ამიტომ ქარმაღან ნოინს მოახსენეს: ნარინ დავითი წარგიგზავნიათ ყარაყურუმს, დედოფალი რუსუდან გარდაგვეცვალა, უმეფოდ დავითით, ერთურთს ავეშალენით და, ვეკობთ, რომ ვისმე დავემორილოთ, თუ არა ჩვენთა მეფეთა შთამომავალს. ხოლო ლაშას ძე დავითი პატიმრად ჰყავს სულტანსა ყიასდინს. გთხოვთ იგი გამოიხსნათ და გაამეფოთ ჩვენზედა“. ქარმაღანმა შეუსრულა თხოვნა. შვიდს წელიწადს ჯურღმულს მწყვედელი დავით სოსლანი მოიყვანეს საქართველოს; მას სიხარუ-

ლით მიეგებნენ ყოველნი, გარდა ეგარსლან ბაკურციხელისა. ნოინებმა დავითს ვერ დაუმტკიცეს მეფობა და წარგზავნეს მანგუ ყაენის წინაშე ყარაყურუმს, საცა იგი, ნარინ დავითთან ერთად, დაშთა 5 წელიწადს, ხოლო საქართველოში მანგუმ 60,000 მეომრით გამოგზავნა ყაენად თვისი შვილი ულო. ადარბადაგანს მას გამოეცხადნენ ყველა ნოინები და ეგარსლანი, რომელსა უკვე „უმეტეს მეფისა მორჩილებდენ ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“.

მალე მანგუ ყაენი მოკვდა და ყარაყურუმს გახელმწიფდა მისი შვილი ყუბულ-ყაენი, რომელმაც ორთავე დავითები გამოუგზავნა ულუ-ყაენს და შემოუთვალა, რომელსაც გნებაეს, იმას მიეცი საქართველოს მეფობა და გინდ ორივენი გაამეფეო. ულომ უკანასკნელი არჩია, მეფობა დაუმტკიცა მათ და წარმოგზავნა ქართლს. იმერნი და ამერნი მიეგებნენ მათ აღტალს, თაყვანი სცეს, მოიყვანეს და დასვეს იგინი „ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს“. მეფენი ძმურად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, მსახურებდენ ულო-ყაენს და ხარკს აძლევდნენ მას. მეფეთა შორის უპირატესობა დავით სოსლანს ეკუთვნოდა; პირველად იმისთვის, რომ იგი იყო ლაშას ძე და მეორეთ იმიტომ, რომ იგი დავით ნარინზე უხუცესი იყო. ულუ ყაენს უფრო უყვარდა სოსლან დავითი, რომელიც ქართველთა ჯარით აღმშუთს წარგზავნა. ნარინ დავითი ყაენმა დაიბარა ბარდავს, მაგრამ იგი გაიქცა იმერეთს, სადაც სიხარულით მიიღეს და გაამეფეს ქუთაისს.

თუმცა ტფილისი უმეფოდ დარჩა, მაგრამ იგი ამ დროს ძლიერ გადიდდა და გამშენდა. დავით მეფე რომ სალაშქროდ წავიდა, აქ დასტოვა „განმგედ“ სა-

მეფოისა და სახლისა თვისისა ჯიქური, რომელმაც ისანს ააშენა სამეფო პალატი „განგებითა დიდითა“; ამის გამგეობის ეამს „სრულიად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არა იპოვებოდა და თუ სადა გამოჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდებდა. ამანვე „მბეცის ბუნება“ კაცნი—ფხოელნი „მოზარკე და მეჯორე“ ჰყენა.

აღმუთის ლაშქრობა დასრულდა ბრწყინვალე გამარჯვებით. ქართველთა და თათართაგან შემუსრვილ იქმნა მტერი და მთელი აუარებელი სიმიდირე მოალაფებულ იქმნა. ქართველნი მეფითურთ დაბრუნდნენ ტფილისსა. ყარაყურუმის ყაენის ბრძანებით ამ დროს მოვიდა არღუნი და მძიმე ხარკი შეაწერა საქართველოს და ამასთან დაკით სოსლანის სამეფოს შეაწერა ლაშქარში გამოსაყვანად „ცხრასა გლეხსა სრულია მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი“, და ამ ანგარიშით გამოჩნდა, რომ მეფეს სალაშქროდ უნდა გამოეყვანა 90,000 მეომარი. არღუნმა ხარკის მოსახვეჭად ტფილისში დასტოვა სპარსელი ხოჯა-აზიზი, კაცი უდიერი, და „განაწესა: რაცა განისყიდებოდეს ტფილისსა ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ აიღებოდეს“. ხოჯა-აზიზიც ფრიად ერთგულად ასრულებდა არღუნის ბრძანებას და თვით მეფესაც ხარკს ახდევინებდა: „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი გინა კრავი იწყიდებოდა, მასზედაცა ხორაჯა წაუღებდა, რომელსა იგი ტალმად უწოდდეს“, დასქენს მემატინე. ესრეთი შევიწროება მეფემ ველარ მოითბინა და განიგულა განდგომოდა თათრებს. ამ დროს ყაენმა დავით მეფე დაიბარა სალაშქროდ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ. მეფე წავიდა ჯავახეთს და იქ გამოაცხადა თვისი განდგომა; მას მიემხრნენ იქაურნი ქართველნი. ულომ

დაამარცხა ეგვიპტის სულთანი და მოვიდა ყარაბაღს და აქედგან შეუსია რაზმი საქართველოს. თათრებმა განვლეს ტფილისი, წავიდნენ და შეებნენ ქართველებს. მეფე დამარცხდა და წავიდა შავშეთსა და კლარჯეთს და იქიდგან ქუთაისს. ნარინ დავითმა სიხარულით მიიღო იგი. მეფეები მორიგდნენ და შუაზედ გაიყვეს საქართველო და აგრეთვე გაიყვეს: „საჭურჭლენი ორად, ტფილისი ორად, ქუთაისი ორად, თავად-ერისთავნი ორად, და ესე ვირე ნიკოფსიიდგან დარუბანდამდე“. ულუ-ყაენმა შემოირიგა მეფე დავითი და მისცა მას ტფილისი და ხოჯა აზიზიკ ხელში ჩაუგდო. მეფე მოვიდა ტფილისს და შეირთო ცოლად კორმადან ნონის ასული ესუქან.

ამ დროს საქართველოში მოვიდნენ (დარუბანდის კარით) ორნი დედაკაცი—ლიმ და აჩავ და თან მოიყვანეს მრავალნი თავადნი და აგრეთვე მცირე წლოვანნი შეილნი—ფარეჯან და ბაყათარ ოსნი. მეფემ ესენი დაასახლა ზოგი ქალაქ ტფილისში, ზოგი დმანისს და ზოგი ჟინვანს.

ულო რომ მოკვდა, გაყენდა მისი ძე აბალა. მას შემოებრძოლა ბერქა-ყაენი დარუბანდისა. მან გადმოვლო შირვანი, კახეთ-ჰერეთი და მოვიდა ტფილისამდე, ააოხრა ქვეყანა და დადგა გარესჯის მთებში. აქ დასნეულდა და დაბრუნდა.

დავით სოსლანის უფროსს შეილს ერტვა გიორგი. იგი იყო ფრიად კეთილი, მხნე და აზოვანი. 18 წლისა რომ შეიქმნა, დასნეულდა და აღესრულა. გვაძი მისი დაასვენეს სიონის ტაძარში, დაიტირეს მოქალაქეებმა და სამეფო სახლობამ და მერე წაასვენეს ღდასაფლავეს მცხეთას. ეს მწუხარება მეფემ ვერ აიტანა და მალე

თვითონაც გარდაიცვალა (1270 წ.) გამეფდა მისი ძე დიმიტრი, თავდადებულად წოდებული, უხვი, მოწყალე. მან განამშვენა და დაამშვიდა ქალაქი ტფილისი. მემატთანე ამბობს, რომ მეფესა „ჩვეულებაჲ აქტუნდა: აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი და მოიხილნის გლახაკნი, დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა კელითა მისცემდის ყოველთა“. მეფემ სასახლეში, ისანს ააშენა მონასტერი—მეტეხთა ღვთისმშობლისა და შეამკო. შემდეგ ტრაპიზონის იმპერატორის ასული მოიყვანა ტფილისს და შეირთო ცოლად, ხოლო თვისი და თამარი მიათხოვა არღუნის შვილს. საქართველოში პურისა და ღვინის მოსავალი დიდი იყო და ქალაქში უხვობა დასიიაფე ყოველისავე. გარნა სიხარული ხალხს გაუმწარა საშინელმა მიწის ძვრამ, რომელმაც დააქცია საყდარნი, მონასტერნი, ციხენი, სახლნი, კლდენი დაიშალნენ, „მიწა განიპო და წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიქრა; ხენი მალაღნი დაეცნიან და ირყეოდინან“. დაიქცა აწყვერის საყდარი და მცხეთის ტაძარი. სამცხეს მოსწყდა ურიცხვი სული. გლოვა და ზარი იდგა ყოველგან.

აბალა ყაენმა თათართა და ქართველთა ლაშქარი მეფე დიმიტრიტურთ წარგზავნა ეგვიპტეს დასაპყრობად. აქ ისეთი სიგმირე და ძლევა-მოსილობა გამოიჩინეს ქართველებმა და უმეტეს მათმა სარდალმა დიმიტრი მეფემ, რომ განაკვირეს არა თუ მოწინააღმდეგე მტერნი, არამედ თვით მოკავშირე თათარნიც. როცა ლაშქრობიდან დაბრუნდნენ, თათრებმა აბალა ყაენს მოახსენეს, რომ მეფე დიმიტრი „თენგარნიმეთუ ქაურქურბაჲ, ბულარმეთუ ბუირლაჯი“, რომელიც მონგო-



ლთა ერთ ნიშნავს: „ვითა ღმერთი გრგვინვიდეს, ვითა აქლემი ბულრობდეს“.

აბალას შემდეგ გაყენდა მისი შვილი არლუნი. მას განუდგა ბულა, რომელსაც მიემხრნენ სხვა-და-სხვა ნოინები. არლუნმა მტერი დაამარცხა და გაელიტა მოწინააღმდეგე ნოინებიც. მეფე დიმიტრისაც მოლა-ლატეობა შემოსწამა და დაიბარა ურდოს. დიმიტრი ფრიად დაღონდა. მოუწოდა ტფილისს მოწინავე ქართველთ და ითათბირა მათთან: „მე შემეძლიან, ეუბნებოდა კრებას მეფე, წავიდე მთიულეთს და თავი ვიხსნა განძვინებულ მტრისაგან. გარნა ამას არ ვიზამ, რადგან თუ გავიქცევი, სამეფოს ამიოხრებს. დეე, დავიღუპო მე და არა მთელი საყვარელი ჩემი სამეფო. თავს ვდებ სამშობლოს სადღეგრძელოდ“. მსმენელნი ტიროდნენ. აბრაამ კათალიკოზმა და ებისკოპოსებმა დალოცეს მეფე, შეავედრეს ღმერთს და გაისტუმრეს. ყანეი მრისხანედ დაუხვდა მეფეს. გააძარცვინა იგი და საპყრობილეში ჩააგდო. ხოლო თავისი კაცი გამოგზავნა ქალაქს, ააწერინა მეფის ქონება და წააღებინა ურდოში. მეფის სიმდიდრე იყო უთვალავი, უამრავი. ამის შემდეგ მეფე გამოაყვანინა საპყრობილიდგან, აცემინა არგნითა და გადასცა ჯალათებს, რომელთაც წარჰკვეთეს თავი (1289 წ. 12 მარტს). მეფის გვამი ქართველებმა გამოისყიდეს, იმ დროს იქ მყოფ ტფილისის მოვაჭრეებს გამოატანეს. იგი დამარხეს მცხეთას და შეირაცხა წმიდათა შორის.

1289 წ.—1318 წლამდე მეფობდნენ ვახტანგი II, დავით VI, გიორგი და ვახტანგ III. ამ დროს მონღოლებმა ისე გააოხრეს ტფილისი და ამერეთი, რომ დაუნგრეველი შენობა აღარ დარჩა, აღარსად იყო თესვა,

გაზშირდა სერა და ხოცვა. ქვეყანას მოველინა ისეთი შიმშილი, რომ „მძორსა არა წმინდასა ურიდად ჰამდეს. სავსე იყვნეს უბანნი, ფოლორცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა; ყრმანი მკერდთა დედათა ძუძუთა ლეშქთა წოვდიან“.

ეს ვაება დასრულდა გიორგი ბრწყინვალის მეფობაში (1318—1346 წ.). ასი წელიწადი იყო, რაც თათარნი ფლობდნენ საქართველოს (ამერეთს, იმერეთი თავისუფალი იყო მათგან). ამ დროს განმავლობაში საქართველოში მყოფნი მონგოლნი თანდათან დასუსტდნენ, გახრწნეს თვის შორის ერთუბრთის სიმტკიცე, დაარღვიეს ერთობა, ნოინები და ყაენები ერთუბრთს გადაეკიდნენ და გადაემტერნენ. ასრე, ამ ბარბაროსებმა თვითვე მოამზადეს ნიადაგი თვისის დამარცხებისა და დაღუპვისა. ოღონდ საჭირო იყო საქართველოს გამოსჩენოდა ნიჭიერი და შემმაერთებელი მეფე, რომ მტერნი შემუსრვილ-იყვნენ და ჩაცვივნულ-იყვნენ იმ თხრილში, რომელსაც იგინი ერთუბრთსა და დამონებულ ერთ უთხრიდნენ. ესრეთი მეფეც მოველინა საქრისტიანოს. და ეს იყო დიმიტრი თავდადებულის შვილი გიორგი, ბექას ასულის ნათელასაგან დაბნელებულ საქართველოს გასანათებლად შობილი.

ნოინებმა რომ მოჰკლეს მუსაილყაენი და თვისთვისად განდგნენ, გიორგი ბრწყინვალემ შემოიკრიბა ლაშქარი, შემუსრა თათართა ძლიერება და გარეკა იგინი საქართველოდგან. მოიწვია სიქართველოს დიდებულნი ცივის მთაზედ ღურწნი გაჟლიტა ღ მათ მაგიერ ერთგულნი კაცნი განამწესა. შემდეგ დაიპყრა რანი, შირვანი, დარუბანდი, ოსეთი, იმერეთ-აფხაზეთი, სამცხე-კლარჯეთი, სომხითი; მოიყვანა მთიულთა ჰაეროვანნი კაცნი ტფილისს და შეუდგინა მათ სამართალი. ასრე, გიორ-

გი მეფემ „სიბრძნე-გონიერებითა თვისითა დაფანტული ივერია კვალად შემოიკრიბნა და დაიმონნა, ვითარცა დავით აღმაშენებელმან, განაესნა და აღაშენნა ქვეყანანი, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი აღაშენნა, განაახლნა, რანი, შირვანი და მოვაკანი მოხარკე ჰყო თვისად“. დიდებული მეფე გიორგი გარდაიცვალა ტფილისს (1346 წ.).

მონგოლების საქართველოდგან გარეკის შემდეგ გავიდა 60 წელიწადი და ქალაქი ტფილისი, გამშვენებული და განდიდებული მეფეების მიერ, ისევ განადგურა ცნობილმა ლანგ-თემურმა. ამ „მხეცის ბუნება“ კაცის მძვინვარებას საქართველოში გვიხასიათებს მისი ცხოვრება.

„ქართლ. ცხ.“ თქმით თემური გვარტომობით იყო ჩინციზი სამარყანელი. ჩინგიზთა გვარი შთამომავალი იყო ერთის მდიდარ ქალის—<sup>\*)</sup>ჩინციზისა\*), რომელიც უქმროდ და დაუწინდავად მიდგომილ იქმნა და შვა ძე თემური. მამა ახლად შობილისა იყო სული ბნელისა.

გიბზონის სიტყვით, \*\*) თემური დაიბადა სამარყანდის ახლო მდებარე სოფელს ზებზარს; იგი იყო ბერლარის გვარისა; მისი წინაპარი ყარაშარ ნეკიანი იყო ჩალათაის ვეზირად. იგინი დაუნათესავდნენ მონგოლთა იმპერატორებს \*\*\*) . ზებზიბარს მათ ჰყვანდათ

\*) ჩინ-ყიზი, ე. ი. ჩინელი ქალი.

\*\*) Эд. Гибзонъ. Исторія уаика и разрушенія римской имперіи, ч. VII, гл. 170 და სხვ.

\*\*\*) ყარაყურუმას უკენია: ჩინგისი, აქრაფა (აქანთან), ქუქ, მანგუ, ეუბუღ; საქართველო-საბერძნეთის უკენია: უღა,

„თუმანი“ (10,000 ლაშქარი). თემური დაიბადა იმ დროს (1335 წ., ე. ი. 11-ის წლით ადრე გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალებისა), როდესაც მონგოლთა იმპერია აირია, ჩალათაის შთამოგება მოისპო, ემიგრებმა იწყეს განცალკევება და როდესაც უშგარის ხანები გეტებითა და ყალმუხებით შემოესივნენ მონგოლიას. თემური ჯერ თორმეტი წლისა იყო, რომ საომრად გამოვიდა, 25 წლისა იყო. რომ შემუსრა გეტები. გარნა მცირე ბრძოლაში მტრებმა გაიმარჯვეს, თემური 7 კაცით გაიქცა და 60 ღლის განმავლობაში დაწანწალებდა უდაბნოებში. გეტებმა აიკლეს და შეაძრწუნეს მისი სამშობლო. მან ველარ მოითმინა უდაბნოში ყოფნა და სამშობლოში დაბრუნდა. მას მიემხრნენ მოგვარტომე ერნი. თემურმა დაამარცხა მტრები და გარეკა. 34 წლისა იყო თემური, რომ მთელი ერის „ყურულთამ“ (კრებამ) იგი გამოაცხადა მონგოლთა იმპერატორად (1370 წელს).

იმავე გიბზონის სიტყვით \*) თემურმა დაიპყრა ქარიზი, ყანდაარი, სპარსეთი ოქსიდგან ტვიგროსის მდინარემდე და სპარსეთის სრუტემდე. შირვანისა და ალბანიის მფლობელმა (საქართველოს მეფემ) მას თავი დაუკრა და მიართვა ფარჩეული, ცხენები და ძვირფასი ქვები. მან დაამარცხა ედესის თურქმანნი, რომელნიც თავყანს სცემდნენ შავს ვერძს. ქრისტიანე ქართველებმა უარჰყვეს მაჰმადიანობა და ბატონობა თემურისა. თე-

ქე მანგუ ყაენისა, ახადა უღუს ქე, აჰმადა ახადას ძმა, ადღუნ ახადას ქე, ქედთუქან, ადღუნის ძმა, ყაზან ადღუნის ქე, ხაზანდი, უღ ჯათ სულტანი და მუსაით ყაენი.

\*) იქვე, გვ. 178

მურმა სამ გზის ილაშქრა ამ ქვეყანაში და ეს ლაშქრობა ქართველობაზედ მას ჩაუთვალეს „ყაზავათად“ (საღვთო ომად). მფლობელი ტფილისისა შვიქმნა მის მოკავშირედ და მეგობრად. დაპყრობილ იქმნა აგრეთვე ყიბჩაღეთი. ამ ქვეყნის მთავარი თოხთამიში ჩრდილოეთ მონგოლიის მფლობელად დასვა (1390-1396 წ.). ამ თოხთამიშმა უღალატა მას, შეჰყარა მხედრობანი ბოლგარიისა, ჩერქეზებისა და რუსეთისა და 90,000 კაცით შეეწია შუაგულ მონგოლიას და გადასწვა თემურის სასახლეები. გარნა თემურმა სძლია მას, მივიდა ყიბჩაღეთს, დაიპყრა ეს ქვეყანა და რუსეთი, გადასწვა აზოვი, სერად და აშტახ რანი. 1398-1399 წელს მან დაიპყრა ინდოეთი და დაიბანაკა მდ. განგეს ნაპირზედ. აქ დგომისას მიიღო ცნობა შესახებ ქართველებისა და ანატოლიის ერთა აჯანყებისა. ინდოეთი დახარკა, დაბრუნდა სამარყანდს, შეჰყარა ლაშქარი უთვალავი, უამრავი, წამოვიდა დასავლეთისკენ და პირველად ქართველთა ქრისტიანებს დაეცა. ხოლო ქართველების ძალა, აქაური შეუვალი მთები იყო და მაგარი ციხეები. თუმცა ზამთარი იყო, გარნა ყველა დაბრკოლებანი გადალახა თემურის სიმბნემა და რიხიანობამ. ქართველები დაემორჩილნენ მას (1398 წ.) და აღუთქვეს: ზოგმა ხარკის ქლევა და ზოგმა ყურანის რწმენა, გარნა არა მცირედმა ნაწილმა სჯულის დალატს წამებით სიკვდილი არა. საქართველოს მთებიდგან რომ ჩამოდირდა თემური, ოსმალთა სულთნის ბაიაზეთის ელნი გამოეცხადნენ, გარნა ამ ელჩობიდგან არა გამოვიდა რა, და ორის წლის შემდეგ (1400 წ.) შეიბნენ თემური და ბაიაზეთი, რომელთაგან პირველს თავის სწორი და დარი არავინ მიაჩნდა დედამიწაზე. ხოლო მეორე დარწმუნე-

ბული იყო, რომ მასზე ძლიერი ხელმწიფე არსად იყო. თემური შეესია მცირე აზიას, აიღო ქალაქი სივა (სე-ბასტია) და ცოცხლად დაამარხვინა 4,000 სომეხი. აქედ-გან ჩავლო ასურეთი, აიღო ალექსო, რომელიც მოირ-წყა ადამიანთა სისხლით. კ'ცთა მოკვეთილ თავებისა-გან თემურმა ააგებინა მაღალი გოდლები და კოშკე'ი. ასრე იქცეოდა იგი ყველგან. მანვე დედამიწასთან გა-ასწორა დამასკი და ხარკად დაადო 10,000,000 ოქრო. შემდეგ აიღო ბაღდადი და ააგო გოდოლი 90,000 კაცის მოკრილ თავებით. აქედგან იგი ხელახლა შევიდა საქართველოში და მერე 800,000 მეომრით თავს და-ესხა ბაიანეთს, რომელსაც ჰყვანდა 400,000 მებრძოლი და ამას გარდა 40,000 იენგიარი და 20,000 ევრო-პელი. თემურმა დაღეწა და მტვრად აქცია მტრის ძლიერება, შეიპყრო ბაიანეთი და გალიაში ჩასო, ხო-ლო მთელი მისი ბარგი-ბარხანა და აუარებელი სიმ-დიდრე ხელთ იგდო. თემურის შვილი-შვილმა მაჰმედმა დაიპყრა მთელი მხარე აზია ზღვამდე. ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა ევროპასა, აზიასა და აფრიკას. თემურმა განიზრახა დაეპყრო მთელი ევროპა, რომლის ხელმწი-ფენი ძრწოდენ შიშით და მოციქულს-მოციქულზე უგ-ზავნიდნენ თემურს და სთხოვდნენ შეწყალებასა და ხარკის აღებით დაკმაყოფილებას. თემური კი არა ჩქა-რობდა. მისი სურვილი იყო დაეჭირა მთელი აფრიკა, გიბრალტარის სრუტით გადასულიყო ევროპას, დაე-მონავა იგი და რუსეთით შინ დაბრუნებულიყო. გარნა-ეს ლაშქრობა არ მოხერხდა. ეგვიპტის სულთანი მო-წიწებით დაემორჩილა თემურს, გამოუგზავნა სირაქლე-მები და მრ. ძღვენი, აღუთქვა ხარკის ძღვევა, მეჩითე-ში ლოცვა მის სადღეგრძელოდ და ფულის კრა მისის

სახელის ზედ-აღნიშვნით. ევროპიის მაგიერ მან ლამ-  
ქარი წარგზავნა ჩინეთის დასაპყრობად, თვითონაც  
აიბარგა, შევიდა საქართველოში, დააბოლოვა მისი  
დაპყრობა, იზამთრა არეზის ნაპირას და სპარსეთით შინ  
დაბრუნდა და გარდაიცვალა 70 წლისა 1405 წელს.  
ასრვა გიბზონით.

აი, ასეთ ძლიერ ხელმწიფისათვის პასუხი უნდა  
გაეცა მონგოლთა წინანდელ ყაენებისაგან ახლად გან-  
თავისუფლებულ საქართველოს, ახლად-შეკავშირებულ  
შეერთებულ ქვეყანას; ჯერ ისევ სუსტს საქართვე-  
ლოს უნდა ებრძოლა ლანგ-თემურთან 17 წლის გან-  
მავლობაში (1586-1403 წ.). მწარე იყო ეს სასამელი,  
გარნა, სხვებთან ერთად, უნდა შეესვათ მისგან ქარ-  
თველებსაც. აქ საჭიროა ჩვენი მატეიანის სიტყვაც და-  
ვურთოთ.

სპარსეთის დაპყრობის შემდეგ თემურმა გამოსწია  
საქართველოსკენ, შემოვიდა სომხითს, მოსრა ერი,  
დაანგრია სიმაგრენი, მაადგა კარს (ყარსს), დაანგრია  
იგი და იქ დაიბანაკა საზამთროდ. ხოლო ზამთარი იყო  
ფრიად ყინვიანი. ამ დროს საქართველოში მეფობდა  
გიორგი ბრწყინვალის შვილი-შვილი ბაგრატ V (1360-  
1395). სამცხის ათაბაგი ბექა, მხილველი თემურის  
ძლიერებისა, განუდგა ბაგრატს, გამოეცხადა თემურს  
და მორჩილობა აღუთქვა. თემურმა დააჯილდოვა იგი,  
უკანვე დააბრუნა და უბრძანა, მესხნი ამიერიდგან აღარ  
ემორჩილებოდნენ ბაგრატსო. ასევე განდგა ვირშელი  
შურდიას-შვილი, რომელიც ეახლა თემურს და წამო-  
უძღვა მას. ამის გამგონე მეფემ იმერეთს გაგზავნა თვისი  
შვილი გიორგი, რათა იქაც არ განდგომილიყვნენ.  
ხოლო თვითონ შეუდგა მცირე კოშკების მაგრებას და

ხალხის დახიზნვას. თვითონ ცოლ-შვილით დადგა ტფილისს და გამაგრა იგი. ერისთავი ვირშელი შურდიას-შვილი და კათალიკოზი ელიას შევიდნენ ბეხუშის ციხეში „დედაწულითა, ჯოგითა, ცხვრითა, ყოვლითა საყდრის შვილითურთ და ხიზნითა“. თემურს ეგონა, ბაგრატიც გამომეცხადება და დამემორჩილებაო. რა სცნა მისი გამაგრება, განძინდა „მძლავრი იგი ზვაი და ამპარტავანი“. მოვიდა და გარემოადგა ტფილისს და თვის სპასხეტებსა და სპასალარებს უბრძანა ბრძოლა ძლიერი და თავის გაწირვა. მეფეს თან-ჰყვა რჩეული ქაბუკები, თუმცალა მრავალნი თავადნი წინადვე თავთავიანთ ციხეებში გამაგრებულიყვნენ და მეფეს არ ახლდნენ. მეფე შეიჭურვა ჯაჭვ-ჭურითა და გამოვიდა ქალაქ გარედ და შეუტია მტრებსა ისე, ვითარცა „მიეტევების გავაზი გუნდსა წეროთასა და ვითარცა ლომი მროწეულსა ზროხათასა“. შეიქმნა ომი სასტიკი, მოსწყდა მრავალი თათარი, გარნა თემურს ძრა ვერ აქნენინეს, რადგან მტერს ჰყვანდა ურიცხვი ლაშქარი. ქართველნი დაილაღნენ და ტფილისის ციხეში შემობრუნდნენ. ასრე იბრძოდნენ ექვსი თვე. გაძნელდა ციხის აღება. დიდი იმპერატორი იხერხებოდა ჯავრითა. ბევრის ფიქრისა და ძიების შემდეგ მან უბრძანა, თათრებს გაეკეთებინათ რკინის ჩელტები (ლასტები) და ჩელტებ აფარებულებს იერიში მიეტანათ ქალაქზე. თათრებმა ასრე ჰქმნეს. ქართველებმა ვერა გააწყეს-რა. თათრები შეცვივდნენ ქალაქში და იავარ ჰყვეს ციხეში მყოფნი, რომელნიმე მოსრეს, რომელნიმე დაატყვევეს და მათ შორის მეფეცა და მისი მეუღლე ანნაც, ასული ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III-ისა. მეფედედოფლის შეპყრობისა გამო თემური ფეხზე აღარ



იდგა, მის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მეფეს აიძულებდა იგი მიეღო მაჰმადიანობა. მეფეც დამორჩილდა, მხოლოდ გარეგნობით. თემურმა ქალაქში თავის ჯარი ჩააყენა და თვითონ წავიდა ყარაიას სანადიროდ. მეფე-დედოფალიც თან ახლდნენ. ნადირობა-განცხრომის შემდეგ წავიდა ყარაბაღს და იქილგან გამოგზავნა სპასალარი და უბრძანა დაერღვია ეკკლესია-შენობანი, გადაეხუა დაბანი და სოფელნი. სპასალარიც მოვიდა (1393 წ.) და მოიკვა ტფილისი და გარემო მისი. მტერნი არ ინდობდნენ ყრმებს, დედებს, მოხუცებულებს და სამღვდლოთა დასს. ანგრევდნენ ტაძრებს და ციხეებს. სწვიდნენ მღვდლებს. ამავე დროს გაძარცვეს მცხეთის სვეტი-ცხოველი და მერე დაანგრის სრულიად ზღუდე პალატებითურთ; შემდეგ დაბრუნდნენ და გზა-გზა გადაბუგეს ყოველივე, რაც შეხვდათ. აგრეთვე დასწვეს ქვაბთახევის მონასტერი. აქ იმალებოდნენ მრავალნი ქრისტიანენი, ბერნი და მონაზონნი. იგინი გამოიყვანეს, ეჭვნები დაჰკიდეს და აცეკვეს (ამ დროს ერთმა დედაბერმა წამოიძახა: „ვაჟ ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნებიან!“), შემდეგ შერევეს ტაძარში და ცეცხლი წაუკიდეს. აქედგან წვითა, ტყვენი და ოხრებით ჩაიარეს და მივიდნენ რუისს, დაანგრის ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი და ძირიანად აღმოფხვრეს რუისის ეკკლესია. გაანადგურეს-რა ქართლი, ახლა კახეთს შეესივნენ, შემუსრეს, მოცეცხლეს, დაატყვევეს ერთი და წავიდნენ შაქს, საცა იყო ლანგთემური და მიულოცეს გამარჯვება. აქვე გამოეცხადნენ მას ყოველნი კავკასიანნი, ლეკნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი და მორჩილობა აღუთქვეს. გახარებული თემური მეფე ბაგრატს ჰპირდებოდა, თუ მაჰმადიანობას

ირწმუნებ, მეფობას დაგიბრუნებო. ბაგრატმა უთხრა:  
„მიმიღია მაჰმადიანობაო. მომეცო ლაშქარი, რათა  
წარვიდე და მთელი ჩემი სამეფო გავამაჰმადიანო“. ↙  
თემურს იამა და 12,000 მეომრით წარმოგზავნა. მეფემ  
საიღუმლოდ აცნობა თავის შვილს, ჯარი დაამზადე და  
თავს დაგვესხი ვიწროებშიო. გიორგიმაც აგრე ჰქმნა.  
დამალა ჯარი ნანიშნებს ვიწროებში. რა მოაწია მეფემ  
თათრებით გამოცვივდნენ ქართველნი და გასწყვიტეს  
ყველა თათარნი. მერე მივიდნენ, აიღეს ტფილისი. ↘  
(1393 წ.) და ამოყლიტეს მეციხოვნე თათრები. ეს  
ამბავი რომ მიუვიდა თემურს, დიდად შესწუხდა,  
„იშთვებოდა სულითა და განიხერხებოდა შურითა“. და-  
იმზამთრა იქვე შაქს, მეორე წელიწადს მარტის თვეში  
წამოვიდა ბარდავს, აქ დასტოვა მძიმე სატვირთავნი,  
ნავეებით გადმოიყვანა ლაშქარი კახეთს და გამოემართა  
საქართველოს ასაკლებად. გიორგი ბატონიშვილი და  
მისი მამა ქართველთა ლაშქრით მიეტყვენენ თათრებს  
ომანის-ხევის ახლოს და ისე სასტიკად შეებნენ (1394 წ.)  
„ვითარცა ლომი ჯოგთა კანჯართასა და ვითარცა მგე-  
ლი ფართა თხათასა“. იქმნა ომი ძლიერი. ქართველებმა  
უკვე მისდრიკეს თათრები, მაგრამ ამ დროს თემურმა  
შემოუტია ყოვლის თავის ძალით. იძლივნენ ქართველ-  
ნი, გამოიქცნენ და მთებს მიაშურეს. მტერი შემოვიდა  
ქართლს, საცა არავინ დახვდა, რადგან ყველანი მთებ-  
ში შეხიზნულ იყვნენ. მტერმა მოაოხრა მოუოხრებელი  
და ყარაბაღს დაბრუნდა. ამ დროს გარდაიცვალა ბაგ-  
რატი და გამეფდა გიორგი. თემური მესამედ შემოესია  
საქართველოს აურაცხელის ჯარით და მოაწერა გი-  
ორგის: „საქართველო ჩემია და ჩემ ნებადაურთველად

გამეფებულხარ. გამოცხადდი წინაშე ჩემსა, რომ სრულიად არ აღვაოხრო საქართველო“. გიორგიმ მისწერა: „უფალი ამბარტავანთა შემუსრავს და მდაბალთა მოსცის მადლი. ჩვენ ბაგრატიონნი დავითის ტომისანი ვართ, არავის ვემორჩილებით, გარდა ღვთისა, ჩვენი უფლება საუკუნოა, გარნა მეფობა შენი აქაც მსწრაფლ წარმავალ არს და უმკვიდრო და მუნ შენთვის დამზადებულ არს ცეცხლი უშრეტი. მოდი და გაძედ ჩვენის სისხლით და ჩვენის ძვლებით. თუ არ მოხვალ, მე მოვალ“. განძინდა თემურ და მოვიდა (1396 წ.). მიეტევნენ ქართველნი „ვითარცა ცეცხლი თივათა“, შეიქმნა ომი ძლიერი, ქართველებმა გაჟლიტეს მრავალი მტერი და შეაძრწუნეს თემურის ლაშქარი. მაგრამ თემურმა გაამხნევა მთელი თვისი ჯარი და მოაწვა დაღალულ ქართველებს. ესენი დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

მოსე ჯანაშვილი.



## ქართული ძველი თქმულებანი.

გ უ ლ ბ ა ა თ ა ს ა .

(ნათარგმნი)

წინა-სიტყვაობა.



ულ-მტკივნეულად აღსანიშნია, რომ ჩვენი ძველი თქმულება და ამბები ისპობა ხალხთა მესხიერებისაგან; გავბედე მათი შეკრება და დაბეჭდვა, თუმცა სავსებით გვრძნობ ჩემის გარდმოცემის უსრულობას. წინ მიძღვის მხოლოდ ის სურვილი, რომ დავიხსნა იგინი სრული დავიწყებისაგან და თავს იმედს ვაძლევ, იქნება თვით მათ მიიზიდონ ყურადღება რომელიმე ნიკიერ თანამემამულისა, რომელმაც შეიძლება არ დაიზაროს მათი თავდა-პირველი მშვენიერების აღდგენა.

ექვი არა მაქვს, რომ ახალგაზდა მწერალი მოახერხებს, დაუბრუნოს მათ ის სიკეკლუცე და სიტურფე, რომელსაც ართმევს მათ ჩემი მოხუცებული ჩიფიფი. და თუ ხელახლად დაიკირეს მათ თვისი უწინდელი ადგილი ტომთა მესხიერებაში, ჩემი შრომა იქნება სრულიად დაჯილდოებული, და მათ გადმომღებ მწერალთ გარდაეხადოს მადლობა ჩვენ თანამემამულეთაგან.

წ ბ ი მ ა .

ამბავი XI საუკუნისა.

მეფის გიორგი I-ის დროს, მეთერთმეტე საუკუნეში სცხოვრებდა წარჩინებული სარდალი ქეურსი, სახელოვან თავად ორბელიანთ საგვარეულოდან. ცნობილია, რომ ამ თავადთ თვისი შთამომავლობა მოჰყავთ წინეთის იმპერატორებისაგან და არა-ერთხელ იყვნენ ნათესაურად დაკავშირებულნი ჩვენს მეფეებთან, რის გამოც მათი მდგომარეობა ქართველ მეფეთა კარზედ განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თავად ორბელიანთა გულ-მოდგინება და ერთგულება სრულს უფლებას აძლევდა მათ, რომ განსხვავებულნი ყოფილიყვნენ. მამა-პაპიდგან ეჭირათ მათ ადგილები სპარაპეტისა, ესე იგი ღენერალისსიმუხისა ანუ მთლად ქართველთ ჯართა უფროსობისა, და აკვირვებდნენ ქვეყანას თავიანთ მამაცობით. როდესაც გიორგი ბერძენთ ებრძოდა, ქეურსი მტრებს ტყვედ ჩაუვარდა, და რადგანაც ეს მოხდა ბრძოლაში სოფელს შირიმნასთან, სადაც მრავალნი ქართველთ მხედართმთავარნი დაიხოცნენ, მათ შორის სპარაპეტი რატი და ზავატი, ქეურსის ძმანი; ამიტომ მეფეს დიდ ხანს ეგონა, რომ ქეურსიც მათთან იყო მკვდარი. მხოლოდ,



როდესაც მორიგებაზედ დაიწყეს ლაპარაკი იმპერატორმა ვასილ მეორემ წინადაუდო მეფეს ქეურსის გაცვლა თოთხმეტს ციხეში: თითო, ტაოში, ბაზიანში, არტანში, კოლაში, ჯავახეთში, შავშეთში და სხვა და სხვა... გარდა ამისა სთხოვა ამანათად გიორგის შვილი, სამის წლის მემკვიდრე ბატონიშვილი ბაგრატი. მე ისე ვარ დავალებული თავადთ ორბელიანთ გვარისაგან, რომ მათთვის არ დავიშურებ ჩემს ნახევარ სამეფოსაო, უბასუხა მეფემ.

მორიგების დროს გარდასწყვიტეს, რომ მემკვიდრე ბატონიშვილი, როგორც ამანათი დაჰყოფდა კონსტანტინეპოლს მხოლოდ იმდენს ხანს, რაოდენიც საჭირო იქმნებოდა მშვიდობის ჩამოსაგდებად საბერძნეთის მართველობის ზემოხსენებულს ციხეებში და არაოდეს სამს წელიწადზედ მეტს.

ზოგიერთნი პირნი ჰკიცხავდნენ მეფეს თოთხმეტის საუკეთესო ციხის მიცემისათვის ერთის კაცის სანაცვლოდ, მაგრამ ესენი ხალხმა კინალამ გაგლიჯეს. საერთო რწმუნება თავადთ ორბელიანთ სამხედრო ნიქის უსაზღვრო იყო და მრავალნი აღიარებდნენ: ოღონდ დაბრუნდეს ქეურსი, და მასთან არა თუ ჩვენს ციხეებს დავიბრუნებთ, არამედ, ღვთის შეწყვენით, კიდევ თოთხმეტს სხვასაც შევიძენთო.

მზიარულებას იმის დაბრუნების გამო არ ჰქონდა ბოლო და უმეტეს სხვათა მზიარულებდა თორმეტის წლის მისი ასული თამარ. უმძიმესი მწუხარება ამას მიადგა: მამის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ დაიხოცნენ დედა და ძმა.

რა დაინახა, რომ მას მარტო თამარ გამოეგება,

მოხუცებულის გამდლითა და რამდენიმე მსახურებით, მამაცი ქეურსი, რომლის თვალის მოკვრითაც უდიდესი ლაშქარნი გარბოდნენ, ბავშურად ატირდა; მამა და ქალი მისცვივდნენ ერთი ერთმანეთს, გარდაეხვივნენ და დიდ ხანს ველარ განშორდნენ. სიხარულის კიჟინი დამსწრე ხალხისა დადუმდა, ყველას მოაგონდათ უხვი თავადის მეუღლე და შვენიერი ყრმა განუშორებლად თან მყოფი, და მწუხარებამ დაჰრდილა სიხარული. ქეურსი პირველი მოვიდა გონებაზედ, მიუბრუნდა მიმგებებელთ და ყველანი შეიწვია თავის ეზოში და სთხოვა მიეღოთ მონაწილეობა მის ტაბლაში. თამარ ეცდებოდა, რომ თავისის აღერსით ჩემის მეუღლის მაგიერობა გასწიოს—სთქვა მან,—ღმერთი არვის აგდებს უმოწყალოდ: ტყვეობაში მომცა ვაჟი-შვილი იმის სამაგიეროდ, რომელიც მან მიიბარა. მერე მიუბრუნდა იგი ლამაზს ყმაწვილ კაცს, ზურგთ უკან მდგომარეს:—„პლინი, მოგვეხმარე შენს დასა და მე სტუმართ დახვედრაში“.

ყველამ ყურადღება მიაპყრეს პლინის, მაღალს, ტანადს, ნაზის სახის ნაქვთებით, რომელსაც უსათუო ბეჭედი ედვა დიდ-გვარეულ შთამამავლობისა. იგი გრძნობდა, რომ ყველას ყურადღება მიეპყრო, გაწითლდა და უნებურად დაბლა დაუშვა თვალი, ჩვენს მოკრძალებულ ქალებსავით, და ამ მორცხვობით უფრო მიიზიდა საერთოდ მათი გული. მეჯლისში როგორც ქეურსმა ისე ყმაწვილ ქალ-ვაჟმა ყველა განაცვიფრეს თავისის აღერსიანობით.

მოხუცი, ყველასაგან პატივცემული აღექსანდრე, რომელსაც გულადობის და სამხედრო წარმართულების გამო უწოდეს სახელად მაკედონელი, მიუჯდა ქეურსსა და დაიწყო ასე: შენ კეშმარიტად სთქვი მოყვასო, რომ

ღმერთმა, ნაცვლად დაკარგული შვილისა მოგცა შენ ეს შევნიერი ყმაწვილი კაცი, რომლის სიყვარულს და შვილობრივს პატივის ცემას შენდამი ჩვენ ყველანი ვხედავთ და ვაფასებთ. მაინც ყველასათვის სასურველია, რომ ვიცოდეთ, ვინ არის ეგ და რად იშვილე შენ?

ჩემს ტყვეობაში, უპასუხა ქეთრსმა, მომივლინა მე უფალმა მეგობარი; ის იყო გამოჩენილი სარდალი და საყვარელი იმპერატორისა, რომლისათვისაც არ იყო საჭირო ტყვესთან მეგობრობა, მაგრამ არ გავიდოდა დღე, რომ მე არ ვენახე. ჩვენ ვუამბობდით ერთი ერთმანეთს ჩვენი ასპარეზის მოგონებას და შევიყვარეთ ერთი ერთმანეთი, როგორც ორთა ძმათ. როდესაც მომივიდა ამბავი ცოლ-შვილის დახოცვისა, მისი მეგობრული თანაგრძნობა იყო ჩემთვის ერთად ერთი ნუჟეში. მან მიაგმო თავისი ცხოვრება და მით შევიტყე, რომ იმასაც დაეკარგა თვისი საყვარელი მეუღლე პლინის დაბადების დღეს, რომლის სიცოცხლისათვის პირველს წელიწადებში თრთოდა ყოველს საათს. ყრმა არის ეხლა თვრამეტის წლისა, მრთელი არის, მაგრამ სუსტის სხეულისაა, და საჭიროა მზრუნველობითი მოვლა.

ჩემის აქეთ წამოსვლის წინად, გახდა ავად ჩემი მოყვასი და დამიბარა: „მე ვკვდები, და ვმადლობ ღმერთსა, რომ ეს მოხდა შენს აქ ყოფნაში. რადგანაც უშიშრად შემიძლიან ჩაგაბარო საუკეთესო ჩემი საუნჯე. აიყვანე პლინი სამაგიეროდ იმ შვილისა, რომელიც ღმერთმა გამოგწირა. ექიმების სიტყვით ამის სიმრთელისათვის საჭიროა ჩვენსაზე უფრო თბილი ჰაერი. თან წაიყვანე და იყავ ამისათვის ჩემი მაგიერი“. მე შევ-





ფიცი შევიყვარო და გავუბრთხილდე ამას, როდესაც შევიღებო; და იმედი მაქვს, რომ ღვთის შეწევნით აღვასრულებ ჩემს ფიცს, — დაასრულა ქეურსმა. შენ დამიკმაყოფილე ცნობის-მოყვარება ერთის მხრით, უთხრა ალექსანდრემ, ახლა ცოტა სხვა რამეც უნდა ამიხსნა, ამისთვის კი საჭიროა ჩვენი ცალკე ნახვა. მეც აგრეთვე გულით ვსწუხვარ ჩემი შვილის გამო, რომელიც ხელმწიფის ნებით მოექცა ყმაწვილ კაცთა შორის თან-მხლებელად საბერძნეთში, შემკვიდრე ბატონი შვილთან. თუმცა განშორება ჩვენი არ გასწევს სამსწელიწადზედ მეტს, მაგრამ ეს ხანი მე საუკუნედ მეჩვენება.

ამ სიტყვებით მოხუცნი გავიდნენ და როდესაც შემობრუნდნენ, მათ ხელთ ეპყრათ ღვინით სავსე ჯიხვის ყანწები. მხიარულის სახით მიმართეს მათ მოლხინეთა: მოყვასნო, — სთქვა ალექსანდრემ, — მომილოცეთ და დამეხმარეთ მადლობა შევსწირო ქეურსს, რომელიც მაძლევს იმას, რაც კი არის საუკეთესო: მე დაწვინდე ამისი ქალი ჩემს შვილზედ.

ყველამ მრავალი მილოცვა მიუძღვნა და ნადიმობამ კარგა ხანს გასტანა. ქეურსი და ალექსანდრე ხშირად ხედვიდნენ ერთი ერთმანეთს, ალექსანდრე ყოველთვის ეშურებოდა შეეტყობინებინა ყველა ამბავი შვილისა; სხვათა შორის შეიტყვა, რომ ყმაწვილ კაცთ ბაკრატის მხლებელთა ასწავლიდნენ ყველა ევროპიულს ენებსა და მეცნიერებას. ქეურსი დაფიქრდა:

მე მივეც ჩემს ქალსა სრული ქართული აღზრდა, ამან არ იცის არც ევროპიული ენები, არც ის ხელოვნება, რომლითაც იზიდვენ იქაურნი დედაკაცები ყმაწვილ კაცთა. შენს-შვილს არ ეწევნოს ეს უცნაურად?

— მომეცი თ ნება წარმოვსთქვა სიტყვა, მოულოდ-  
ნელად მოისმა ბრწყინვალე ნაზი ხმა პლინისა, — მო-  
ხუცთ მოიხედეს მისკენ. იგი იდგა მათ წინაშე აღელვე-  
ბული. სთქვიო, უთხრეს მათ ერთის ხმით. — განსვენებულს  
მამა-ჩემს არაფერი შურდა ჩემის განათლებისათვის; მე  
მასწავლიდნენ ყველას, რასაც ჩვენში ასწავლიდნენ.  
სიბრძნე მეძლეოდა ადვილად და, თუ ნებას მიბოძებთ,  
დიდის სიხარულით გარდავსცემ ჩემა ცოდნას ჩემს დას,  
რომელსაც დიდი სურვილი აქვს განვითარებისა.

ნება დართული ჰქონდათ და იმ დღიდან ქალ-  
ვაჟნი განუშორებელნი იყვნენ. პლინის ხელთმძღვა-  
ნელობით თამარმა მალე შეისწავლა ნამდვილად ბერძ-  
ნული ენა; ერთად გულისხმობდნენ მწერალთა, საუ-  
კეთესო ადგილთ ზეპირ-გაკვეთითა. თამარის საკვირ-  
ველს ხმას ეტყობოდა გაუმჯობესობა, როდესაც მან  
შეისწავლა პლინისაგან შეთანხმება საკრავის ჰანგისა.  
იშოკვს ჩანგი და მთელის საათობით დამღერდნენ საგრძ-  
ნობელ ლექსთა. ყმაწვილ ქალ-ვაჟთათვის დღენი,  
კვირანი, თვეები მსწრაფლად გარბოდნენ; ესენი სრუ-  
ლი ბედნიერნი იყვნენ და დიდ ხანს არ იცოდნენ, თუ  
როგორი ძვირფასნი შეიქმნენ ერთი ერთმანეთისათვის.  
ბოლოს დროს გრძნობამ გაიღვიძა. ქეურსის მათდამი  
სიყვარულში დარწმუნებულთ, მათ უშიშრად გამოუცხა-  
დეს მას თვისი განზრახვა, მაგრამ ქეურსმა რა ერთხელ  
სიტყვა მისცა აღექსანდრეს, თავის თავს არ აძლევდა  
ნებას, რომ პირობა დაერღვია. სწავლას თავი დაანე-  
ბებინეს; პლინის მას აღეკრძალა თამარის ნახვა, თუ არ  
მამის თანა-დასწრებით. ყმაწვილ ქალ-ვაჟთ ბედნიერება  
უცბად გარდაექცათ მდაგველ მწუხარებად, რომელსაც

იღუმალ თანაუგრძნობდა გულითადი მათი მოტრფიალე ქეურსი.

ამ ტანჯვის რამდენიმე დღის შემდეგ პლინიმ ველარ შესძლო და ხელთ იგდო შემთხვევა იღუმალად ენახა თამარი. ცრემლით ევედრებოდა ის მას გაქცევის მასთან საბერძნეთში და იქ დაქორწინებას, მაგრამ ვერც ხვეწნითა და ვერც ცრემლით ვერ დააჯერა, რომ ის გამოსულიყო მამის მორჩილებიდან.

შენი ცოლი უნდა იყოს იმოდენად უკეთესი სხვებზედ, რამოდენადაც შენ თვით ხარ უმჯობესი ყველაზედ ქვეყანაზე, ეუბნებოდა თამარი, განა შეიძლება შენგან შერთვა ლტოლვისა?!

არა პლინი, მოვიცადოთ, ღმერთს ყველა შეუქლიან, ყველას ხედავს, ყველა იცის, ყველას ქეშმარიტებით ღირსეულად აფასებს. იმან იცის, ჩვენი უნახაობა სამძიმოა თუ არა ჩვენთვის, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ არას მოვახდენთ იმის საწყენს, ის თვითონ აგვიჩენს ღონისძიებას, მოსპოს ჩვენი განშორება; მხოლოდ შენ ნუ დამივიწყებ და... ნუ სძებნი იღუმალად ჩემს ნახვას...

დილა-სალამოს, დღე და ღამ შესთხოვდა თამარ ღმერთსა, რომ იგინი არ დაეშორებია, და ღმერთმაც შეისმინა მისი ლოცვა: ერთხელ მოხუცი გამდღის თან-ხლებით და მსახურებით, გაემგზავრა თამარ სალოცავად ერთ მოშორებულს მონასტერში, სადაც სცხოვრებდა ბერი მკაცრის ცხოვრების, დიდი მემარხულე, მავედრებელი და მოღვაწე. ამას გამოუცხადა, თამარმა თავისი მწუხარება, და მოხუცმა შეიყვანა იგი თავის ბაღჩაში, იქ ყველას თვალ წინ დაიწყო მასზედ ლოცვა. უცებ წამოვიდა საშინელი ღრუბელი,

განაბრწყინვა ელვამ, მოისმა ხმა ქუხილისა ერთი  
ერთმანეთზედ ხანგრძლივი და ძლიერი. იქ მდგო-  
მარენი შიშით მიწას დაემხვნენ. ბოლოს დროს მეხის  
ხმა დაწყნარდა.

აღსდექით, მოისმა ხმა მოხუცისა—უფალმა გვის-  
მინა ჩვენ ცოდვილთა და ნუგეში სცა თამარს!

სად არის თამარ? ჰკითხეს გარეშე მდგომარეთა. აი,  
უპასუხა ბერმა, და დაანახვა მშვენიერი, სურნელოვანი  
ხამბახი უცბად აღმოენილი იმის ბაღში.

ღმერთმა იგი ყვაკილად გარდააქცია!—აუხსნა მან. გა-  
რეშე მდგომარეთა არ სჯეროდათ.—გამდელი მოჰყვა  
ღრიალს, რომ თამარი დამალა ცხიერმა ბებერმაო;  
დაავიწყდა შიში ღვთისა და წყრომა ქეურსისა, მან  
დააყარა წვევლა და ლანძღვა, მსახურნი, რომელნიც  
უმეტესად თათრები იყვნენ, გახრიკეს მთლად მონასტე-  
რი, სულ გარეშემორტყმული ტყე და ბუჩქები, და რა  
ვერსად იპოვეს თამარი, მოჰკლეს წმინდა ბერი, და  
დასწვეს მონასტერი. დაიწვა საუკუნო შენობა, დაიწვა  
ქვითკირის ბღუდე, დაიწვენ ასის წლის ხეები, დაიწვა  
ვევბა წიგნთ-საცავი, დაიწვა მთლად ნაკლულევანი ქო-  
ნება ბერებისა.

არ დაიწვა მხოლოდ ერთი ტაძარი და თეთრი  
ხამბახი, რომლადაც გარდაიქვა თამარი.

ამის შემტყობნი ქეურსი და ბლინი გაეშურნენ  
მონასტრის ფერფლისაკენ. საყდარში ბარვინ იყო,  
დანარჩენი-კი წარმოადგენდა ღია მინდორს ნახშირისა  
და ნაცრისას. არსად იყო ძებნა თამარისა, მხოლოდ  
ამ ფერფლ შარის გაზდილიყო თეთრი ხამბახი,  
ჩვეილი და მშვენიერ-სურნელოვანი. ბლინი პირველი  
მიუახლოვდა მას და ასტირდა, უკან მიჰყვა მას ქეურსი

და შეჰკრთა გაკვირვებით, მან შეამცნია, რომ როდესაც პლინის ცრემლი დასდიოდა გარშემო ზამბახის კუთხეებს და ქვათა, ჩივილნი მისი ფურცელნი ყვითლდებოდნენ იქვიანობისაგან, როდესაც კი სწვეთდნენ ზამბახზედ, იგი წითლდებოდა ბედნიერებისაგან.

შენა ხარ თამარ! — ჰკითხა მამამ. დაჰქროლა წყნარმა ნიავმა, და როგორც ქეურსმა ისე პლინიმ ცხადათ გაიგონეს, როგორ მის შრიალში, ზამბახის ფურცელთა ამოიღეს ხმა: მე ვარ!

უნუგეშო ქეურსმა ვერ აიტანა ქალის დაკარგვა და იქვე მწუხარებისაგან გარდაიცვალა; საბრალო პლინიმ ისე დიდ ხანს და ბევრი იტირა, ისეთის მხურვალეებით ევედრებოდა ღმერთს, რომ შეერთებულიყო იგი თამართან, რომ ღმერთმა ბოლოს ის წვიმად გარდააქცია.

გაგონილი მაქვს, რომ უწინდელს დროში, რა დაიწყებოდა გვალვა, გარეშემო სოფლების მცხოვრებელნი მიეშურებოდნენ დატოვებულს ეკლესიისაკენ, რომლის გარეშომო იზრდებოდნენ მრავლად ზამბახნი; ჰკრეფდნენ სავსე კალთებს, სურნელოვან საშოვარს გაშლიდნენ ხოლმე მინდორზედ და ბაღებში და ჩვენი ყმაწვილი ქალნი იმღერდნენ თამარის გალობას, კეთილ ხმიან ლექათ-წყობას ისევ სურნელოვანს ზე წმინდას, როგორც იყო გალობა მათგან ქებული ტურფა ყვავილისა. ეს არის საკუთარი ვედრება თამარისა, ყოველი მის უმანკო რწმუნებისა ღვთის ძლიერებაზედ და თავდება პლინის მოხმობით, რომელიც, ამბობენ, მოვა ხოლმე კეთილის მომცემელ თბილ წვიმად. ესეც გამიგონია, რომ ამ ზამბახთ აქვსთ თურმე იშვიათი თვისება, ხან გაწითლებისა და ხან გაყვითლე-

ბისა და ჩვენ ყმაწვილ ქალთაც სცოდნიათ, რალაც მკითხაობასავეთ: თვითოვეულად დანიშნენ თითო ყვავილსა და წვიმის შემდეგ მიდიან მის საბოვნელად; თუ გაყვითლებული დახვდათ, გრძნობა იმისი ბედისა საეჭვოა და თუ გაწითლებული, იმის სიყვარულზედ ეწვი აღარ არის.—არ ვიცი, თუ დარბა ეს ჩვეულება?

ყოველთვის ვწუხვარ, როდესაც რომელიმე ამ გვარი მოთხოვს დაკინცვას ელევია! ჩვენს ძველებურს თქმულობაში იმდენი სიწმინდე, პატიოსნობა, უმაღლესობა იყო, რომ ესეც საკმარისი იყო გასაწკრთნელად. ეკროპიელ ხალხთა ჩვეულება იქმნება იყოს უფრო მიმზიდველი, მხოლოდ მათში არ არის სრულებით, ისეთი წრფელი, ბავშური თავფანის-ცემა ყველა პატიოსნობისა, როგორც ჩვენს ძველებურ ჩვეულებაშია; რომელთაც შემშარიტად შეიძლება ვუწოდოთ „გალობა სათნოებისა“. თითო ჩვენი მოთხოვს ახალგაზდა მწერალთ ხელში შეიძლება იქნეს გამოუღწეველი ტურფა განძი. მე კი, მოხუცმა ავად-მყოფმა, უძლურმა მწუხარებისა და ნაკლებულობისა გამო, როგორ ვიკისრო მათი აღწერა?! მე აღარ მაქვს ის ნაორი, მახვილი სიტყვები, ის ნაზი ფერები, რომლითაც საკიროა ისაბებოდნენ ამ გვარი ბრწყინვალე სურათები.

მე მხოლოდ ვსწერ ამათ მისთვის, რომ აქარავინ იცის ეს, და სამწუხარო კი ენებოდა ჩემის სიკვდილის შემდეგ სრულიად გამქრალიყო კიდევ... იქმნება ვინმე ჩემზედ უფრო ყმაწვილმა და შემხედ ხელოვანმა იკისროს გადმოლება მათი უმეტესი წარმტაცი ენით, უმეტეს პოეტურ, უმეტეს ღირსეულ მათ თვითარს მშვენიერებით.

## კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1897 წ. ანგარიშის გამო.

ჩვენი საზოგადოება და მისი წარმომადგენელი ინტელიგენცია თითქმის არავითარს ყურადღებას არ აქცევს სწავლა-განათლების გავრცელებას ჩვენს სამშობლოში. მისი ურვა და ზრუნვა ამ შემთხვევაში მარტოდ მარტო თავის შვილების გამოზრდაში მდგომარეობს, უკეთ რომ ესთქვათ, ის მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ როგორმე თავისს შვილს, ანუ მის მზრუნველობაზე ბედით მიგდებულს თავის ძმას, თუ დას მოუპოვოს საამქვეყნო სამოთხის კარის გასაღები—დიპლომი. ამით თავდება ჩვენის ინტელიგენციის ყურადღება სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ ჩვენს ერში; მისი მონაწილეობა ამ დიად, საეროვნო არსებითის საქმის წინ წაწევაში მხოლოდ ამაში გამოიხატება! ვინ პირშავი დაემდურებოდა ჩვენ თანამედროვე მამას, თუ დედას, რომ ის თავისს შვილს აძლევდეს ნამდვილს სწავლას, სწავლას, რომელიც კაცს უმკვიდრებს კაცობას, ხდის „ხატად და მზგავსად ღვთისა“, ხდის უნცროსი ძმის „შემწედ და მფარველად, მისი ქირის თუ ლხინის თანამოზიარედ, თვით-მომქმედ კაცად, გონიერ არსებად, სამშობლოს და თავისი ერის ერთგულ შვილად, მათი ინტერესების მხნედა ერთგულ დარაჯად...

მაშინ, როდესაც მთელის სახელმწიფოების (მაგ. ინგლისის) მოზარდ-თაობის სწავლა-განათლება კერძო კაცთადა საზოგადოებათა ხელშია, მაშინ ჩვენი საზოგადოება, რომელსაც უფრორე შეჰვერის ყოველი თვისი ძალი და ღონე მიაქციოს სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში, არც კი შეწუხებულა, თავის-თავისთვის ანგარიში მიეცა, თუ რა ღონეს ჰლონობს ჩვენი მთავრობა ქართველთა შორის სწავლა-განათლების გასავრცელებლად და როგორი ნაბიჯით წინ თუ უკან მიდის ეს საქმე ჩვენში.

თუ სიმართლეს, ქეშმარიტებას არ შევეუშინდით და თვალი გავუხსწორეთ, დავინახეთ, რომ ჩვენის ეგრედ წოდებულის ინტელიგენციის ცხრა მეათედს ან სრულიად არ ესმის თავისი ამ ქვეყნად მოვალეობა, ან და ცხოვრების შესახებ ბოდბელის აზრისაა! თუ თათო-ოროლა გამოდის დღეს ჩვენში საზოგადო ასპარეზზე, გამოდის სიტყვით და არა კოცხალ საქმით; ის სიტყვებით რაბი-რუხობს, მაღალ ფარდებში დაფრინავს და კოცხალს საქმეს კი განზე სამარცხვინოდ გაუბრძის! ჩვენ არ გვაქვს შესისხლხორცებული ის აზრი, რომ პატარა საქმეებით შენდება ეს წითისოფელი: თითქოს გვრცხვენია პატარა, გარნა სასარგებლო საქმეს მოვჰკიდოთ ხელი და ვებლაუქებით იმისთანა საქმეს, რისიც გაკეთება ჩვენ არ ძალ-გვიძს. იმხბრევა ჩვენი ძალი და ღონე გამოხვლისათანავე პირველ დაბრკოლებაზე, ფარ-ხმალს, ცხოვრებასთან საბრძოლველად ხელში აღებულს, სამარცხვინოდ ვყრით და ვერთვით თვალ-ახვევით, გონება-დახშულად, უაზროდ, უმიზნო (საზოგადო, რასაკვირველია) ცხოვრების ქირ-ვარამით აღსაფხე მიმდინარეობას!

ხალხი შევლასა გვთხოვს: გვეხვეწება, გვემუდარება — მიშველეთ, თუ მე ბნელი, უსწავლელი დავრჩი და ამით





ვიტანჯვი, შვილს მაინც, ჩემს ნუგეშს ამგვარ ყოფნაში, ყოფიდაც მე ვიღაცება, ნუ მაჩვენებთო, ცხოვრების გზა გაუნათეთ, მოეხმარეთ და მოიხმარეთო! და საწყალი წელზე ფეხებს იღვავს, უკანასკნელს იზოგავს და შეილის სწავლას ახმარს! და რივიანად ახმარს კი?!

ამ საჭირ-ვარამო საკითხს ქვემოთ შევხვები და ავუხსნი შეძლებისამებრ და რამდენად გარემოება ხელს მომიწყობს. ესლა კი ბატონ მზრუნველის საზოგადო დასკვნებს გავაცნობთ... მე აქ შევხვები მხოლოდ კავკასიაში დაწინაურებულს სამს. გროვნებას რუსებს, ქართველთა და სომხებს და ბოლოს დაწვრილებით ცოტა-რამ ჩვენის პირველ-დაწყებითი სკოლების და მათი მოსწავლეების შესახებ, რამდენადაც ამის შესახებ იძლევა ანგარიში ცნობებს.

საანგარიშო 1897 წელს მთელს ოლქში (კავკასიაში) ყველა უწყების 4,858 სასწავლებელი იყო; მათ შორის საშუალო სასწავლებელი—67, დაბალი სასწავლებელი—96 და პირველ-დაწყებითი სკოლები 4,695, რომელთა შორის ირიცხება 2,002 მუსულმანთა სკოლა (ჯამებთან დაარსებულნი) და 42 ებრაელთა სკოლა. ანგარიშის აზრით, მუსილმანთა სკოლები სათვალავში ჩასაგდებნი არ არიანო, რადგანაც არც კი არიან ღირსნი მათ სასწავლებელი ვუწოდოთ თავისი უმნიშვნელობისა გამო სწავლა-განათლების მხრივ.

ეს სკოლები ჩრდილო და ამიერ კავკასიაზე არა თანასწორად განიყოფებიან: ჩრდილო კავკასიაში ორჯელ მეტი სკოლებია, ვიდრე ამიერ კავკასიაში.

ამ ისედაც მცირე რიცხვს სკოლებისას ანგარიში უკლებს კიდევ სხვა და სხვა უწყების სკოლებსაც (1,289

სკოლა), რადგანაც მათ შესახებ ცნობები სრული და მართლანი არ არიანო. ეს შეცდომად უნდა ჩაუთვალოს კაცმა ანგარიშს, რადგანაც მთელი უწყების სასულიერო სკოლები გამორიცხული აქვს ეს უკანასკნელნი, თუმცა ჯერჯერობით სასურველ ნიადაგზე ვერ არიან დაყენებულნი, მაგრამ მომავალი კი კარგი უჩანთ.

მარტო სამოსწავლო ოლქის უწყებაში მყოფი პირველ-დაწყებითი სკოლები ვიანგარიშით, მაშინ თითო სკოლა მოდის ამიერ კავკასიაში 10,500 სულს მცხოვრებზე, ჩრდილო კავკასიაში კი—5,500 სულზე, ანუ მთელს კავკასიაში ერთი სკოლა მოდის ორთა შუა რიცხვით 7,700 სულს მცხოვრებზე. ესე იგი რომ 1000 მცხოვრებზე 150 სასკოლო ჰასაკისა მივიღოთ (ორთა შუა რიცხვით ასე გამოდის და მიღებული აქვსო ეს ნორმა, როცა ნამდვილად არ იციან, რამდენია სასკოლო ჰასაკისა), მაშინ ერთს სკოლაზე მოდის 1,150 შეგირდი!

პირველ დაწყებითი სკოლები თანასწორად არ არიან დაყოფილნი სხვა-და-სხვა ეროვნებაზე; აი, ერთი სკოლა რამდენ სულს მცხოვრებზე მოდის: 4,400 რუსზე ერთი, 5,900 ქართველზე ერთი, 14,900 სომეხზე ერთი და 30,000 მაჰაადის მმოსავზედ ერთი (27,000 თათარს ერთი სკოლა უწევს და 33,000 მთიულს ერთი)!!

მთელს კავკასიაში მოსწავლეთა რიცხვი ყველა უწყების სასწავლებლებში 209,353-ს უდრის. მარტო მზრუნველის ხელ ქვეშ მყოფ სკოლებში კი (ამათვე რიცხვში შედის კერძო სასწავლებლებიც) სწავლობს 126,067 მოსწავლე, რომელთ შორის 95,838 ვაჟი და 30,229 ქალია.

სასულიერო უწყების ყველა სკოლებში სწავლობს 51, 774 მოსწავლე, რომელთ შორის 38,839 ვაჟი და 12,935 ქალია. სხვა უწყების სკოლებში 2,045 შეგირდია,



აქვე შევნიშნავთ, რომ სამს სომეხთა სასკოლო სემინარიაში მოსწავლეა 1,616 და ეჩმიაძინის აკადემიაში კი 182, სულ 1,798 მოსწავლე.

ამ რიგად ყველა უწყების სკოლებში, გარდამუსულმანთა სკოლებისა, 181,685 კაცი სწავლობს, მათ შორის 137,936 ვაჟი და 43,749 ქალი.

აქვე მოვიყვან პატარა ცხრილს, რომელშიაც მოვაქცევ რაოდენობას მოსწავლე რუსთა, ქართველთა და სომეხთა სხვა, და სხვა მზრუნველის ხელ-ქვეით მყოფ სკოლებში და როგორ სწავლობენ.

I. საშუალო სასწავლებლები:	რუსები		ქართველები		სომეხები	
	რიც. შევ.	როგ. სწავ.	რიც. შევ.	როგ. სწავ.	რიც. შევ.	როგ. სწავ.
1) სავაჟო გიმნაზიები და პროფ.	2,621	76,3	841	78,2	1,782	75,0
2) რეალური სასწავლებლები . . .	1,671	71,2	196	60,3	686	69,5
3) საქადებო გიმნაზიები და პროფ. გიმნაზიები . . .	3,889	85,9	889	83,5	1,628	69,5
4) სამოსწავლო ინსტიტუტი და სემინარიები . . .	185	77,4	67	74,5	33	70,8
<b>სულ . . .</b>	<b>8,366</b>	<b>—</b>	<b>1,993</b>	<b>—</b>	<b>4,125</b>	<b>—</b>
პროცენტებით . . .	49,2	—	11,75	—	24,3	—
II. დაბალი სასწავლებლები:						
1) სამოქალაქო სასწავლებლები . . .	3,078	78,4	2,090	72,5	2,809	68,7
2) მთაულეთის სკოლები . . .	232	82,9	24	90,5	25	85,2
3) მარამის სკოლები . . .	180	89,4	38	90,5	425	71,4

4) სამრეწველო სკოლები . . .	496	76,2	150	59,9	181	58,8
5) საზღვაოსნო გლასეობა . . . .	126	46,7	18	50,0	20	16,7
<b>სულ . . .</b>	<b>4,724</b>	<b>—</b>	<b>2,320</b>	<b>—</b>	<b>3,460</b>	<b>—</b>
ზრატენტებით . .	38,8	—	19,0	—	28,3	—
III. ქერძო და 3-ლ დაწ. სასწ.:						
1) კერძო სასწ.	1,821	—	1,940	—	2,884	—
2) შირგ. დაწ. სკ.	51,719	—	16,881	—	8,312	—
<b>სულ . . .</b>	<b>53,740</b>	<b>—</b>	<b>18,821</b>	<b>—</b>	<b>11,196</b>	<b>—</b>
ზრატენტებით . .	55,5	—	19,4	—	11,6	—
<b>სულ ერთად . .</b>	<b>66,848</b>	<b>—</b>	<b>23,134</b>	<b>—</b>	<b>18,781</b>	<b>—</b>
ზრატენტებით . .	53,0	—	18,4	—	14,9	—

როგორც ამ ცხრილიდან ხიანს სამინისტრო, თუ ქერძო სასწავლებლების მოსწავლეთა 53<sup>0</sup>/<sub>0</sub> რუსია, 18,4<sup>0</sup>/<sub>0</sub> ქართველი და 14,9<sup>0</sup>/<sub>0</sub> სომეხი. დანარჩენ ერების (ჭიუ-  
ლების, თათრების და სხვა) მოსწავლეთა რიცხვი უდრის  
13,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებაში იმყოფება  
სულ 1,486 სასწავლებელი, რომელთაც საანგარიშო  
წელს შესანახავად დასკირდათ 4,297,138 მანეთი. ამ  
ფულიდან 2,104,941 მან. საშუალო სასწავლებლებს  
მოუნდა, 624,738 მან. დაბალსასწავლებელთ, 4315,059 მ.\*  
ქერძო სასწავლებელთ და 1,252,400 მ კი პირველ  
დაწყებით სკოლებს.

ეს ბიუჯეტი ასე შემდგარა: ხაზინა 1,492,722 მ.,

ქალაქებისა თუ სოფლის საზოგადოებანი 1,144,180<sup>მ.წ.</sup>  
1,316,747 მან. ამ უკანასკნელს სწავლის ფულის სახელით  
იხდის საზოგადოება. პროცენტებით რომ ვიანგარიშოთ,  
ხაზინას ერგება 34,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>, საზოგადოებას კი—65,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

ამ 18 წლის განმავლობაში (ბ. იანოვსკის დანიშვნის  
ნიდგან) ბიუჯეტს უმატნია თითქმის სამჯერ: 1879 წ.  
1,11,000, საანგარიშო წელს კი 4,297,138 მან. ამ 18  
წლის განმავლობაში ბიუჯეტს ასე უმატნია: ხაზინის  
წვლილს თითქმის ერთი სამად უმატნია, საზოგადოებისას  
თითქმის ერთი ოთხად და სასწავლო გარდასახადს თითქ-  
მის ერთი-ხუთად.

სხვა უწყების სკოლებზე საანგარიშო წელს დახარ-  
ჯულია 1,575,618 მან., რომლიდანაც მარტო სასუ-  
ლიერო უწყებას დაუხარჯავს 751,821 მანეთი.

სულ სწავლა-განათლებლაზე მთელ კავკასიაში დაი-  
ხარჯა საანგარიშო წელს 5,872,751 მანეთი. ეს ფული  
რომ გავჰყოთ თანასწორად მცხოვრებთა რიცხვზე  
(9<sup>1</sup>/<sub>4</sub> მილიონი), გამოდის თითო მცხოვრებზე 62,7 კაპ.

აი, საზოგადო სურათი სწავლა-განათლების მდგო-  
მარეობისა მთელს კავკასიაში: ამ ცნობებიდან  
ნათლად წარმოიდგენს მკითხველი, თუ როგორ  
უკან ჩამორჩენილია ეს მხარე და რა საპნელოშია. ამის  
შემდეგ კაცს არ გაუკვირდება, გაზეთში ამოიკითხოვს  
შემაძრწუნებელი ამბავი, რომ გურიაში შვილებმა მოხუ-  
ცებული დედა თვისი დიდალესო, აქაო და მზაკვაი ხარო;

\*) ამ ფულადგან 89,694 მანეთი მთუნდა თბილისის,  
ქუთაისის, სენაკის სათავად-აზნაურთა სკოლებს და ბათუმის და  
კაკავას „წ.-კ. საზოგადოების“ და წინამძღვარანთ-კარის  
სკოლებს.

რომ აფხაზეთში სალი-ანკარა წყაროს წყალის სმა ხშირე-  
ბას იმიტომ დაანებაო თავი სოფელმა, რომ ორ-სამჯერ  
მეწყლე დედაკაცებს ვიღამაც კენჭები ესროლაო, და ეს  
ვიღაც სოფელმა არა წმინდად, ეშმაკად მიიღოო. აშკა-  
რაა, ქურდობა-ავაზაკობას და მკითხვე-შაყვაობას ამ სიბ-  
ნელეში ღრმად უდვას ფესვი.

ეს რიცხვები ნათლად ამტკიცებენ, რომ ჩვენ, კავკა-  
სიელთ გვინდა სკოლები, სკოლები და სკოლები!

ეხლა ცოტა რამ დაწვრილებით ჩვენ, ქართველთა,  
სკოლების შესახებ.

როგორც ზევით შევნიშნეთ, პირველ-დაწყებით სკო-  
ლების გავრცელებაში რუსების შემდეგ კავკასიაში პირ-  
ველი ადგილი ჩვენ, ქართველებს გვიჭირავს. მთიულთა  
და თათართ თავი რომ დავანებოთ, ჩვენ ამ საქმეში თითქ-  
მის სამჯერ მეტი წინ-წასული ვყოფილვართ, ვიდრე ჩვენი  
მეზობელი სომხები, რადგანაც ერთი სკოლა ქართველთა  
შორის მოდის 5,900 მცხოვრებზე და სომეხთა შორის  
14,900-სზე. გარნა, აქვე შევნიშნავ, საშუალო სასწავლე-  
ბელში მათი რიცხვი ორჯერ სჭარბობს ჩვენს მოსწავლე-  
თა რიცხვს (24,3: 11,7) და დაბალ სასწავლებლებში კი  
თითქმის ერთ-ნახევარჯერ (28,3: 19).

«ანგარიშით» მთელი ქართველობა 1,404 ათასი  
სულია\*) (იმერეთში 936 ათასი და ამერეთში კი 468 ათ.სი  
სული). ამ სათვალავში არ არიან ჩაგდებული ჩვენი  
ძმანი — გამაჰმადიანებული ქართველები და აგრეთვე,  
ვკანებ, სამურზაყანოელნიც (50 ათასამდე), რომელთაც  
შეცდომით აფხაზებად ჰრაცხენ.

\*) ეს ცნობა არ არის უტყუარად მისამჩნევია. რედ.

ქართველებად არა ცნობილ ქართველთა რომ თავი დაეანებოთ და მხოლოდ ოფიციალურად ცნობილ ქართველების ერთი მეშვიდედი ავიღოთ, ვითარცა სასკოლო ჰასაკისა, გამოდის, რომ 200 ათასზე მეტი სასკოლო ჰარაკისა გვყოლია. და ამათში არა უმეტეს 40 ათასისა სწავლობს, დანარჩენი 160 ათასი ბავშვი კი ღვთის ანაბარადაა დაგდებული: უბრალო წერა-კითხვა რაა, ამასაც ვეღარ ეღიარება თავის დღეში! აქედგან აშკარაა, რომ ხუთ-ექვსჯერ გაავამრავლოთ სასოფლო სკოლები, მაინც ვეღარ დაფუძნაყოფილებოხალხს პირველ-დაწყებითი სწავლის სურვილს: ასე ვართ ჩვენ დაშორებულინი სკოლას!

ჩვენი სასოფლო სკოლები თითქმის ამერ იმერეთში თანაბრადაა დანაწილებული: იმერეთში ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა მოდის 5,6 ათას სულს მცხოვრებზე, ანუ სულ 84 სკოლაა; იმერეთში კი ერთი სკოლა 6 ათას სულს მცხოვრებზე მოდის: სულ 157 სკოლაა \*).

\*) ჩვენ სულ არა ვკატკვს ცნობანი, თუ რამდენი ქართველა სწავლობს სხვა უწყებებს სკოლებში. ვიცით მხოლოდ, რომ ქართლ-კახეთში სწავლობს სასულიერო უწყების სკოლებში 5,106 მოსწავლე, გურია-სამეგრელოში—5,179, იმერეთისაში კი—3,646. სოხუმის ეპარქიაში ქართველა სწავლობს დაახლოებით 980. თბილისისა და ქუთაისის სემინარიებში და ექვს სასულიერო სასწავლებელში საანგარაშო წელს სწავლობდა 2,091 მოსწავლე. „ქრისტიანობის აღმად. საზოგადოების“ სკოლებში 814 შეგარდი. სულ სასულიერო უწყების სკოლებში—17,816. ქუთაისის და თბილისის სხვადასხვა უწყებების სკოლებში სწავლობს 1,299 შეგარდი.

ეხლა თვალი გადავაგლოთ თვით სკოლების რიცხვის ზრდა-გამრავლებას. 1863 წ. ამერეთში არსებობდა 10 პირველ დაწყებითი სკოლა და იმერეთში კი—5. და მერე კი ასე მატულობდა: თბილისის გუბ. ქუთაის გუბ.

1863 - 1872-მდე გაიხსნა:	—	16	—	13.
1873—1882 წ.	—	—	66	— 77.
1883—1891 წ.	—	—	16	— 23.
1892 - 1895 წ.	—	—	13	— 24.
1896 წელს	—	—	10	— 13.
და საანგარიშო 1897 წ.	—	—	22	— 20.

სულ 153 სკოლა 170 ს.

საერთოდ პირველ-დაწყებითი სკოლების შენობანი ჰლირს ამერეთში 198,000 მან., იმერეთში კი— 397,000 მ. ორთა შუა რიცხვით თითო სკოლის შენობა ამერეთში ჰლირს 2,000 მან., იმერეთში კი—2,150 მ. ამ ანგარიშით ამერეთში 81 სკოლის შენობა ჰლირს 168,000 მ., იმერეთში კი 157 სკოლის—337,550 მ. საანგარიშო წელს ორთა შუა რიცხვით თითო სკოლას 300 ტომი წიგნი ჰქონდა ამერეთში, იმერეთში კი 281 ტ. წიგნი. თითო მასწავლებელს ამერეთში ორთა შუარიცხვით წლიურად ეძლევა 275 მ. და იმერეთში 329 მ.

ამერეთის სოფლის მასწავლებლებში 9<sup>0</sup>/<sub>10</sub> საქალაქო და სასულიერო მასწავლებლებიდან, ხოლო იმერეთში კი - 22<sup>0</sup>/<sub>10</sub>!

საერთოდ ერთს მეხუთედს სოფლის მასწავლებელთაგანს, ანგარიშის სიტყვით, მინდობილი საქმე ვერ მიჰყავს ჯეროვანად, სასურველად.



როგორც ნათლად ჰხედავს მკითხველი, ამ უკან-  
სკნელ ოცდა-ათ წლის განმავლობაში ჩვენს ხალხს სწავ-  
ლა-განათლების სარბიელზე დიდი ნაბიჯი წინ წაუდგავს,  
რაცა დიდად სანუგეშოა. გარნა ჩვენი წარმატება ამ  
სარბიელზე რომ შევუდაროთ სხვა ერების იმავე ხნის წარ-  
მატებას - მაშინ სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენი  
უკან ჩამორჩენა. ამ ოცდა-ათ წლის განმავლობაში ჩვენმა  
ხალხმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ის ნიჭიერი  
ხალხია და ზოგიერთების კეინა: „ქართველი უნიჭოა“  
უსაფუძვლოა; ამ საუკუნის მეორე ნახევარში ეს ნათლად  
დაუმტკიცეს ქვეყანას ჩვენი ერის წარმომადგენლებმა  
სხვა და სხვა სარბიელზე. ამათ თავი რომ დავანებოთ,  
ეს იქიდანაც ნათლად მტკიცდება, რომ ჩვენი მოზარდი  
თაობა სხვა კავკასიის ერების მოზარდ თაობას სწავლაში  
უკან არ ჩამორჩენია: ჩვენი შეგირდები საშუალო სასწავ-  
ლებლებში სწავლაში რუსების და სომხების შეგირდებს  
უკან არა თუ არ რჩებიან, პირიქით ზოგჯერ უსწრებენ  
მიუხედავად იმისა, რომ მათთვის (ქართველ მოსწავლე-  
თათვის) ამ სასწავლებლებში სწავლა უფრო ძნელია,  
ვიდრე რუსთა და გაქალაქებულ სომეხთა შეგირდთათვის.

დიდი სანუგეშოა ის, რომ ჩვენი ერი სწავლა-გან-  
ათლებაში, თუმცა ტაატიოთ, მაინც წინ მიდის. მაგ-  
რამ ჯერ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ დღევან-  
დელი ჩვენი პირველ-დაწყებათი სკოლა ძლიერ ცუდათაა  
დაყენებული; და ამ მხარეს ჩვენის სკოლებისას ჩვენც  
ამ სტატიაში გვსურს შეძლების და გვარად მკითხველის  
ყურადღება მივაქციოთ.

საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ ჩვენს კეკლუც  
საქართველოში ჯერ ჯეროპია პირველ-დაწყებათი სკოლა  
სასურველ ნიადაგზე არ არის დაფუძნებული, დაყენებუ-

ლი. და ეს არც გასაკვირალია, რადგანაც მისი (სკოლის) არსება ასე მოკლეა (ორთა შუა რიცხვით 16 წელიწადია) და ამ ხნის განმავლობაში ყველა დაბრკოლების დაძლევა შეუძლებელიც იყო. მით უფრო ძნელია სკოლის საქმის წეს-რიგზე დაყენება იქ, სადაც, როგორც ჩვენს საქართველოში, სამშობლო ენასთან და წერა-კითხვასთან სკოლა-შივე უნდა შეიძინონ და შეისწავლონ სახელმწიფო ენაც ბავშვებმა. ამისთანა სკოლებში საქმე ორკეცდება, რთულდება და ძნელდება. აქ გონიერებაა საჭირო, რომ სკოლა სკოლადვე დარჩეს, და არა სხვა აზრის და მისწრაფების აღსასრულებელ იარაღად გაიხადონ. ვიმეორებ ამწუხაროდ, სკოლა თავისს დანიშნულებას თითქმის ივიწყებს და ზოგიერთების არა სასურველ მისწრაფებათა შესასრულებელ იარაღად ხდება. ასე კი არ უყურებს უმაღლესი მთავრობა ამ საგანს. აი, სხვათა შორის რასა ბრძანებს დიდებული რეფორმატორი: სამოსწავლო მთავრობა არ უნდა აძლევდეს არავის ნებას, სწავლა-განათლების გამავრცელებელი დაწესებულებანი ვინმემ იარაღად გადააქციოს პოლიტიკური მიზნებისათვის, მათ სახეში უნდა ჰქონდესთ მხოლოდ ერთადერთი უანგარო სამსახური განათლებისა, საზოგადო განათლების სისტემას თანდათან გაუმჯობესობით. ეკვდა ზირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლება სამშობლო ენაზედ ქალაქისა და სოფლების მკვიდრთა, ვისი ბავშვებიც სასწავლებლებში დაიარებიან. პირველ დაწყებით სასწავლებლების ზემო (მეორე) კლასებში ბავშვები იწაფებიან სამშობლო ენაზე კითხვასა და წერაში ანგარიშშილაც; მათ ასწავლიან, პირველ-დაწყებით ცნობებს გარ-შემორტყმულ ბუნებისა და ადგილისას. გარდა ამისა საზოგადოების სურვილისამებრ მათ ასწავლიან კითხვასა და წერას რუსულად.

(სახალხო პირველ დაწყ. სასწავლებელთა კანონების კოდექსი. მუხ. 42) სამწუხაროდ დღევანდელი ჩვენი სკოლა ამ ნათელს, კაცთ-მოყვარე აზრს დაჰშორებია...

აწინდელ ჩვენს სოფლის სკოლაში ბავშვი სწავლობს სულ სამ-ოთხ ზამთარს, და ამ მოკლე დროში რა უნდა შეითვისოს საწყალმა მოსწავლემ, ისედაც არა სასამოვნო პირობებში ჩაყენებულმა? რომ სკოლა პედაგოგის მოთხოვნილებებისამებრ იყოს დაყენებული და მოწყობილი, მაშინ მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენი სკოლა ნაყოფიერი გამოდგეს: ზემოდ მოყვანილ კანონისამებრ რომ სწავლა იწყებოდეს ჯერ ტკბილ და წლოვანების შესაფერად შეთვისებულ დედა-ენაზე და მერე ცოტ-ცოტად გადადიოდეს სახელმწიფო ენაზედაც, რომ ეს ენა და სხვა სავალდებულო საგნები ისწავლებოდნენ შეგნებულად, სამშობლო ენის შემწეობით და არა მუნჯურად—მაშინ სულ სხვა იქნებოდა... სულ სხვასა ვხედავთ ეხლა. და საუბედუროდ საქმის არა სასურველად, ჯეროვანად დაუყენებლობის წყალობით თითქმის ეხლა სკოლიდგან ბავშს არ გამოაქვს არც სახელმწიფო ენაზეც წერა კითხვის ცოდნა და არც სამშობლო ენაზედ! ბავშვი სწავლობს სულ სამ-ოთხს ზამთარს, გამოდის სკოლიდგან და რასა ვხედავთ? ორ-სამ წლის შემდეგ თითქმის ყველაფერი ავიწყდება, რაც დაუსწავლა. ჩვენ გვსურდა შეგვეტყო, რა შერჩათ ბავშვებს და რა შეიძინეს ცხოვრებისთვის გამოსადეგარი, და ამიტომ გამოვცადეთ 8 ყმაწვილი, (ხუთს ორ-კლასიანი სკოლა ჰქონდა გათავებული) სკოლიდგან გამოსვლის შემდეგ მესამე წელიწადში: არც ერთს თათქმის ხეივანად სახელისა და გვარის მოწერაც არ შეეძლო რუსულად, ქართულადაც რასაც ჯღაბნიდნენ. რუსულის ხსენებაც არ იცოდნენ, თუ მხედველობაში არ

მივიღებთ ცოდნას დამახინჯებულ კილოზე „ქილ-ბილ“ უბაბუშკი“-ს სიმღერისას!..

მოვალენი ვართ ამ საქმეს დავეხმაროთ, თუ ჩვენს მომავალს უარს არა ვჰყოფთ. ჩვენი შემწეობა ამ შემთხვევაში უნდა იყოს მიმართული, ერთის მხრით, შევირდებისაკენ და მეორეს მხრით—მასწავლებელთაკენ. რაში უნდა მდგომარეობდეს ეს შემწეობა? ჯერ-ჯერობით, ჩვენის ფიქრით, აი რაში:

აუცილებლად საჭიროა, რომ ღარიბ შევირდებს მივაწოდოთ უსასყიდლოდ სასწავლო ნივთები: ვინც სოფლის სკოლაში ყოფილა, ანუ მისი ვითარება იცის, იმან უეჭველად იცის, რომ ხშირად ბავშვი იძულებულია მშობელთა შეუძლებელობისა გამო სკოლას თავი დაანებოს და ისევ დაუბრუნდეს წიაღსა სიბნელისასა, მარტო იმიტომ, რომ სასწავლო ნივთები არა აქვს! მოდის საწყალი, ტირილისაგან თვალეზ-დასივებული ბავშვი და ეუბნება მასწავლებელს, რომ წიგნი არა აქვს და ამიტომ თავს ანებებს სასწავლებელს. რა ჰქნას ისედაც დატანჯულმა სოფლის მასწავლებელმა? ის იტანჯება, იწვის, იდაგება სულიერად, რომ მისი საყვარელი, შეიძლება, საუკეთესოც, შევირდი ორიოდე აბაზის უქონლობისა გამო სამუდამოდ სიბნელეს უბრუნდება, სინათლეს ჰშორდება; მაგრამ ღონე არ შესწევს სურვილი შეისრულოს და დახმარება აღმოუჩინოს და ამით ბეჩავი ბავშვი სკოლასვე დაუბრუნოს. მერწმუნეთ, რომ ეს ერთი უსაშინელესი სულიერი ტანჯვათაგანია პატიოსან, თავისის საქმის გულით მოყვარე მასწავლებლისათვის! ვისაც არ გამოუცდია, შეიძლება, არც კი მიხვდეს ამ ტანჯვას.

და იცით, მკითხველო, ხშირად რა შედეგი მოჰყვება შევირდთათვის ამ სასწავლო ნივთების ბუქთად ძღვევას?



— ცარიელი სკოლა ივსება შევირდებით! მოვიყვანო  
ლითს: ერთს ღარიბს სოფელში მთავრობამ საერობო  
ფულებით სკოლა გახსნა. ამ სკოლაში სამ-ოთხის წლის  
განმავლობაში შევირდთა რიცხვი ათს არ აღემატა. ეს  
გარემოება მასწავლებელმა მთავრობასთან ახსნა სასწავლო  
ნივთების უქონლობით და სთხოვა შევირდთათვის მუქ-  
თად ეძლიათ წიგნები და რვეულები; ამ საშუალებამ  
მოსწავლეთა რიცხვი ათიდგან ოთხმოც-და-ათამდე ასწია.  
აგრეთვე სასწავლო ნივთების დროზე უქონლობით სწავ-  
ლის საქმე ძალიან ბრკოლდება და ფერხდება: ზოგს  
რვეული არა აქვს, ზოგს წიგნი, ზოგს ესა და ზოგს ის;  
და ეს კი საქმეს აბრკოლებს.

როგორც ზევითაა შევნიშნეთ, ქართული ენა თით-  
ქმის განდევნილა დღეს სოფლის სკოლადან. და მის  
აღსადგენად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია— შინ  
საკითხავი საბავშვო წიგნაკები, რითაც, სამწუხაროდ, ძა-  
ლიან ღარიბია ჩვენი ლატერატურა. თვით ოლქის უფ-  
როსი (მზრუნველი) თავის ცირკულიარებში არა ერთხელ  
აძლევს მასწავლებელთ დარიგებას, რომ ბავშვთა მიერ  
შინ, სახლში წიგნაკების წაკითხვას დიდი მნიშვნელობა  
აქვს მისს სულიერ განვითარებაზე და ამიტომ ვალდებუ-  
ლადა ხდის მასწავლებელთ აქლიან შესაფერი წიგნები  
მოსწავლეთ შინ წასაკითხავად და ამ საქმეში ბავშვთ უწი-  
ნამძღვრონ. უფრორე ჩვენის სკოლებისთვის ამ წიგნაკებს  
დიდი მნიშვნელობა აქვსთ...

ახლა ცოტა რამ მასწავლებელზედაც. ქართველი  
საზოგადოება, ინტელიგენცია ვალდებულაა, თუ ჩვენის  
ერის მომავალს უარს არ ჰყოფს, რაც შეიძლება, ქონებ-  
რივად და უფრორე ზნეობრავად დაეხმაროს ჩვენს სოფ-  
ლის მასწავლებლებს: ცოტაოდენ ქონებრივად უზრუნველ

ყოფილი და საზოგადოების თანაგრძნობით აღქურვილი, განვითარებული (შესაფერად, რასაკვირველია), თავის საქმის კარგად მცოდნე სოფლის მასწავლებელი, უეჭველია, სასურველს ნიადაგზე დააყენებს მისდაჟი მინდობილ სკოლას: მას პირნათლად და საზოგადოებას სასარგებლოდ წაუძღვება... დღეს, როგორც, სამწუხაროდ, დამტკიცებულია, ნასწავლი ახალ-გაზდა მასწავლებელნი დიდ ხანს აღარ რჩებიან სოფლის მასწავლებლად და, მოიშორებენ თუ არა, როგორც მასწავლებელნი ეძახიან, „ბეგარას“ (სავალდებულო სამსახურს), მირბიან (უმეტესობა მაინც) მაშინვე სხვა სამსახურში, და ამით მოედანი ჰრჩებათ არა სასურველ პირთა. როგორც ზევით მოვიხსენე, ამერეთში მასწავლებელთა 9<sup>0</sup>/<sub>0</sub> დაბალ სასწავლებლიდანაა, ხოლო 22<sup>0</sup>/<sub>0</sub>—იმერეთში. საერთოდ კი მასწავლებელთა 20<sup>0</sup>/<sub>0</sub> უვარგისია!

არც ზნეობრივი უფლება გვაქვს ვუკიყინოთ ამ ყმაწვილთ: რატომ ანებებთო სკოლას თავს? რა ჰქნას საწყალმა? მართალია, არა მარტო ერთითა პურითა ცხონდების ადამიანი! გარნა უპურობაც შეუძლებელია: დღევანდელი სოფლის მასწავლებელი ხშირად გამხმარ მქადზე და ყველის ნატეხზე გადადის ხოლმე. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მისი „მომავალი“ შიმშილით აღმოხოკვისაგან არაფრით არ არის დაზღვეული!

რამდენადაც შეიძლება, უზრუნველ ჰყავით სოფლის მასწავლებელი, ხელი შეუწყვეთ მას თვითგანვითარებაში და ცოტაოდენ მიაქცეთ მას ყურადღება, აგრძნობინეთ მას, რომ ის საზოგადოების სასარგებლო წევრია, რომ მისი შრომა ფასდება... და ჰნახავთ, რის შემძლე ყოფილა სოფლის მასწავლებელი! ტყუილად კი არ ამბობენ, რომ გერმანიის სოფლის მასწავლებელმა აჯობა ფრანგებისასაო!



## მასალები

ქრისტიანობის დაცემის ღ ისლამის გავრცელების  
ისტორიისა დასავლეთ საქართველოში.

### III

შავშუთას და ამერსეკას გამაჰმადიანება.

(საამბობი ამერსეკას სოფ. წყალსამურას მცხოვრების  
მოსუტის დომინაციის და სხვათაგან).

ჩვენს ბერს კაცებს მოვესწარ და ისინი ამბობდ-  
ნენ, რომ თორთომ ხეობის გამაჰმადიანების შემდეგ  
ტაო გამაჰმადიანდა და ამის შემდეგ ზარუშეთიო; ზა-  
რუშეთის შემდეგ შავშეთი და შავშეთს შემდეგ იმერ-  
ხევი. ყველაზე გვიან აქარა და მაქაზელი გამაჰმადიანე-  
ბულა. ამათ ასი წელიწადი უბრძოლიათ სჯულისთვის,  
კინალამ მთლად გაწყვეტილან. მერე ერთს ამათ ჭკუი-  
ანს კაცთაგანს უთქვამს:

—ჯანუმ, რაზე ვიხოცავთ თაგებს და ბედს ავად  
ვაწყდებით აქა-იქ? აჯერ სხვები გამაჰმადიანდნენ და  
ჩვენც გავმაჰმადიანდეთო.





ჩვენ მოგებაძეს მათ, ჩვენ შემდეგ მირატის გამაჰმადიანდა და მირატის ხევის შემდეგ აკარელნი, მაგრამ ზოგი ხეობა ადრე, ზოგი გვიან. მე ვკითხე მას:

—ზარუშეთს თქვენ რომელ მხარეს უწოდებთ, ჩვენს ქითაბში (წიგნში) ზარუშეთი არსად მოიხსენება, ჩვენში ერუშეთს იტყვიან. საით სძევს ერუშეთი?

—შავშეთის გადაღმა, აღმოსავლით, არდაჰანის მხარეს, სადაც თვით არდაჰანი სძევს; აგერ შეხედე არსიანის, შავშეთის და არდაჰანის ტიტულიკანა მთებს, აი იმ მთებს იქითა მდებარე ადგილებს ზარუშეთი ჰქვია.

მე ვკითხე:

—კარგად, ეხლა მივხვდი, რომ ჩვენს წიგნებში მოხსენებულნი ერუშეთი თქვენებური ზარუშეთი უნდა იყოს. ეს, მე მგონია, მას შემდეგ უნდა შეცვლილი იყოს, რაც ეს ქვეყანა ოსმალთ დაიპირეს.

—აღბად, ასე იქმნება. ოსმალნი შავშეთსაც სხვა სახელს უწოდებენ.

რა სახელს, ვკითხე მე.

—ხან „ნისლათას“, ხან „ნისლიანს“. ჩვენს ძველებს ასე უთქვამთ მათთვის და მათაც ეს სახელი ჩაუწერიათ თავიანთ ქითაბებში (წიგნებში).

—ეს კარგი; აბა, ეხლა ის მიაბზეთ, თუ შავშეთისა და იმერხევის ხალხი როგორ გამაჰმადიანდა?

—აი როგორ გამაჰმადიანდა: პირველი ღმერთის ბრძანება იყო და მერე ჩვენი მუჰამედისა. ქრისტიანი რომ გამაჰმადიანდება, ის უეჭველად სამოთხეში წავაო, იმას რაც უნდა ცოდვები ჰქონდეს, სიკვდილის შემდეგ ღმერთი აპატიებსო. ეს ამბები და ღვთის ბრძანება ჩვენ მალე ვერ შევიტყუთ. სანამ შევიტყობდით, მანამდის

ოსმალებს ვეზუბებოდით, რა ზორი გვექონდა, არა გვესმოდა რა და უბრალოდ თავებს ვიხოცავდით. ასე, ჩვენ როცა ეს ამბები შევიტყუეთ, მაშინ ჩვენ ჩვენის ნებით გავმაჰმადიანდით, ვისაც არ უნდოდა გამაჰმადიანება, ისინი თქვენსკენ გამოიქცნენ. ვინც აქდარჩა, ყველამ თავიანი-სცამაჰმადიანობას.

— პირველად ვინც გამაჰმადიანდა თქვენში, ის ხომ წმინდა, კარგი კაცი იყო?

— ოო, რასაკვირველია, რა ფიქრი უნდა, დიდი სუფთა კაცი ყოფილა.

— ვინ იყო ის კეთილი და წმინდა კაცი?

— აჯერ, შეხედე, აი იმ მთას, იმ მთის ხეობაზე სწევს სოფ. მიქელეთი; იმ სოფ. მიქელეთში ძველად ერთი ზენგინი (მდიდარი) კაცი სცხოვრებდა. ერთუშეთი რომ გამაჰმადიანდა, მაშინ ეს კაციც გამაჰმადიანდა, სხვა ამის ნათესავები კი თქვენსკენ გამოიქცნენ, რადგანაც მათ გამაჰმადიანება არ ინდომეს.

— გვარად რას ეტყვიან იმ ძველს კაცი კაცს?

— იმ მემელექეთის სახელს, მიქელეთს, მიქელოლის, მიქელაძეს, ესენი ზათ სულ აქაურები ყოფილან. მიტომ ჰქვიან ამ სოფელს და ხეობას მიქელეთი. მიქელაძეები დიდი გვარის ფაშებიც ყოფილან ჯურჯისტანის დროს.

— მერე რა ჰქმნა იმ მიქელეთელმა დიდმა კაცმა? ეჭკითხე მე.

— იმან ის ჰქმნა, რომ გამაჰმადიანების შემდეგ ის დანიშნეს არდაჰანის უფროსად და ბეგიობა მისცეს, რადგანაც ის ძალიან ცდილობდა ხალხის გამაჰმადიანებას. იმ დროს ერთი ჩვენი ძველებთაგანი არდაჰანში ჩასულა და მიქელაძეს გამოსცხადებია. მიქელაძეს უც-

ვნია, კარგად მიუღია და ამისთვის უთქვამს: ბიჭო, რაზე იხოცავთ თავებსაო, მაჰმადიანობა წმინდა სჯული ყოფილა; ქრისტიანი რომ გამაჰმადიანდება, ის პირდაპირ სამოთხეში წავაო. რაზე იპირვებთ, ძმანო, საქმეს, გამაჰმადიანდით და მოისვენეთ დავიდარაბისაგანაო.

ჩვენს ძველს სიტყვა მიუცია. მიქელოღლის ამისთვის ერთი კარგი ცხენი უჩუქებია და ეს ისე გამოუსტუმრებია იმერხევში. ჩვენი ძველი აზნაურები ყოფილან, მთელი ხეობა მათ სქერიათ, სოფ. წყალსიმერში მდგარან. ამათ შეუყრიათ იმერხევის ბევიები და აღები: თურმანიძე, სადირასძე, ლომინაძე და მრავალიც სხვანი და უთქვამს მათთვის მაჰმადიანური სჯულის სიწმინდავე, სამოთხეში წასვლა, ცოდვების პატიება და არდაჰანის ბეგისაგან დაპირებული წყალობის მიღება. ესენი წასულან მალე არდაჰანში, უნახავთ მიქელაძე, იმას კარგად მიუღია, ყველაფერი სჯულის საქმეები შეუტყობინებია, თან ფადშახის მოწყალებას დაჰპირებია და ბოლოს გამოუსტუმრებია ესენი ჩვენსკენ. ესენი მოსულან შინ, მალე ამ ხეობების სოფლის ხალხი შეუყრიათ ერთად და თავიანთი სურვილი განუცხადებიათ. ხალხს მათი აზრი კარგად მიუღია, ამათ გახარებიათ კიდევ და უთქვამს:

— დიდის სიხარულით ვიწამებთ მუჰამედს და ნამდვილი მაჰმადიანები გავხდებით.

აქ მალე მოუწყვანიათ ხოჯა-მოღებები და ხალხს თავის ნებით დაუწყია გამაჰმადიანება. რამდენიმე ხნის შემდეგ შავშეთისა და იმერხევის ხალხი მთლად გამაჰმადიანებულა. ამ დროს სოფ. წყალსიმერს, შუა სოფელში ეკლესია ყოფილა, ის ეკლესია დაუქცევიათ და ეკლესიის მასალით იმავე ალაგას დღევანდელი ჯამე

დაუდგავსთ. ამ ალაგას ახლა ახალი ჯამე სდგას. ასევე კიდევ სხვა სოფლებში გააკეთეს, ეკლესიები დააქციეს და ეკლესიის მასალით იმავე ადგილებზე ჯამეები დააკეთეს.

—რატომ ტბეთის ეკლესია კი არ დააქციეს? ვკითხე მე.

—ტბეთის ეკლესია იმიტომ არ დააქციეს, რადგანაც შავშეთი და იმერხევი ერთობ ადვილად გამაჰმადიანდა. აქარელებსავით და მაქახლელებსავით ამათ დიდი სისხლი არ დაუღვრიათ: როგორც უთხოვნიათ თუ არა, ესენი მაშინათვე გამაჰმადიანებულან ღმერთის ბრძანებით. ტბეთს რაღაზე დააქცევდნენ, მაგაზე უკეთესს რას გააკეთებდნენ, რომ დაექციათ? იმავეთავითვე ვე ჯამედ გადაუკეთებიათ. მიტომ დარა ეს ქლესია აქამდის, თორემ ეს რომ ჯამედ არ ყოფილიყო გაკეთებული, იქნება აქამდის არც კი მოედწია.

—შენის ფიქრით, ეს რამდენი თაობა უნდა იყოს მას შემდეგ გადასული, რაც აქ მაჰმადიანობა შემოვიდა? ვკითხე მე.

—მეექვსე თაობა, რადგანაც ჩემი მამის მამა იტყოდა, რომ ჩემი ბაბა (მამა) ქრისტიანი ყოფილა და პატარა გაუმაჰმადიანებიათო. მას შემდეგ 300 წელიწადი უნდა იყოს გასული. მაჰმადიანები ასეთი კაცები არიან, რომ ტბეთი არ დააქციეს, ჯამეთ გადააკეთეს და ხალხს მისცეს სალოცავად, და თქვენ კი ჩვენი ახალციხის ჯამე ქლესიად (ეკლესია) გადააკეთეთ, ზენგინები ჩამოჰკიდეთ და არახუნებთ.

სხვა ძველი კაცები ამ რიცხვს უარყოფენ და ამბობენ, რომ ამ ადგილების გამაჰმადიანებიდგან 200 წე-



ლიწადზე მეტი არ უნდა იყოს გასულიო, ჩვენ ვაგვიგიაო.

ამის შესახებ საუბარი დაუწყე და ავუხსენი საქმის ვითარება და ისიც, რომ ძველად ეს ჯამე ქართველების სალოცავად იყო-მეთქი, მაგრამ მან არ დაიჯერა და ეს კი მითხრა:

— ჩვენ ქლესიებსაც პატივს ვცემთ, რადგანაც ჩვენ გურჯები ვყოფილვართ, მხოლოდ გამჟღერი ღმერთის ნებით ჩვენი ძველები გადაბრუნებულან. ამიტომ ჩვენ ჩვენი ძველების სალოცავები არ გვეჯავრება. ქლესიებს მიტომ აქცევდნენ, რომ დანაქცევის მაშალით ჯამეს აკეთებდნენო. ტბეთს გარდა რამდენი კიდევ სხვა ეკლესიები არის დარჩენილი და ჯამეებათ გადაკეთებულიო. ხახულის ეკლესია, თორთომისკენ, ართვინიდან 5 დღის სავალზე, იშანას და პარხალას, ესენი დღეს სულ ჯამეებათ არის დაკეთებული. ამათზე იტყვიან შემდეგს: „ხახულის ეკლესიის სილამაზე, იშანის სიკრელე და პარხლის დაჯდომა და დასვენებაო“. ეს ეკლესიები თამარ მეფეს გაუკეთებია. ამის გაკეთებისთვის მას ფული დაკლებია. ამიტომ მას თავის ნაწნავი თმები მოუჭრია, ის გაუყიდნია და იმით ანაზები ფულით შეუთავებია ხსენებული მონასტრები. ქვაბლიანი და ფოცხოვის ხალხიც მაშინ გამაჰმადიანებულან, ჩვენს ძველებთან ერთად. ზარზმაც მიტომ არ დააქციეს. რაც დიდი ეკლესიები არის დარჩენილი, ყველა ჯამეებათ იყო გადაკეთებული. ელა კი ისევ გურჯებს უთმობენ ამ ქლესიებს. ტბეთში მიტომ მოვშალეთ ჯამე და ცალკე დავდგით.

#### IV.

### შავშუოას გაჭმამადაანება და ტბუთას ცამარა.

(ნამბობი შავშუელის მაჭმამადაანას გორდაძის მიერ, ტბუთას მამასახლისის მიერ, ლომსახაძის და სხვათა მაჭმამადაანთა.)

ტბუთის ეკლესია ამ მხარეში პირველი ეკლესია არის, ასეთ ეკლესიას კაცი ვერსად ნახავს. მე ბევრი ეკლესია მინახავს, ბევრად ამაზე დიდი, მაგრამ ასეთი კობტა, ლამაზი ეკლესია კი არსად მინახავს. ამბობენ, რომ ეს ეკლესია თამარ დედოფალს გაუკეთებიაო. ჩვენი ბევრი კაცებიც იტყოდნენ ხოლმე, რომ თამარ მეფეც შიგ ამ ეკლესიაში მარხიაო. თამარ დედოფალს აქ შავშუეთში უცხოვრია, ეს ადგილები და ხალხი ძრვიელ ჰყვარებია. ამ სოფლის ადგილები და ტყეები სულ შავშუეთის ხალხისთვის დაუმტკიცებია. იგი ძალიან კარგი ხელმწიფე ყოფილა. იმის სიკვდილის შემდეგ აქ ოსმალები მოსულან და ყველაფერი, სოფლები და ადგილები აუღიათ. ხალხი თავის ნებით ჩაბარებია. ჩხუბი არ უქნიათ. მერე მამაჰმადიანობაც შემოსულა. ჩვენი ძველებიც მალე გამაჰმადიანებულან. ამათ ოსმალოსთვის უთხოვნიათ ასე:

— ჩვენ გამაჰმადიანდებით, თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, მალოდ თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე გვაქვს; თუ ამას შეგვიასრულებთ, მაშინ უფრო ერთგულნი ვიქნებით თქვენიო.

— ბრძანეთ, სთქვით, უთხრეს ოსმალთა.

— ჩვენ ვითხოვთ, რომ ჩვენ გამაჰმადიანების შემდეგ



ტბეთის ეკლესია არ დააქციოთ, რადგანაც იმ სიაში ჩვენი თამარ დედოფალი მარხია. იქ არის მისი მეზელუხი. თუ ის დაგვიქციეთ, ჩვენ იმას ვერ მოვითბენთ, მთლად გავწყდებით.

—ძრიელ კარგი, სალოცავ სახლის კედლებთან რა ხელი გვაქვს, რომ დავაქციოთ? იყოს მაგრე. ჩვენ ხელს არ ვახლებთ. ჩვენ ისევ თქვენს სალოცავად გავაკეთებთ, ჯამეთ გადავაკეთებთ.

—ნუ, შენი ქირიმე, ჩვენ სხვა სალოცავს გავაკეთებთ, ეგ მაგრე დარჩეს და დაკეტილი იყოს მისი კარები, გადაკეთებით იქმნება ჩვენ ღმერთი გავირისხოთ. მიუგო ხალხმა.

ამათ ეგონათ, რომ ოსმალებმა ეს ადგილები დროებით აიღეს. ამათ აქედან მალე გავრეკავთ და მიტომ ეს ეკლესია ჯამეთ რად გადავაკეთოთო. ის კი არა და, ოსმალებმა უფრო გაიმაგრეს ფეხი და შავშეთით სხვა ადგილების დაქვრაც დაიწყეს და ხალხსაც მაჰმადიანობა გამოუცხადეს. საქმესხვარიგად წავიდა. ხალხს ჯამეს კეთება დააწყებინეს, ამათ ჯამეს კეთება გაუძნელდათ. ერთმა სთქვა:

—ბატონო, ჯამეს რალაზე ვაკეთებთ, ჩვენი სალოცავი აქ არ არის, გავალოთ მისი კარები და შიგ დავიწყოთ ლოცვა.

ხალხი თანახმა გახდა. მალე ოსმალთ გამოუცხადეს ეს ამბავი. ოსმალთ ნება მისცეს, მალე კარები გააღეს, შიგ შევიდნენ, მაჰმადიანებრ მოაწყვეს და ლოცვა დაიწყეს. შინარად პატარა ეკლესია გააკეთეს, სადაც ზენგინები ყოფილა ჩამოკიდებული. ზენგინები და სხვა რამეები მიწაში დაუფლავთ. რაც ეს ეკლესია



ჯამეთ არის გაკეთებული, მას შემდეგ სამაჰი წელიწადი იქნება.

— ეკლესიის ზოგიერთი კედლები რომ დაქცეულია ეგ რისაგან მომხდარა, ვის დაუქცევია, ან შიგვის წაუხდენია?

— ეგ არ ვიცი ბატონო, იტყოდნენ ხოლმე, რომ ეს დაქცეულები წინადაც იყო, სანამ ჯამეთ გადაკეთდებოდა. ძველ ჩხუბიანობის დროს შიგ აქაური ხალხი შედიოდა და თავს იმაღავდა, გარედან მტერი მოადგებოდა და ზარბაზნებს ეაროდაო და მისგან დაქცეულაო. შიგ კიდევ ეჯემებს წაუხდენიათ. ჩვენში იტყვიან, რომ ეს ქვეყანა ეჯემსაც (სპარსნი) ეპირათ და იმათ წაახდინეს შიგაო. ჩვენ ვერ წავახდენდით მასაო. რადგანაც ძველებისაგან სიტყვა გვაქვს დარჩენილი, რომ ამ ეკლესიას ხელი არ ახლოთ, ერთი ქვაც არ დააკლოთო.

ახლა ამ ეკლესიას ზემოთ (გუმბათს) მეხი დაეცა, ჩვენ შევშინდით, ჯამე სხვაგან გააკეთეთ 1500 მ. დავიჯდა. ამ ეკლესიას ხელი არ ვახლეთ, ამის მინარა დავაქციეთ მხოლოდ და ქვები ვიხმარეთ იქ. ამბობენ, რომ ეკლესიაში რომ დიდი ქვა სძევს, მას ქვეშ მარხია თამარ მეფეო.

## II.

ეს აღგილები გურჯისტანი ყოფილა. ჩემი მამაც ასე იტყოდა. იმასაც ასე გაუგონია თავის მამისაგან და იმ მამასაც ასე გაუგონია თავის ძველებისაგან. ჩვენ სულ ქრისტიანები ვყოფილვართ, ჩვენი ხელმწიფე თამარ დედოფალი ყოფილა. ის რომ მომკვდარა, იმის



შემდეგ ჩვენ მეფე აღარ გვყოლია, წავმხდარვართ. ჩვენს ბეგიებს აქ ოსმალები მოუყვანიათ და ეს ადგილები ჩაუბარებიათ, და ასე უთქვამთ:

— ჩვენ ჩვენი მეფე მოვვიკვდა, აღარა გვყავს და ამ ქვეყნის მეფე თქვენ ბრძანდებოდეთ, თქვენ გაბარებთ. იმათ უთქვამთ:

— ჩვენ ჩაგბარებთ, მივიღებთ ყველაფერს, თუკი ჩვენს სჯულს მიიღებთ და გაათათრდებით.

მაშინ აქ ტბეთის ეკკლესიაში ერთი დიდი ქეშიში მკდარა და იმას უთქვამს:

— აგბარდებით, მაგრამ არ გავმაჰმადიანდებით. გამაჰმადიანება რა საკიროა. ოსმალთ უთქვამთ.

— ჩვენ ძალით აგიღებთ და გავამაჰმადიანებთ, მაშინ უარს ველარ იტყვით.

ქეშიშიმა უთხრა:

— როგორც გერბოთ, ისეჰქენით, მე ხალხს ნებას არ მივსცემ, რომ გამაჰმადიანდნენ.

ხალხს ძრიელ შეეშინდა. ქეშიშთან მისულან და უთქვამსთ:

— ქეშიშო, ჩვენ ჩვენი მეფე აღარ გვყავს და რა ვქნათ მაშ? ჩვენ ოსმალებთან ჩხუბს ვერ გავხედავთ, თქვენ თუ არა გნებავთ იგინი, თქვენ წაბრძანდით სხვაგან.

ქეშიშიმა გაიგონა ხალხის სიტყვა. მოჰკრიბა ეკკლესიის ბარგი, თქვენსკენ წამოვიდა და ყველა ისინი იქ წამოიღო. ამას შემდეგ ხალხი ოსმალთ ჩაბარდა და მალე გამაჰმადიანებაც დაიწყეს. გამაჰმადიანებულებმა სალოცავად ეს ეკკლესია გააკეთეს და აქნობამდის ჩვენ შიგ ვლოცულობდით. ზოგნი, ძველი კაცები იტყოდნენ, რომ ამ ეკკლესიის ხაზინა იმ დროს ეკკლე-

სიის შუა ალაგას მიწაში ჩაფლესო. მისი ზენგინებიც იქ დაუმარხავთ ძველათაო, გამაჰმადიანების შემდეგ, რაც რამ ყოფილა, სულ მიწაში ჩაუმარხავთო. ჩვენი ძველების სიტყვა გამართლდა და ახლა რავდენჯერმე თქვენებური კაცები იყვნენ აქა, ეკლესიის ადგილები დათხარეს, შიგ მეზელოურები აღმოაჩინდა, იქ რალა კაები ნახეს, ამოალაგეს და თან წაიღესო.

—ქართული ენა როგორღა დაჰკარგეთ, თქვენ აქაურები არ უნდა იყოთ, შორიდან მოსულები უნდა იყოთ.

—აქაური გახლავართ. მე აქ დაბადებულ-გაზრდილი ვარ, არსიანის მთის იქით ფეხიც არ გამიდგავს, ისე დავბერდი.

—მოხდა ისე, რომ დავჰკარგეთ. როცა გავმაჰმადიანდით, მერე მაჰმადიანურად დაკვიწყეთ სწავლება. ბერიკაცები ქართულად ლაპარაკობდნენ და პატარები კი ეწვეოდნენ ოსმალურს. სასამართლოებში ყოველთვის ოსმალურად გველაპარაკებოდნენ. მოლა-ხოჯებიც ოსმალურად გვალოცებდნენ და, მაშ მეტი რა გზა გვქონდა, რომ არ დაგვესწავლა მაჰმადიანური!

—თქვენ რომ დაიწავლეთ მაჰმადიანური და ქართული დაიკვიწყეთ, რატომ თქვენ სოფლებს ახლო მდებარე სოფ. ახალ-დაბამ, ჯვარემა და გარკილოუფმა კი არ დაივიწყა? ეს როგორ მოხდა? ვკითხე მე.

—მაგაზე ასე იტყოდნენ, რომ ეკენი ერთობ გვიან გადაბრუნდნენ სჯულიდან, გვიან მიიღეს მაჰმადიანობაო. ოსმალნი მათ ძალით არ ამაჰმადიანებდნენ, და ივინი კიდევ არ მაჰმადიანდებოდნენ და გამაჰმადიანებულლებთანაც მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ; ერთმანერთში ჰქონდათ მეგობრობა, ნათესაობა და ყოველ-

თვის ქართულს იტყოდნო. იმერხევზედაც მაგრე გამიგონია და ასეც იტყოდნენ, რომ შავშეთის გამაჰმადიანების დროს, ნახევარზე მეტი ხალხი გაიქცა, არ გამაჰმადიანდაო; სოფლები განახევრდა, სახლები და მამულები ცალიერები იყოო; ოსმალებმა აქ ქურთები და თურქები მოიყვანეს და დაასახლესო. ისინი აირიგნენ ჩვენში და მერე იმათის ლაპარაკით და მეზობლობით ჩვენც ოსმალური ლაპარაკი შევისწავლეთ და ქართული დაგკარგეთო. ქართულის დავიწყება პატარაებიდგან დაწყებულაო, რადგანაც ჩვენი და ქურთის და თურქის უმაწვილები ყოველთვის ერთად იყვნენ ხოლმეო. იმერხევში კი ოსმალებს არავინ ჩაუყვანიათ და არც დაუსახლებიათ.

### III.

შავშელებმა ქართული ენა მიტომ დაჰკარგეს, რადგანაც ამათზე წინეთ გოლამ (კოლა) დაკარგა, ზარუშეთმა (ერუშეთი) და სხვა ადგილებში. ჩვენი ძველები იტყოდნენ, რომ ჩვენ ქართულს ვიტყოდითო და ერუშეთი, გოლა, თორთომ-ოლთი კი მაჰმადიანურს ლაპარაკობდნო. იქ რომ აკვიდოდით და რამეს ჩავიტანდით გასასყიდლად და ქართულს ვიტყოდით ჩვენ გავცინებდნენ და გვეტყოდნენო:

— ბიჭო, რაზე ვერ დაისწავლეთ მაჰმადიანური ენაო? თქვენ აქარელები ხომ არ ხართო? რატომ რჩებით მაგრე ბეჩათო? ქართული მუსლიმან კაცს არ მოუხდება? რომ თათრული ვერ დაისწავლოს, მაშ ლოცვებს როგორ დაისწავლითო?

შავშელებს თათრული ენის სწავლება დაუწყიათ

და შეუსწავლიათ ნელ-ნელა. ესენი ხანდისხან ყარსში, არდაჰანს და ოლთს რომ მიდიოდნენ სავაქროდ, იქ მაჰმადიანის და ქურთის ქალებს ირთავდნენ ცოლად, და მოჰყვანდათ შინ იმ ჰაზრით, რომ ყმაწვილებმა მაჰმადიანური დაისწავლონო; თორემ ჩვენებური ქალები შვილებს ქართულად ელაპარაკებოდნენ და ამიტომ პატარანი მაჰმადიანურს ველარ სწავლობდნენო. ძველად შავშეთის სოფლებში არ ყოფილა არც ერთი ოჯახი, რომ იქ ორი თუ არა, ერთი მაჰმადიანის ან ქურთის ქალი მაინც არ ყოფილიყოს. ამიტომ გადაბრუნდა შავშეთის ხალხი ქართული ენიდგანო.

იმ დროს აჰარა-მაჰახელი ქრისტიანები იყვნენ და ჩვენსა და იმათ შუა დიდი ჩხუბი იყო ხოლმე. ოსმალნი ჩვენ აჰარაში აღარ გვიშვებდნენ, რომ იქ აჰარა მაჰახლელებთან ქართულად არ გველაპარაკნა, რადგანაც იგინი ჩვენ გვემტერებოდნენ, მაჰმადიანურად არ ლაპარაკობდნენ, მტერობით გაცარცვაც დაგვიწყეს. მთლად ფირალად გახდნენ. შავშელ კაცს სადაც დაიქერდნენ, იქ მაშინათვე გაჰქუცავდნენ, წაართმევდნენ ყველაფერს, ვინც ძალაზე დაუდგებოდა, იმას თავსაც მოსპრიდნენ. აჰარელებზე უარესი მაჰახლელები იყვნენ. მათგან ყოველთვის შეწუხებაში ვიყავით, სადაც დაგვიქერდნენ გვცემდნენ, გვცარცვავდნენ, გვხოცავდნენ, ვინ იცის რაებს არ გვიშვებოდნენ. მთლად აგვიკლეს, არ მოისვენეს, აღარც ჩვენ გვასვენებდნენ შავშელნი, რად გამაჰმადიანდითო. ამიტომ ყველაფერ ცუდს საქმეებს ჩადიოდნენ. იგინი აღარც მუშაობდნენ, არც სთესდნენ, არც ხნავდნენ, მარტოდ ფირალობდნენ და ჩვენის შრომით სცხოვრებდნენ.

ამათ ისე არიეს ქვეყანა, და ხალხი იმ ზომამდის

შეაწუხეს, რომ უკანასკნელ ოსმალმა დაიჭირა მგრამ არც იმათ დემორჰილნენ. იმათაც დიდ ხანს ეჩუბებოდნენ და არ მორჰილდებოდნენ. ბოლოს მათ გამაჰმადიანება დაუწყეს. არც ეს ჰქმნეს ადვილად. ამისთვისაც ჩუბობდნენ, უკანასკნელ მაინც გამაჰმადიანდნენ და გამაჰმადიანების შემდეგ კი ცოტად დაგვიმეგობრდნენ, რადგანაც ჩვენის სჯულის იყვნენ. ბევრი იტყოდნენ ხოლმე, რომ აჰარელნი ადრე შავშეთში რომ მოვიდოდნენ და ტბეთის ეკკლესიას დაინახავდნენ, გარედ პირჯვარს დაიწვრდნენ, ქრისტიანულად ილოცავდნენ და შიგ შესვლის შემდეგ კი მაჰმადიანურად. აჰარელებსაც დიდად უყვარდათ ტბეთის ეკკლესია, და ამ ეკკლესიის დაქცევა რომ ვინმეს გაებედნა, იმას აჰარელნი ცოცხალს აღარ გაუშვებდნენო.

#### IV.

შავშეთში ამ 40 წლის წინად ყველა მოხუცმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოჰფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ ვინც კი ქართულად იტყვის რასმეს, იმას უეჭველად გააქრისტიანებენო. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და ამიტომ ყოველი შავშელი თავის შვილს მხოლოდ მაჰმადიანურს ლაპარაკს და წერა-კითხვას ასწავლიდა. ასე და ამ რიგად შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება.

V

დევესქელის ხეობას გამაჰმადიანება.

(ნაამბობა სოფ. ზეტრულას მცხოვრებ ქართველ მაჰმადიან ეუბასაგან, ამას მოხუც მამას და სხვათა მაჰმადიანთაგან).

დევესქელის ხეობა სქევს ლივანაში, იგი ლივანიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით მიემართება. შვენიერი ხეობა არის, მეტად ცუდი გზები კი აქვს. დევესქელის ხეობაზე აღრე ოცზე მეტი სოფელი ყოფილა. ეხლაც ამდენივეა. მაშინდელ დევესქელის სოფლის ხალხთა კარგ ეკკლესიად ზეტრულის პატარა ეკკლესია ყოფილა. ამ ეკკლესიის გვერდით წელიწადში ერთხელ ხალხი შეიკრიბებოდა და ლოცვას და ლხინს გადიხდოდა. დევესქელის ხალხი ძალიან მხნე და ყოჩაღი ხალხი ყოფილა.

ოსმალებმა ლივანის გამაჰმადიანების შემდეგ მაჰახელასა და დევესქელის ხეობის გამაჰმადიანებას მიადგნენ. მაჰახელმა ძლიერ იწინააღმდეგა. ბევრი სისხლი დაღვარეს, ამათვე მიჰბაძეს დევესქელის ხეობის ქართველთაც. ხალხი გაწყდა თითქმის, განახევრდა სოფლები, მაგრამ მაინც ვერა გააწყეს რა. ოსმალებსაც მობეზრდათ ჩხუბი და დროებით თავი დაანებეს. ხალხში მოიფინა ხმები, რომ ოსმალები ქართველებს აღარ ამაჰმადიანებენო. ყველანი ემადლიერებოდნენ მაჰმადიანებს.

მაღე დევესქელის ხეობა ხელ-ახლა გაივსო ხალხითა. აქ ხალხი საქართველოდგან მოსულა, რადგანაც მათ შეუტყვიათ, რომ დევესქელის ხეობაში, სოფ-

ლებში ცალიერი სახლები ბევრგან არისო, გარდა ამისა საცხოვრებელი მიწებიც ბევრიაო. ამ ადგილებს ხალხი მით უფრო ეტანებოდა, რადგანაც აქეთ ჰურის მოსავალიც იცის. დევესქელი მალე გაივსო ხალხით, მოშენდა ისევ ძველებურად სოფლები და გამრავლდა ხალხი.

განვლო დრომ და ოსმალთა ხელ-ახლა დაიწყეს ბრძოლა და მეცადინეობა გამაჰმადიანების შესახებ. მალე დევესქელის ხეობასაც მოადგნენ. დევესქელის ხალხი შეიარაღდა, ხელ-ახლა ჩხუბი დაიწყეს, მაგრამ ძალი აღარ იყო. ოსმალთ დევესქელის ორივე მხრის ხეობათა გზები შეჰკრეს და სასტიკის ბრძანებით გამაჰმადიანება გამოაცხადეს. მეტი გზა აღარ იყო, ხალხი უნდა გვამაჰმადიანებულიყო, თორემ ყველას ანიაკება ელოდა. მალე სასტიკი ბრძანება გამოიკა და ხალხმაც იწყო გამაჰმადიანება. მთელი დევესქელის ხეობა გამაჰმადიანდა.

იმ დროს აქა იქ თითო ოროლა მღვდლები იყვნენ და ხალხს ქრისტიანებრ ალოცებდნენ, მაგრამ ამანაც დიდხანს არ გასტანა. მღვდლებს ლოცვები აღეკრძალათ და გარეკილ იქმნენ სხვაგან. ვინც გამაჰმადიანება ისურვა, ისინი აქ დასტოვეს. პეტრულში დარჩენილა ერთი მოხუცი მღვდელი, რომელიც ჩუმად ალოცებდა ხალხს ქრისტიანულად. ეს მღვდელი მთელს დევესქელის ხეობის ეკლესიებს ჰპატრონობდა და უწლიდა. ხალხი, რადგანაც ახლად გამაჰმადიანებული იყო, ამიტომ იმ მღვდელს საკმარისად პატივს სცემდა ყველა ემორჩილებოდა მის სიტყვას. ხოჯებიც არ უშლიდნენ, რადგანაც იგი ბერიკაცია და ღღეს თუ ხვალ მოკვდებოა. ასეც მოხდა. მოხუცი მღვდელი მალე გარ-

დაიცვალა. ამის შემდეგ დევესქელში მოისპო მთლად და სამუდამოდ მღვდლების რიცხვი.

თუმც მღვდლები აღარ იყვნენ, მაგრამ ხალხი მაინც ჩუმად ქრისტიანობდა და ლოკულო<sup>1</sup>და აქა-იქ ეკლესიებში, ნამეტურ პეტრულის ეკლესიაში. მოხუცი მღვდელიც პეტრულის ეკლესიაში მდგარა. სიკვდილის შემდეგ იქვე დაუმარხავთ ჩვენ ხოჯებს. ხალხის ჩუმს ლოცვებს და ქრისტიანულს წესებს ჩვენმა ხოჯებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და იგინი სასტიკად უკრძალავდნენ ქრისტიანებრ ლოცვას და აქა-იქ ეკლესიებში სიარულს, მაგრამ მაინც ხალხში ვერ სპობდნენ ქრისტიანობის სიყვარულის ნიშნებს. რამდენიც ისინი. წინააღმდეგნი იყვნენ, იმდენი ჩვენები უფრო მაგრად და სასტიკად ასრულებდნენ ყველაფერს.

ამ დროში კი შიგა და შიგ ნამდვილი მაჰმადიანობის მექონი ქართველნიც მრავლდებოდნენ; ხოჯები მალე დარწმუნდნენ მასზედ, რომ ხალხს მალე ვერ დაკავიწყებთ თავიანთ წეს-წვეულებასაო. მათ ითათბირეს და უკანასკნელ ინიცლეს ბათუმში, რომ დევესქელის მუსლიმანები ჩუმად ქრისტიანობენ და რა უნდა ეშველოს მათაო. ბრძანება მოვიდა, რომ რაც ძველი ეკლესიები აქვსთ, სულ დაუქციეთ და ხალხსაც სასტიკად აღევრძალოს ეკლესიებისკენ სიარული და ქრისტიანებრ ლოცვაო.

ბრძანების შესასრულებლად მალე ჯარიც მოვიდა და ხალხს გამოეცხადა ბრძანება:

— მთავრობა გიცხადებსთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ ქრისტიანობის აღარა ილოცოთ რა, თორემ ყველას თავები დაგეკრებათ.



— ჩვენ მაჰმადიანები ვართ, თათრის სჯული გვიჭირავს, ამას სუფთად ვასრულებთ და სხვაც რომ ვილოცოთ, ამასთან ვის რა საქმე აქვს? მიუგეს ქართველთა.

— ეგ არ შეიძლება, ბრძანება ასე არის! — სთქვეს იქ მყოფ ხოჯა-მოღებმა.

ასევე მიუგეს ჯარის კაცთა და მალე განაცხადეს ხოჯებმა შემდეგი:

— აბა, ვინც ნამდვილი მუსლიმანები ხართ, გამოდით და პეტრულის ეკლესია დააქციეთ.

— ჩვენ თუმცა ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, მაგრამ პეტრულის ეკლესიას ვერ დავაქცევთ, ეს არ შეიძლება, იგი ჩვენს ძველებს გაუკეთებიათ ჩვენთვის და ჩვენ რას ვემართლებით, რომ იგი დავაქციოთ?

— არ შეიძლება, უნდა დააქციოთ, გაისმა ხმა მოლა-ხოჯებისა და ჯარისაც.

საქმე ძალაზე მივიდა, ხალხს ორგულობას სწამებდნენ: ალბად ნამდვილი მაჰმადიანები არა ხართ, რომ ამ ეკლესიის დაქცევა არ გინდათო. სულ ამ ეკლესიის ბრალია, რომ დევესქელის სოფლების ხალხი ჩუმიად ქრისტიანობსო. ამის დაქცევა აუცილებლად უნდა მოხდესო. მოხუცებულ ქალებსა და კაცებს ძლიერ ეწყინათ თურმე, კინალამ ტირილი არ დაიწყეს, მაგრამ რას გააწყობდნენ, საქმე ძალაზე მივიდა.

მაშინ ქართველ ახალ გამაჰმადიანებულებში რამდენიმე კაცი გამოსულა და ამათ უთქვამთ:

— ჩვენ დავაქცევთ, ჩვენი ფიქრი ნურაფრის გაქვსთ, ჩვენ ნამდვილი თათრები ვართ.

— კეთილი, სთქვეს ხოჯა-მოღებმა.

მალე მოხიდეს ბარი, ნიჩაბი, წერაქვი და სხვა იარაღები და შეუდგნენ ეკლესიის დაქცევას. ერთი

ხოჯა წინამძღვრობდა ამას. ერთმა გათათრებულმა წერა-  
ქვი აიღო, ავიდა ეკკლესიის თავზე და დაქცევა უნდა  
დაეწყო. ამან პირველად წერაქვი ჯვარს დაჰკრა, ჯვა-  
რი მოვარდა. მაგრამ თვით დამკვრელიც ვერ დარჩა  
იქა, ისიც უცბად გადმოვარდა ძირს, კინალამ მოკვდა.  
ხალხმა იყვირა:

— ღმერთი არ ყაბულობს მის დაქცევასაო.

— ჩვენ დავაქცევთო, იყვირეს მოლა ხოჯებმა და  
ახლა სხვა თათარი აგზავენს მალლა გუმბეთის დასაქცე-  
ვად, მაგრამ ვერც ამან მოახერხა, ამასაც იგივე დღე  
დაადგა, რაც პირველს. ერთიცა და მეორეც ავადმყოფი  
წაიყვანეს შინა და ლოგინში ჩააწვინეს. ერთს  
ამათგანს იმ დაქცევის დროს რაღაც ნივთი ეშოვნა  
საეკკლესიო და წამლები ავად გახდა თურმე და ძლიერ-  
რაც შეწუხდა. ერთ ღამეს ასეთი სიზმარი ნახა ამან:

— მე თქვენი ძველების ხელით ვარ. გაკეთებული  
და გამშვენებული, ჩემში თქვენი ძველები ლოცუ-  
ლობდნენ და დღეს კი თქვენ მე მქუცავთ, და მაქ-  
ცევთ. რას მემართლებით? რა დამიშავებია თქვენთვის?  
ჩემი ნივთი ჩემს გვერდით მაინც იყოს! ჩემი სიტყვა  
შეისმინე, თორემ ბოლოს ერთობ შეგანანებ. კარგად  
არ გახდები.

ავადმყოფმა სიზმარს ყურადღება მიაქცია, საჩქა-  
როდ გაიქცა, ის ნივთი მიიტანა და ეკკლესიის გვერ-  
დით დასტოვა. ამის შემდეგ ის ავადმყოფი ძალიან  
მალე მორჩა. ხალხი გაოცდა ამაზე. ერთ კაცს კიდევ  
იქიდან რაღაც ჭინძისთავი წაეღო, მეორე-მესამე დღეს  
ავად გამხდარიყო და შემდეგ გაგიჟდა კიდევ. მერე  
სიზმარი ენახა და პეტრულის ეკკლესიის ჩივილი შე-  
ეტყუა, რომ ნუ მაქცევთ მაგრე და ნუ მქუცავთო. მან



ის ქინძისთავი საჩქაროდ მიიტანა იქ და დასდო, მეოხებითაც იგი მალე მორჩა. ამაზე ხალხი ერთობ გაჰკვირდა.

უკანასკნელ ყველანი დარწმუნდნენ მასზე, რომ ამ ეკლესიას ძალა ჰქონიაო, და ამიტომ მას ნუ დავაქცევთო, ხალხიც ამას ითხოვდა. მოლა ხოჯებიც დარწმუნდნენ ამაზე და მის დაქცევას თავი დაანებეს. მერე აქ მომსვლელ მაჰმადიანებსაც არ უშლიდნენ ლოცვას, ხალხიც დიდხანს იარებოდა სალოცავად, მაგრამ უკანასკნელ ესეც დაიკიწყეს, რადგანაც მაჰმადიანობა წმინდათ მტკიცდებოდა აქედ.

ჩვენ გავმაჰმადიანდით, დღეს ნამდვილი მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ამ ეკლესიის ამბებს კი არ ვივიწყებთ და მას ერთ კენჭსაც არ მოვაცლით. ვინც რამეს წაიღებს მისგან, ჩვენში ნათქვამია, რომ იგი კაი დღეში არ ჩავარდებოა. სწორედ ამის მიზეზი გახლდათ, რომ 1890 წლებს ჩვენმა თათრებმა ამ ეკლესიას კარებიც გაუკეთეს და შეუბესო. ამ ეკლესიაში აქაურებს ჩუმი ლოცვა 1830 წლებამდის ჰქონიათ. დევესქელაში სრულიად ქრისტიანობის ნიშნების მოსპობის დრო სწორედ ამ წლებს მიეწერება.

## VI

### შავშეთისა და აჭარას გამაჰმადიანება.

(საამბობი აბდულ ეფენდი მაქელაძისგან).

შავშეთი მიტომ გამაჰმადიანებულა, რადგანაც ამაზე წინად გოლა გამაჰმადიანებულა, ერუშეთი, თორთომი და თავსკერი (თაოსკარი); ამათ შემდეგ ჩვენ

გავმაჰმადიანებულვართ. ახალციხე ამ დროს უკვე გამაჰმადიანებული ყოფილა. ფოცხოვს და ქვაბლიანსაც ცოტათი წინად დაუწყეს გამაჰმადიანება; იქ ხალხი არ თათრდებოდა, ბევრნი აქეთ-იქით გაიქცნენ, სოფლებში ბევრი სახლები ცარიელი დაშთა. იქ ოსმალმა თათრები მირეკა და დააყენა, ბოლოს იქაურნიც გამაჰმადიანდნენ, მოსულ ხალხში აირივნენ და თავიანთი ენა დაჰკარგეს. ჩვენ ცოტა ხნით მათ შემდეგ გავმაჰმადიანდით.

ბერიკალებისაგან გამიგონია, რომ შავშელნი მეტად ლაჩარი ხალხიაო, რასაც ეტყვი, იმას დაგიჯერებენო. ოსმალის მათ ძლიერ ეშინოდათ. იგინი მალე გამაჰმადიანდნენ და ცდილობდნენ, რომ ყველაფრით ოსმალებს დაჰგვანებოდნენო. ამიტომ ოსმალნი მათ არ ვნებდნენ, ქართულიც მიტომ დაივიწყეს თურმე.

აქარელნი კი ასეთი არ იყვნენ. ესენი ოსმალებს ასი წელიწადი ებრძოდნენ ქვეყნის დაქერის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხუბი, ხოცვა, ჟლეტა-წყვეტა და სისხლის ღვრა. ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დაღვევდნენ ომის დროს და ნამეტურ მაქახლელნი. ამათ მოაბეზრეს ოსმალნი; იგინი ვერას აწყობდნენ. ამ საუკუნეშიაც აქარელებმა ოსმალნი კინაღამ გარეკეს აქედან, ომი ასტეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარის კაციც მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვით და შრომით გაათათრა აქარელნი, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მიიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოსპო. მცირედაც ვერაფერი ავნო.

ოსმალებმა აქარელებს ბევრნაირად დაუწყეს პატივისცემა, სულთანს თავის მცველებად ყოველთვის აქარელები ჰყვანდა და მათში ზოგნი ფაშობამდისაც მიაღწევდნენ. აქარელს რომ ესურვა ოსმალთა სამსახურში შესვლა და რამე ადგილის შოვნა, იგი მალე მიაღწევდა თავის წადილს, რადგანაც ოსმალთ აქარელებისთანა ყოჩაღი ქვეშევრდომი იშვიათად ჰყვანდა, და ამიტომ აქარელებს სიამოვნებით აქლევდნენ უპირატესობას. ამ უპირატესობის მინიჭებით აქარელი აღწევდა თავისს მიზანს, იგი ხდებოდა სადმე მთელი მაზრის უფროსად, და იაიცი შუაგულს და განაპირს ოსმალთს ხალხსა და ქალაქებში. ყველა ეს პატივსაცემი მხარეები ოსმალთაგან აქარელთათვის იმ მიზნით იყო შემოღებული, რომ ამ ოსტატობით და აქარელების დაუვავეებით აქარაში მაჰმადიანობა მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიყო, აქარელი ოსმალთს ერთგული გამზდარიყო და, როცა საჭირო იქნებოდა, მაშინ იგი დაუზოგავად გამოსულიყო ბრძოლის ველზე მტრის წინ საომრად. ოსმალთა მიაღწიეს თავიანთ წადილს, აქარელებს ქართული ყველაფერი ამოაცალეს, სული, გული, გრძნობა და ხასიათიც კი, მხოლოდ ვერ ამოაცალეს ქართული ენა და გონი. ამის ამოცლას ისინი მალე ვერც მოახერხებდნენ, თუმცა 1850 წლების შემდეგ აქაც იწყეს მედგრად მოქმედება და მოღვაწეობა ქართული ენის წინააღმდეგ.

ო დ ე ლ ი ა

(ნამბობი ტუპამ ბუგ შავრაშიძისაგან)

ოდელა კაცის ხსენებაა. ვისაც ეს სახელი რქმევია, ის კაცი შეტად კარგი კაცა უთვალა. ქვეყნის ერთგულა, სწულა ხალხის დამხმარე. ეს კაცი როცა მოკვდა, ხალხმა დიდათ იკლავა, მწუხარებით აღივსნენ. დამარხვის დროს ეუკლა მას ტირილა და ამბობდა: **ოდელა, ოდელა,** რათ მოკვდი, რად დაკვაობლეო, და იმ დღადგან ერში დარჩენილა წვეულებათ ოდელას ხსენება.

VII

არდასუჯის, ლავანას, შავშეთის და იმერხევის  
გამაჰმადიანება.

(ნამბობი შავშეთის სოფლის კარეაღუფში, შავშეთის, ჯვარების და ივეთს მცხოვრებ მოხუცებულეებთაგან.)

ქართველები გათათრების დროს მაგრად იღვინენ. ამათ ოსმალთ მორიდება არ ჰქონდათ. ოსმალოს შიშს ესენი არ ემორილებოდნენ. ერთი სოფლის ხალხი მეტად უარს იღვა გამაჰმადიანებაზე. დიდროვან თათრის კაცებს ასე უთხრეს:

— გინდ ე ყელები დაგჰქერით, გინდ კოროხში ჩაგვყარეთ და გამაჰმადიანება კი არ გვინდა. ვერ გავმაჰმადიანდებით!

— ჩვენ გაგამაჰმადიანებთ, მაგის ფიქრი ნუ გაქვსთ, ბევრს თქვენისთანებს უთქვამთ, რომ არ გავთათრდებითო, მაგრამ ბოლოს გათათრებულან. მიუგეს ოსმალს დიდმა კაცებმა.



—ჩვენგან ეგ არ იქნება, ნუ ელით მაგას! ჩვენ ჩვენის ძველებისაგან ფიცი გვაქვს მიღებული, რომ ჩვენ იმათ სჯულს არას დროს არ ვუღალატებთ. მიუგვს ქართველთა.


—მაშ ეგ არის თქვენი პასუხი, არ მაჰმადიანდებით რაღა? ბოლოს ინანებთ. ჩვენ ძალით გაგამაჰმადიანებთ და თქვენი უარი უბრალოდ დაშთება.

—ვნახავთ. მაგრამ გეტყვით იმას, რომ ასე იქმნება თუ ისე, ჩვენ მოლა-ზოჯა-მე<sup>ე</sup>ითებს ვერ დავემორჩილებით. პირველ გამაჰმადიანების დროს ქართველნი საერთოდ მეჩითხ უწოდებდნენ სენის სალოცავთ, რასაც დღეს ჯამე ეწოდება. ოსმალნი ასე უწოდებენ „ჯამეს“.

ოსმალნი შეუდგნენ გათათრების საქმეს და მალე ამ ცნობილ სოფლის ხალხსაც დაუწყეს გამაჰმადიანება. ესენი დიდად გაგულისდნენ, გაჯავრდნენ. ჯავრთან ძალი არ შესწევდათ, თორემ ოსმალებს კბილებით დაჰგლეჯდნენ. ამათაც მალე წაუხდათ საქმე. რომელი სოფელიც ამათ ამაგრებდა და დიდს მეგობრობას უწევდა, იმ სოფლის ქართველთა იწყეს გამაჰმადიანება. რაკდენიმე ხნის განმავლობაში იგინი მთლად გამაჰმადიანდნენ და იწყეს მაჰმადიანურად ლოცვა. ბევრნი კი გამაჰმადიანების შემდეგაც ქრისტიანობდნენ ჩუმიად.

ზ. ჯ.

(შემდეგი იქნება).



## სოფელი წეკა,

წიგნები, მათი ვინაობა

თავ-გადასაჭადა.

(გაგრძელება \*).

„ელიობას“ და „კოხინჯრობას“ საერთო პურის ქამა იცოდენ საყდრის გალავანში. ღვინო ხატის მამულის იხარჯებოდა, მაშინ დასძახებდენ: „ოკრიალე, ჰო! მარჯვე, მარჯვე, ბიჭებო!“ კაცი კაცზე შედგებოდა, ჩაებმოდენ ორ სართულიან ფერხულად და უვლიდენ ერთი ზედა-გორით საყდარს. ქალებიც ერთ წყებად ჩაებმოდნენ ფერხულში და ისინიც უვლიდენ და იძახოდენ „ოკრიალეს“.

50 წლის კაცები ბურთაობდენ, „ქალაქობაში“ სხდებოდენ, კიდაობდენ და რას არ ჩადიოდენ!? ახლა კი პატარა ბავშვსაც საფიქრებელი გაუწდა რაღაც, და იმ კვირტშივე ჩიავდება, წუხდება. დიად, სულ სწავგვარ ცხოვრებაში შევიდა ხალხი. ახალი დრო დადგა და აღს კვამლი თან მოჰყვა.

ეს საყდარი შიგნი მორთულობით და შენობით სოფლის კვალობაზე ძალიან კარგია და მდიდარიც. საკურთხეველი თამარ დედოფლის დროის არისო, და მოწითულია შიგნი ფერად-ფერადი სურათებით. აღმო-

\*) იხ. „ქრესული“, № 11.



საფლეთისკენ ცაში ხატია დიდი თავი და მისი შესაფერი  
აგებულება. მისი თვალები ყველგან ხედავენ მლოც-  
ველს, საიდანაც-კი თვით ის სურათი მოსჩანს. მარ-  
თალია ჩამოფშენილია და წაშლილი მხატვრობა, მაგ-  
რამ კიდევ ამოიცნობს კაცი, აზრით მიხვდება, რომ  
ეს მაცხოვარი უნდა იყოსო. სხვა სურათები მის გარე-  
შემო უფრო პატარები არიან მასთან შედარებით. ეს  
ნაწილი საყდრისა აშენებულია პონტიკოს ქვით. გად-  
მოცემა ამბობს, რომ საყდრის ცაში ეწერაო: „ოსი  
ყმა ჯაჭვაძეო“. როდესაც ამ გძელ საყდრისთვის ცალი  
გვერდი უნდა ჩამოერთმიათ, რომ მიემატებინათ შენობა,  
მაშინდელ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს მაქავარიან-  
ები წინააღმდეგობა მოუდგინეს. წარწერილი წაიშლება და ყმები  
დაგვეკარგებაო... მაგრამ მაინც ვერას გახდნენ.

აწინდელ საკურთხეველში არის ერთი ხატი  
„სენის წმინდის გიორგისა“; ფიცარზე კარგად არც  
კი აჩნია სახე. ეტყობა, რომ ძალიან ძველი უნდა  
იყოს. როდესაც უნდოდათ ხატზე გადაცემა ან ტყის  
ქურდის, ან საზღვარზე მოცილესი და სხვ., წაასვენებდა  
მღვდელი იმ ხატს და ბუკების ხმაურობით გაჰყვე-  
ბოდნენ. დიდი და პატარა მოცვივოდა. თუ დამნაშავე  
იყო ვინმე, უნდა ხატის წინ აღეარა. დღეს ეს  
ჩვეულება, როგორც მრავალი სხვა, გადავიდა. ბუკი  
საუკუნოდ დაყუმდა, ის ბუკი, რომლის ხმაზედაც  
ხალხი უნდა გამოცვივნილიყო სულ ძველ დროში  
სამშობლოს დასაცავად და მერეც მთელ თემში ოჯახზე  
კაცი უნდა გამოსულიყო თუ ხიდის საკეთებლად,  
თუ გზების გასაჭრელ-გასაწმენდად და სხვ. ვინც არ  
გამოვიდოდა, მას დაარბევდნენ, თუ საციქველს არ  
გამოიტანდა.

დღეს გზების საქმე სოფელ წვეაში მეტად ცუდ მდგომარეობაშია, ორი მთავარი გზა ორივე დაქცეულია. უღვევის შარა, წვევის ერთ კუთხეს ხედება და ისიც ზამთრობით ლაფით არის საესე. მეორე არც ზამთარს ვარგა და არც ზაფხულს, საშინლად დარღვეულია, ნიაღვრებისაგან ღელეებად გათხრილი და დაქცეული. ააჩა ურმით გავლაც მეტად ძნელია. ხიდი ხომ აღარ არის მდ. ძირულაზე და უგზოობით მთელი წვეა დამრჩვალა. ისედაც საწყალი და გაკირვებული ხალხი ზურგით ზიდავს ნაყიდ სიმინდს ზესტაფონიდგან. ურემს ვერ ატრიალებს.

შევიდეთ ელა წვეელ გლეხის ოჯახში. ჯერ უეჭველად გლეხს შემორაგული აქვს ეზო, ხშირად ეზოს იქვე მოსდევს გარემოც (სახნავ-სათესი ადვილი). ეზოშია მარანი საწნახელით, თალარით და სხვა. აქვეა კურის თავი ორშიმოთი, ძელ-ბრით, ორხელით და სხვ., საბჭელი, ზვინი, საღორე, საქათმო და სხვ.

სახლი ხშირად ოდურია, უფრო ნაკლებად გძელური, ოთახ-მოღმული და იშვიათად უოთახო. სახურავი კრამიტისა აქვს, იშვიათად ყავარისა და ჩალის. ისლის სახურავი კი არაა არის. მარანს შიგა და შიგ წალამით ხურავენ. უმეტეს ნაწილად სახლი ორ-სართულიანია: ქვეშ პალატი აქვს ქვითკირის, ანუ ალიზით აშენებული, ყორე, მალლა ხის შენობა წინ ეზოსკენ დერეფნით და უკან გადამდგარი აივნით. ამ დერეფანშია სახლზე მოწყობილი ოთახი. ოთახი გამერულია, ძირს დატყეპნილი მიწაა და უეჭველად შიდ ბუხარია. აქ აწყვია ბარგი (ქვეშ-საგები, ზესაზურავი: მუთაქა, ბალიში, ლეიბი, საბანი და სხვანი), სკივრი, ტაშტ-თუნგები—ეს არის სასტუმრო. გძელური სახლი საზოგადოთ დი-

დია, გაუმერჩავი და შუა ცეცხლიანი, კერიაიანი; ზესხვენზე ჰკიდია რკინის საქვაბე. მაღლა, ზესხვენში, კვახებს ინახავენ და საფაფურში სახლის კვამლის ასასვლელია დატოვებული. ერთი მხრით მთელი სახლის კედელზე გაკრულია ლოგინი და მეორე გვერდის კუნჭულში თაროა თავის მოწყობილობით: დერგებით (თუ მწნილითაა სავსე, თუ ყველია შენახული შიგ და სხვ.), ქოთნებით, კეცებით, გობ-საცრით, ორომით და ათასი სხვა რამით. თაროსთან თახჩაში საქმელია, ჭიქები, ჭინჭილები, კულა, დანა და სხვ. შუა ცეცხლის ერთ გვერდზე კერაა წაზოდვილი ქვის. კერა წინ სოხანეში დაგებულ ჯვალოზე, თუ ქილობზე და თუ ფარდაზე სხედან ხნიერები, კერის ძირში კი სხედან ბავშვები. აქ სართავზე, ან წინდის ქსოვის დროს დედაბერი, ან ბერი-კაცი ქალამნის კერვის დროს, ზამთრის დიდ ღამეებში მოუყვება ხოლმე ბავშვებს ზღაპარს და ბავშვებიც ჩამწყვირებულნი, სულ-განაბულნი უგდებენ ყურს. სახლს გადასაკიდებლებში და კედლებში (სადაც კედელი და სახურავი შეიყრის თავს) ჩალის კონები აქვს ჩატენილი ზამთრის ქარ-ბუქის დასაკავებლად. ქარიც ჩადის, ფოთლებს აშრიალებს, აზუზუნებს, აქა-იქ შემოცრის ხოლმე ვერცხლივით მტვერს თოვლისას და ცივად დაისტვენს ხოლმე. ბავშვები უგდებენ ყურს და კანკალებენ— ავი სულები ჰგონიათ.

ძირს, პალატში აბიან პირუტყვები: ძროხა და ხარი. ცხენი აქ ცოტაა. აგრეთვე ცოტაა ცხვარიც, ბევრია ვირი. აქ პირუტყვის შენახვა ძვირად ჯდება. საბალახო იშვიათია და სულ შინ უნდა ჰყავდეს პატრონს დაბმული. ცივ-ყინვიან ზამთარში ამ პალატში უფრო ჩადიან და პირუტყვებთან ერთად თბილად ცხოვრებენ,

რასაკვირველია, სიმყრალეში. აივანში ზოგან დგას საფეიქრო, საქსოვი, „დღიმ-სავარცხელი“. აქ ქალები ქსოვენ შალს, სამოსელს და სხვ.

აქაური ქალი ძალიან ვერ დაემდურება ბედს. იგი ისეთ მდგომარეობაში არა ჰყავს ქმარს, როგორც მაგ. რაქაში, სადაც ქალები ფქვავენ, თესვენ, მკიან და სხვ. აქაური ქალის მძიმე საქმეა მხარზე ჩაფით წყლის ზიდვა წყაროდან, იჯრის მზადება შუა-ცეცხლზე, ყანაში სადილის მიტანა კალათით და ხენის დროს ხარების წინ გაძლოლა. მაგრამ იგი ამას მიჩვეულია. კანი შემოაქმევა, ერთ დღეს რომ უსაქმოდ დარჩეს. ამიტომაც აქაური ქალები მამაცები, ჯან-მრთელები არიან. ქმარსა და შვილს თავზე დასტრიალებენ. ცოლ-ქმარი ყოველსავე ოჯახის საქმეს ერთად სჯის და სწყვეტს. ერთი რამეა აქ სამწუხარო: შეამჩნევს კაცი, რომ ოჯახის მამა ყოველივე კარგს იჯრაზე თავისკენ იღებს. კარგს ღვინოს ათს ჭიქას რომ თვითონ დაღვეს, ერთს ან ორს არგებს ცოლს და აგრეთვე შვილებს. სისუფთავე ძალიან უყვართ ქალებს, მაგრამ მთელ იმერეთში მხოლოდ იქ არის აბანო, სადაც სასარგებლო მადნეული წყლები არის. რეცხა, კერვა, ეზოს სუფთაობა—ქალის უპირატესი საქმეა. სტუმრის მიგებება, თავაზიანი და ზრდილობიანი ლაპარაკი—ყოველივე მოსაწონარია. წერა-კითხვა საკმაოდ არის მათში გავრცელებული. ბევრი პატარა ქალწული სწავლობს ეხლაც სასწავლებელში. ახალ-გაზრდა ქალიშვილები უფრო ახალ მოდებს მისდევენ. ქუდებს ისკუპებენ თავზე და თუ არ „წვირუსუღეს“, ისე კარგი ლაპარაკი არ გამოუვათ, როგორც ჰგონიათ. განათლებაში მიიღებენო, ჰფიქრობენ.

მაგრამ ეს ხომ საზოგადო მოვლენაა ჩვენი დროისათვის მთელ საქართველოში.

ებლა ვიკითხოთ: ვინ არიან წვევლები? ვინ იყო „ოსი ყმა ჯაქვაძე“? ვინ არიან დიდი ოთიას-შვილები? გადმოცემაა, რომ თამარ დედოფალს სვანეთიდან გადმოუვლია შქმერის მთაზე, გამოუვლია „ულევი“. ამ ვაკე, დაუსრულებელ სერ-ტრიამელისათვის გაულეველი უწოდებია და სრული „ულევი“ დაქმნევა. განაპირეს ვუწიეთო და დაურქმევიათ ჩვენი სოფლისთვის „წევა“. ჩვეულებისამებრ აუშენებია საყდარი პონტიკოს ქვისა. ჩაუმწკვირებია ქვის სატეხამდე ამ ქვის საყდრის საფუძველ-ბალავერიდან ჯარის-კაცები (სოფ. მირონ-წმინდამდე) და მათ ერთი მეორისათვის უწლებიათ ქვა. სამ დღეში აუშენებიათ მთელი საყდარი. მაშინ დაუტოვებია თვის მხლებელთაგან აქ სამი ყმა, ეკლესიაზე შეწირული: ერთი ოსი ჯაქვაძე, ერთი თათარი ებანოძე და ერთი ცლევი ზიბზიბაძე. ამ გადმოცემის მთქმელი 135 წლის მოხუცია, რომელსაც ჩვენი დროის მამლის ყვილიც არ ესმის და სუნთქავს ისევ ძველი ქართული სულიერი ცხოვრებით, როსტომა გაწეილაძე, და ამ გადმოცემის სინამდვილეს ასაბუთებს მით, რომ იმ ოსის აწინდელი ჩამომავლობა ნამდვილი ოსის ხასიათისაა: ჩქარი, მკვირცხლი, მაზუბარა, მოუთბენელი, მეტი ფიცხი და კილოც ენის ოსისას წაუგავს როგორც აგებულობაო. ზიბზიბაძეებს ხომ პირ-წმინდა ლეკების გამომთქმელობა აქვთო და ხასიათიც ველურისა, სახე-ჯმუხი და აგებულებაც თავისებურიო. ებანოძეებს, ვერ უყურებ, როგორ ტკბილი და თავაზიანი ქცევა-ყოფა, ნაზი მიხრამოხრა და მოქნილი ენა და ლაპარაკი აქვთო და სხვ. ეს თვისებებები ამ სამი გვარისა მეც მექაშნიკა, მაგრამ

7 საუკუნის შემდეგ გამოჰყვებოდა მართლაც თუ არა, —ეკ მკითხველისათვის და მისი მოსაზრება-ცოდნის-თვის მიმინდვია. — შეუწირავს ეს სამი ყმა ამ ეკკლესიისთვის და შიგ ეკკლესიის ცაში ყოფილა მიწერილი „ოსი ყმა ჯაკვაძე“-ო. ს. წვეაში დასახლებულა ორი, ლეკი ს. სანახშირეში, ებანოძე-კი ს. ლაშეში დასახლებულა (ს. წვეას და ს. ლაშეს შუა პატარა ს. აქარაა). დღესაც ეს სამი გვარი ამ ეკკლესიის შემავალი არის, სასაფლაოც საერთო აქვსთ აქ უხსოვარის დროიდან. ხოლო ოსის ჩამომავლობაა მრევლი. აი, ეს ოსის ჩამომავლობა ერთ დროს ერთ ობოლ ბიჭზე დამდგარა. მიზეზი ომიანობაა, რამე სახადობაა, შიმშილობაა — ამისას არას ამბობს გარდმოცემა. ამ კინალამ გადაშენებულ გვარეულობის ერთადერთი ნორჰის ქვრივი დედა ეთხოვა ლაშელ მანჯაკიძეს და ობოლიც თან გაჰყოლოდა. ამ ბიჭს ბედად შეხვდებოდა დიაკვნობა ამ სოფლის და სხვ. მებატონის საკარის ეკკლესიისა. ეს მებატონე თავადი ყოფილა ლაბუა. ამ ლაბუას ესიზმრა თურმე წვეის ეკკლესიის მღვდელი. ეს მღვდელი თხოვდა: წვეის წმინდა გიორგი, ჩემი ყმა გყავს ობოლი ბიჭი და დამანებეო. მიუხშირა თურმე სიზმარმა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ბოლოს გაუტყდა მოძღვარს. დიაკონისთვის არასფერი იყო დაფარული, მაგრამ, ვაი თუ რამე ხიფათს გადავეკიდოვო, იყუზა. რაღა თქმა უნდა დედას და მეზობლებსაც მიაუბნებდნენ; მაშინ ლაბუაც მძიმე ფიციით დაჰპირდა მანჯაკიძე მღვდელს, თავის მოძღვარს, „გააზატებას“, თუ იმ სადღო ბიჭს ამოუჩენდა, და იმ ბიჭს დაჰპირდა, თუ გამოჩნდებოდა, წვეაში დასახლებას ეკკლესიის ყმათ, თითო წყვილს ყოველივე ორფეხის და

ოთხფეხის მიცემას, სახლ-კარის გაწყობას და სხვ., აგრეთვე თავის ათ გადიაში, რომელსაც ამოიჩვენდა, ცოლად მის მითხოვებას. მაშინ იჩინა თავი ამ დიაკონმა. დაპირებისამებრ უნდა ამოერ'ვეინებია ათ გადიაში ერთი. ერთი გადია ჰყავდა მეტად კარგი და არ ელევნებოდა. ამისათვის ეთქვა მას, შენ ნუ მოირთვებიო. მოიხმო დიაკონი დარბაზში, ანახვა ჩამწყრივებული გადიები. დიაკონმა მოურთველი აირჩია. ეწყინა ბატონს, მაგრამ ფიცს ვერ უღალატებდა. აუსრულა ყოველივე და დაასახლა ს. წვევაში ეხლანდელ ბაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იმ ადგილას, რომელსაც ეწოდა უწოდებენ „სადიაკნოს“. ამ დიაკონს ისეთი გაბუძვული ბალანი ჰქონდა თურმე, რომ „ოთხი“ კაცი შეიჩრდილებდაო, გაჩეჩილი გეგონებოდაო და უძახოდენ თმა-გაჩეჩილა დიაკონს. მის შვილს და ნაშიერს ჯაჭვაძეების მაგიერად „გაჩეჩილაძეები“ დაერქვათ. მღვდელსაც აუსრულა შეპირება ღაბუამ. მას აქეთსულ „აზატი“ (თავისუფალი) ყოფილან მანჯავიძეები, ვინც კი ყოფილა იმ მღვდლის შთამომავლობა.

აი, ამ თმა-გაჩეჩილის ჩამომავლობა დღეს მთელ წვევაში მოდებულა. სულ მცხოვრები წვევაში 190 კვამლი (130 კვამლი სახელმწიფო და საფოსტო გადამხდელია და ბევრი ვაქარი მეორე გილდისა, რომელიც მას არ იხდის) გადამხდელია დანარჩენი ვაქრები არიან. ორას კვამლამდე იქნება მარტო იმ ოსი ყმის ჯილაგი წვევაში, რომელიც დარჩენილია, და ერთი ამდენი ჯერ დღეს რომ ვიცით, გადასახლებულა თუ კახეთში და თუ ქვემოთში, რომ ძველებური გადასახლებულები არ ვიანგარიშოთ, რომლის ცნობაც აღარა აქვთ თანა-მოგვარებს. კახეთში ბევრია გაჩეჩილაძე

ჯაქვადის გვართ. ესენი ერთ-თავად ბატონ-ყმობის უსამართლობას გაქცევინან. სივიწროვის გამო უფრო ქვემო ქვეყნისკენ ესახლებიან ხოლმე. დანარ'ენი 60 კვამლი გელაშვილია, ჯამკვეტაძე, და თითო-ოროლა სხვა გვარი. ორი კვამლი ყოფილა მთელ სოფელში ივანე აბაშიძის ყმა და სახელმწიფოთაა შერიცხული; სხვა სულ საბატონო ყმები იყვნენ ამ ბოლო ხანებში და ორი კვამლიდაა თავ-დაუხსნელი.

წვეის პირდაპირ სერზე სამხრეთისკენ გაფენილია სოფელი იღემი, სადაც ცხოვრობენ აზნაურნი მაქავარიანები. ეს გვარი, აზნაურებში ქებული, იყო გამოჩენილი ჩვენს სამშობლო ისტორიაშიაც. ეს მაქავარიანები იყვნენ წვევლების მებატონეები. აი, მათ როგორ ჩაეგდოთ ხელში წვევა:

დიდი სოლომონ მეფის დროს ქაიხოსრო მაქავარიანი ყოფილა წვეის და მის ახლო-მახლო სოფლების მოურავი. სოლომონ დიდს შეუწირავს, ვილაც გამოწირული გაჩეჩილაძეები ეკლესიისათვის და ამის საბუთიც ჰქონიათ გაჩეჩილაძეებს. როდესაც სოლომონ მეფე გარდაიცვალაო, მიაბო მ. გაჩეჩილაძემ გაგონილი, ქაიხოსრო მაქავარიანი 100 ცხენოსანი კაცით, ვისაც საბუთებს მიუკვალაიანებდა, ჩაუდგებოდა სახლში და თხოვდაო. ეს საბუთები ჩუმ-ჩუმად აქლიეს გლეხებმა ერთმანერთს და ჰფარეს, სანამ შეეძლოთ. ამ ხანებში უმეფოობა იყო იმერეთშიო. სად ვის უნდა მოედებნა საფარი და მშველელიო!? ბოლოს, წვევლებმა ეს თარეში რომ ვეღარ აიტანეს, წაიღეს საბუთები, ჩაუდვეს წვეის უძრავის წმინდა გიორგის უბეშიდაო (აქ სამია ძველი წმინდა გიორგის ხატი:—წვეისა, სენისა და უძ-



რავისა. ძველის-ძველი ხუცური ასოებით წარწეულ  
აქვს, მაგრამ ძნელი ამოსაკითხავია.) ეს რომ ქაიხოსრომ  
გაიგო, შევიდა საყდარში, გამოიღო ხატის უბისაგან  
საბუთები და სიხარულით სამჯერ გადაახტა ამოღებულ  
ხმაღს და იძახოდა: ახლა კი მეშველა, წევა ვიშოვნეო!  
ამ ხანებშივე ყოფილა ერთი გლეხი გაჩეჩილაძის დიდი  
ოჯახი, რომელსაც „მოლოქაშვილებს“ უძახოდნენ.  
მოლოქაშვილები ძალიან მდიდარი ყოფილან. ეს სახ-  
ლობა გამაგრებულა და არ დამორჩილებია მაქავარიან-  
ნებს, მებატონეებს. ამ ოჯახის ბატონი ყოფილა დავით  
მაქავარიანი. მას ჰყოლია მეუღლე „ჯიჯავაძის“ ქალი.  
ეს ქალი ერთჯერ გამოსულა წევაში და სწვევია მო-  
ლოქაშვილებს. დიდი პატივი უციათ. მაგრამ ქმართან  
რომ გაბრუნებულა, სულ გადატრიალებულა. ქმარი  
გაუქეხებია და მასაც მაშინდელი უკვე გადავარდნილი  
ივანე აბაშიძის მამულების სახაზინო მოურავი ივანე  
მაქავარიანი გაეჩრახებინა: არაფერს დაგიკვირდებიან  
და უფროსი სესია მოლოქაშვილი გამიბაწრე როგორმე  
და მომგვარეო. მასაც დაეჩემებია. მოლოქაშვილები  
(როგორც თითქმის ყველა იმ დროის კაცი) სულ და-  
იარაღებული დაიარებოდნენ. ყანაშიდაც იარაღი თან  
ჰქონდათ ხოლმე. დღესაც იწვევებიან ერთ ხეზე შე-  
ხორცებულ რიქს, ამაზე ეკიდათ ხოლმე იარაღიო.  
ვისაც ყანაში ხე არ მოეპოვებოდა, მას იარაღის დასაკიდე-  
ბელი ორკაბი თან დაჰქონდაო. ივანე წამოსულა, გადაკრი-  
ლა ს. აქარაში; იქ გაუქეხებია ერთი ნიორაძე, სახაზინო  
გლეხი, რომ შენ ვერ დაგიკვირდებიან წევის ეკლემ-  
სიაზე და ნაწირვებს ღლაბუცობაში გაუკარი სესია  
მოლოქაშვილს\*) ხელებიო. ამასობაში მე იქვე მოგე-

\*) იშვიათია ჩვენში ვინმე, რომ ასახელებელი რამე არ ერქვას.  
ზოგს შურთაქან უძახიან, ზოგს კნაქან, ზოგს ფხალს, ზოგს ღვი-  
რძლს, ზოგს კანქს, ლობიოს, უწევს, და სხვა.

შეველები ჩემი ამალით და შევიპყრათო. ეს ნიორაძე ყოფილა ამ სესიას ნათლიის შვილი... მოლოქაშვილებს ძალიან გალობა ცოდნოდათ. რომ ეგალობნათ ეკკლესიაში და საყდრის გალავანში გამოაუღიყვენ, ეს სესია მისულა ხის მაღალ სამრეკლოსთან, რომელიც დღეს აღარ არის, სადაც თოფი როგორც სხვებს, ისე იმასაც მიყუდებული ჰქონებოდა და, როცა ის-ის იყო იღებდა, დაებლაუჭა ნიორაძე და შეუმაგრა ხელები. დააპირა მიშველება ივანე მაჭავარიანმა, მოლოქაშვილის მამამ გადმოიღო თოფი და დაუმიჯნა: გაჩერდი, თუ არა გაგაცივეო. დანძრეულიყო სესია მოლოქაშვილი და ორივე უკან გადავარდნილან მაღლად ამოთხრილ ნავომურებში. ძირს ქვაზე დაუსხლავს თავი ნიორაძეს, ზედ მოლოქაშვილი დასცემია და სასიკვდილოდ დაქრილიყო ნიორაძე. მაჭავარიანი გადავარდნილა, მოლოქაშვილებიც გადახვეწილან ახალ-ციხეში. ამ მომაკვდავ ნიორაძესთან მისულა მამა და უთხრობია: წმინდა გიორგის დაეჭიდე თუ მირონსაო?! (ე. ი. საეკკლესიო ყმას ღალატობდი თუ მამის ნათლულსო) მიუტოვებია და წასულა შინ. მკვდარიც აღარ დაუტირნია.

მოლოქაშვილების ცოლ-შვილი რუსეთში გადაასახლეს. სამი ვაჟ-კაცი, რომელიც ხელში მოიგდეს, ჯარის კაცად შეიწირა. ამათში ერთს თვალები დაქსებოდა და უკან გამოეშვათ. ახალციხეს მარტო სამს გაესწრო. როდესაც გაუგიათ ცოლ-შვილის დაწიოკება და ოჯახის დამხობა, გადმოქრილან და შუა-დღისას გადუწვავსთ „ვაჭევში“ (იღემის დასავლეთშია ერთი ადგილი) დავით მაჭავარიანის სასახლე. თვითონ დავითი, სადაც დღეს შორაპნის სადგურია, მის პირდაპირ სამარეთით, სადაც ყვირილა და ძირულა ერთდება, მის

გაღმით რუსის ჯარი მდგარა, და იქ დამალული დარჩენილა. ორი ძმა ახალციხეში მომკვდარა, მესამე ერუსალიმში წასულა ქრისტეს საფლავის სათაყვანებლად. იქ რომელიღაც ბაგრატიონის გვარის ბატონი-შვილი დაჰპირებია, შეგარიგებ დავით მაქავარიანთანაო, მოუტყუებია საქართველოში და გაუციათ. საბრალოსთვის ციმბირში უკრავსთ თავი. ასე და ამ გვარად დაღუპულა 30 სული მოლოქაშვილებისა.

ამ მოლოქაშვილების დროსვე ყოფილა ერთი გაჩეჩილაძე კიდევ, სახელად ოთია, რომელსაც „დიდის“ სახელი დარჩენია ხალხში. ეს ოთია მართლაც მეტად წარმოსადეგი, თეთრ-ყირმიზი, ახოვანი „ყაძახი“ ყოფილა; უღვაშები უკრებამდე ჰქონია გადაგრეხილი და წვერს არ იყენებდა თურმე. დიდი ვაქრობა ჰქონია გამართული იმ დროებში. რაქაში გადადიოდა, „ქედისის“ მთის ახლო-მახლოდან მოჰქონდა კაცობ თოხები. იქიდან ზურგის შოტანაში მუშას ეძლეოდა მაშინ მხოლოდ ერთი თოხი. თვითონ ამ ოთიას შვილს როსტომას ზურგით 30 თოხი და სახნისი გადმოჰქონდა თურმე. ამ ოთიას მიჰქონდა „ახტალაში“ თუთუნი ცხენებით და იქიდან მოჰქონდა ზოდი-სპილენძი. ცვლიდნენ თურმე წონაზე. მაშინდელი ამ სიშორეს სიარული ძალიან საშიში იყო. ლეკები და ოსები იკლებდნენ მთელ სოფლებს და გზაზე ყაჩაღებად იყვნენ ხოლმე გამარაგებული. ძალიან თავზე ხელ-აღებულნი უნდა ყოფილიყო და მაგარი, შეუბოვარი გულის კაცი, რომ ამ სიშორეს ევლო საქონელზე. ამ გვარი თავწახსნილი ყაჩაღებისაკან მოსვენება არ ჰქონდა არც შინ და არც გარეთ კაცს. კაცებს, ქალებს, ბალებს, ხვადაგს—არასფერს არ ზოგავდნენ რაც-კი მოხვდებოდათ

ხელში, მიირეკავდენ და ჰყილდენ. რალა გარეშეები, როცა შინაურებიც, თითონ მებატონეები ჰყილდენ თავის ყმებს და უფრორე ქალებს.

აი ლექსი, რომელიც ამბობს, თითქო სოფელს გარედ ქალის გაგდება და მერე და-ძმის ცოლ-ქმრად შემთხვევით შეყრა ყოფილიყოს მიზეზი ბატონ-ყმობის გაყრისა:

იყო ერთი და ჭ მძანი, და ბატონმა დააშორა, —  
ბიჭი თავზე დაიყენა, ქალი სოფელს გადაშორა.

ოცი წლისა რომ შეიქნა ქალი საქმრად მოაყარა,

ბიჭი სცოლად მოაყარა,

ბატონმა დააქორწილა, მღვდელმა ჯვარი დაუწერა,

ცალკე ოთახი უშოვნა, აჭა, მოისვენეთ თქვენა.

ბიჭმა ტირილი დაიწყო, წმინდა სხნთელი ანთო:

ღმერთო, გაათენე ჩქარა!

ქალმა სიტყვა მოახსენა, სიტყვებია ამისთანა:

დასაწუნი თუ ვიყავი, როდის დაგატანე ძალა?

დასაწუნარი რადა ხარ, ტურთა ხარ და შექნაიერი,

ღამაში და ეელ-მადლა.

დარწმუნებით უნდა მითხრა სხელი და შენი გვარი,

მოყვარე უნდა მასწავლო რომელ მხარეზედაც არი,

— შე რომ არა შეავს დედ-მამა!

ვიყავით ერთი და-ძმანი და ბატონმა დაგვაშორა.

ბიჭი თავზე დაიყენა, მე სოფელს გადამაშორა.

დამეკარგა ჩემი ძმანი, ისიც არ ვიცი, \*)

რომელ მხარეზედაც არი.

— დაო, ვა ჩვენი ბრალი! ჩვენ ვყოფილვართ და ჭ ძმანი.

იმ წამშივე გამოვიდნენ, გამოიკდეს სხლის კარი.

\*) ამნაირი ჩამატება ქართველი ხალხის ლექსთ-წყობაში ხშირია.

მღვდელ-მთავარსა განუცხადეს: ეს იყო ერთი და-ძმისა,  
და ბატონმა გააშორა.

ბიჭი თავზე დაიუნა, ქალი სოფელს გააშორა,  
ბატონმა დააქარწილა, მღვდელმა ჭვარა დაუწერა.  
ხელმწიფემ დასასრუქრა, რადან ეთიფისართ სწავალი;  
თავზე გადასხსა ჭვარა.

ბატონ-ემობის გაშორება მას უკან მოდევს აქამდე.

უფრო მქლავრად და გულ-სატკენად უამართლობის  
გამოთქმა ძნელია.

ამ გვარმა უმართებულობამ ჯერ კიდევ ბევრით  
ადრე სოლომონ დიდი, იმერეთის მეფეც, შექარეს და  
მან სასტიკად აღკრძალა მებატონეთაგან ყმების გასყი-  
დვის უკუღმართობა. აი, ლექსიცი:

ამოთქვა, ქალია, შვილო, ზირში არ გადავსა;  
სოლომონისთანა მეფე იმერეთში არ დამჯდარა.

გახედება, გაბრაზდება, როგორც უირამი შაშხანა.  
სოლომონ ბრძანა: იესო, რამაც რომ გამაჩინეო,  
ის ჩემი მტერი მომეკლას, მანცცხლე და მარხინეო. \*)

სამი წლის ხმელი მამალი ხეს შევსვი ავაყილეო,  
ქერივი ვახარე, ობოლსა, ბრძანს თვალი ავუხილეო;  
მწყემსი ვახარე მინდორში, ჩეროს ქვეშ მივაძინეო;  
გოგოს და ბიჭის თამაში მინდორში გავაჩინეო.  
მაგ საქმისთვის, ერისთავო, რა საქმე მოგინდინეო.  
მუხურის ცისეს კიკებდენ, ფქვილივით ჩამოვქვილეო,  
შემოხიზნული ტუვეები სულ ეველა ავიტირეო.

**გარიახტა \*)**

რაც გამიღვა თავადები, ან ერს რა ვაწყენიეო.  
ოქროს გვირგვინოსანი ვარ, არც ვარ ხელმწიფე მტირეო.  
ამისა ავი კაცი ვარ: ტყვე არვის ვაყილვინეო!  
სადაც ავი კაცი იყო, გზა-შარას ამოვკირეო;  
მწყემსი გაუთუვი მინდორში, გრილოს ქვეშ მივაძინეო;  
სამი წლის ხმელი მამალი შხვევებში ავაყილეო.... და სხვა.

რალა თქმა უნდა, მათის თავ-წახსნილობის მაგრად  
დაჭერამ გადაჰკიდა მეფეს ერისთავები. ეს დიდი-საქ-  
მის და მაღალი განკარგულების მოსწავება იყო იმ  
ხანებში. ის უდრიდა ბატონ-ყმობის გაყრას, ამიტომაც  
არც ერთ იმერეთის მეფეს იმდენი ქება-დიდება არ  
შეფერქვევია ხალხისაგან. სოლომონს დიდი უწოდეს.

რალა თქმა უნდა, როცა შინაურები სააღებ-მიცე-  
მო ნივთად ხდიდნენ ყმას, ოს-ლეკ-ჩერქეზებიც მიდიო-  
დნენ ხელის დამალულად და სათარეშო სადავლოთაც.  
აი, ერთი მაგალითიც:

სიღარიბემ გადამაგდო, ქართლში გაჰქევევ ქარავანსა;  
ქართლას მინდორში გაუედი, გაურბა ნიაჟ-ქარივითა.  
მაკარიძემ ჩამიუყვანა თავის უბი-შვილივითა,  
წინ ოსება დამისვედრა დაღესილი შუბებითა.  
უკან ოსა გამომიდგა ბეჭებ-სქელი, კანკ-მადალი.  
ხანძახს დაუეც, არ გაუარდა, მაშინ მომწუდა ცივად წელი.  
ხანჯალს რომ ხელი მოვისუი, ღმერთო, მომიმართე ხელი.  
უკან ხელები წამაკრეს დაგრეხილი თასებითა.  
ცივ წყალშიდ რომ გამოუყანეს, ფეხს ვადგევიდი ჩემს ტყავზედა;  
დიდ ააღბუხს შემიუენეს, ტირილით და ქუხილითა;  
ამიუყანეს, მიმიუყანეს მურალი ჩერქეზის კარზედა;  
კვიცის ხორცი მოხარშული ღანგრით მომადგა კარზედა:  
— გაურ, ეს ჭამე, თვარა წამებას მოგცემ ტანზედა.  
— მე მაკას მაინც არა ვჭამ, თავიც მომკვეთოთ ტანზედა.  
რეინის შარვალი მომართვეს დამწვარ-დადაგულ კანზედა,  
ხანჯალთურა დამადგეს გაცოდველითულ თავზედა.

(მერე მაგ ოსების ჩამომავლობა კი იყო.) 32 წელი-  
წადს ჰყოლოდათ ჩერქეზებს. 12-ჯერ გაეყიდნათ. გაე-

მაჰმადიანებით და ქალიც ეთხოვინებიათ, მაგრამ როგორც კი დრო ხელთ ეგდო, გამოპარულიყო სამშობლოში. სამი შვილიც დაეტოვებია, ცოლიც და 32 წლის ნაწვავ-ნადაგი ბინა-მიდამო და სხვ. დადევნებია. ღამე უვლია და დილით მალულ-მალულ თუ ტყეში ვერ ივლიდა, ხის ფულუროებში იმალებოდა ხოლმე. დამბალი ძერა უბოვნია ორი კვირის მშვიერს და შეუქამია. მოსულა წვევაში ეს გოგია გაჩეჩილაძე, რომლისთვისაც გოგია თათარა დაურქმევიათ. იმდენად მძლავრია სამშობლო სოფლის და ხალხის სიყვარული! სამშობლო ურჩევია ცოლისათვის, შვილისთვის, ახალი სჯულისთვის, 32 წელიწადი მიჩვეულ თემისთვის.

ამ ოთიაზე ბევრი სხვა არაკები დადის. მან იცოცხლა ას ოც წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ ღრმა მოხუცება არც კი ემჩნეოდაო. ამ ოთიას დაერქვა დიდი ოთია ღ მის ნაშიერს, რომელიც დღეს 25 კვამლზე მეტი ითვლება, დაერქვა ოთიაშვილები. როსტომა იყო ამის შვილი. ძალუმი, ჯმუხი, ღჯუ, დაუზოგველი, რიხიანი, ჩათსკენილი ყახახი და ძალიან ძუნწი. ამბობენ, რომ ამან და არსენამ შეუტრეს ერთმანეთსაო და რომ მაგრად მოხვდა, შერიგდენ და არყით სავსე ტიქს დააძაბრა არსენაო. რომ გაიგო ოთია გაჩეჩილაძის შვილიაო, გადაეხვია და ჩაჰკოცნაო. ამან, მაშინდელი ლაინის და ხამის სამღებროები იჯარით რომ იცემოდა, მთელ ზემო იმერეთში წაართვა ქუთათელ დიდ ვაჭრებს და ხვირჯინებით დაჰყარა იჯარისთვის ეკატერინეს მანეთიანები. ბატონს ბათმნობით მიუწყო ფული ვერცხლისა და იმ უდროო დროს დაიხსნა თავი. აღებ-მიცემობის მეტოქეებმა, როგორც ამბობენ, სხვა ვერაფერი უხერხეს და მოწამლეს.

ახალი მებატონეები, ფულიანები უმეტეს ნაწილად ნაყმევი გლეხები ხდებიან, რადგანაც აღებ-მიცემობას, მრეწველობას და სხვ. ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას მისდევენ. ეს რა უკუღმა გადატრიალებაა ძველი მებატონეების ჩაღხისა, რომ გუშინდელი მისი ყმა მის დამონებასვე ლამობს?! ამ შემთხვევაში თავად-აღნაურობას მძიმე საფიქრებელი აქვს და მეტი საშველიც არ აქვთ მათ, თუ არ დაუტრიალდნენ მუშაობას და საზოგადო ფერხულში არ ჩაებნენ ე. ი. თუ აღებ-მიცემობას, მრეწველობას, მეურნეობას არ მოჰკიდეს ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათს ქედზე უარესი მძიმე და მკაცრი კალო დატრიალდება, ვიდრე ისინი ატრიალებდნენ ყმების ქედზე.

ჯერ კიდევ საუკუნე არაა და რა დიდი ფერი იცვალა ცხოვრებამ: თეთრი გაშავდა შავი გათეთრდა ე. ი. ორი სულ სხვა-და-სხვა ნაირი ცხოვრება მოთავსდა ამ ხანაში. ამ ას წელიწადში უმწეო ყმებიც იყვნენ ოთიაშვილები და აჯერ-აჯერ ბურჟუებიც ჰდებიან, თუ არ გამხდარან ჯერ. ამ დროს განმავლობაში ერთი კვამლი თითქმის 25—30 კვამლად იქცა. ეს მრავლობის ისეთი  $\frac{1}{6}$ -ია, რომ საქართველოში დღეს ნების რომ აგესროლათ, ძირს ვეღარ დააწევდა, რომ ასე ემრავლა, ენაშიერებია ქართველობას. მშვიდობიანობამ, საცხოვრებელმა საშუალებამ შეუწყო უეჭველად ამას ხელი. ეს ერთი კაცის ნაშიერი მაგალითად მოვიყვანე, თორემ სწვებსაც ეს ჩამომავლობის სიმრავლე ეღირსათ, სადაც ცხოვრების საღსარი კი იყო.

კრიზისი ამ უკანასკნელისა ე. ი. საზრდოსი საცხოვრებელი საშუალების ამ ბოლო ხანს ჩამოვარდა



აქ. ეს ჰქნა—1, გამრავლებამ, 2, ფილოქსერამ, 3, შავი ქვის ურმით ზიდვის მოსპობამ, 4, -ნიადაგის გადაჭმა-გადარეცხამ, 5, მუშა ხელის შემცირებამ და სხვა-და-სხვა, და 6, წვრილმანი მოვასხეების ობობიის ქსელების ხალხზე გაბმა-გამობმამ. აღებ-მიცემობის, მრეწველობის აღორძინებამ ახლავე დატვირთა ერთი ნაწილი წევის მცხოვრებთა და მეორე ნაწილი თითქმის, თუ სულ არა, ხელში შემაცქერალად გაუხადა. ძალიან შესამწევად იყოფა შრომა და კაპიტალი, ფულიანი და მუშა. ვისაც არა სწამს ახალი ცხოვრების დაწყება საქართველოში, ის აქ უნდა მობრძანდეს და ჩაუკვირდეს გამჭირაბის გონების თვალით ამ სოფლებში ახალ-ახალ მოვლენათა.

როცა კიდევ უფრო ძველი საშუალებიანი ცხოვრება იყო, მაშინ რაღა იყო მიზეზი ხალხის გაუმრავლებლობისა, თუ კი ამ ხანებში ასე მრავლობს? \*) მე მოგახსენეთ სულ ცველა უძლიერესი მიზეზები და სხვათა შორის ომიანობა. შინაური და გარეული შფოთი ჟუჟავდა, ჟღერდა ხალხს. ამიტომაც დიდის სიმართლით ეთქმის ქართველს, რომ ერთი გოჯა მისის სამშობლოსა არ არის დარჩენილი, რომ სისხლი არ ჩანთხეულიყოს მის წინა-პართა, რომ მათი ძვალი არ დავარდნილიყოს, გარეშე იმ მიუდგომელ ადგილებისა, სადაც მეუფება მხოლოდ სტიქიონს დარჩენია. არცა აქვს მეტი უფლება თვისის სამშობლოს სიყვარულისა

\*) მკტ:დ სკულისსთ ცნობებს გამოვიყვანდით ამ მრავლობის შესახებ, რომ კაბეგო „დაბუა“ როდის ცხოვრებად. მას აქედ გაჩეიდაძის გვარი არა ნაკლებ 400 კვამლისა დათვლის შინ დაჩენილს და გარედ გასულს. ავტ.

არავითარ ერს ზედ-მეტად, ვიდრე ქართველს, რომელსაც 22 საუკუნეს, თუ არ მეტს, ბინა არ უცვლია და როგორც ერთგული ქირისუფალი თავის წინა-პართ აკლდამებში ცხოვრობს. მისი ღიღინი, რაც უნდა ცდილობდეს მხიარული კილოს მიღებას, მაინც გლოვის ზარის თალხით იბურება. არც შეეფერება სხვა ნაირად ღიღინი. ყოველ წვევს ამ მოხუცი ერისას დიდის სიამაყით ეთქმის: მე ვარ ქირისუფალი პატარა, მაგრამ დიდ-ბუნებოვანი გმირისა; ეგ ბუნება ჩემშია და მე მაგ ბუნებისა ვარ: ამის შემდეგ როგორ საზიზღარი და შემაძრწუნებელი არ უნდა იყოს მაგის უარ-მყოფელი შვილი!?

ჩვენი ერის დიდ-ბუნებოვანობის უტყუარ სარკედ სახალხო პოეზია უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, უპირატესად. იქ არის ქართველი თავის ქირით, ლხინით, აზრით, ოხუნჯობით, სივაშკაცით და სხვ. გამოხატული. მისი ბუნებითი გენიოსობა იქ გამოაქვეყნდა. ახალმა მეცნიერებამ მართალია მას შეუკრა გზა, მოუსპო დღე ამ ზვირ-სიტყვაობას, მაგრამ წარსული ცხოვრების იგი განძია და შესანიშნავი სიმდიდრე. ეგ სარკე, დღეს დამსხვრეული, მთელ საქართველოს ძველსა და ახალ კუთხე-კუნძულებშია მიბნეულ-მოზნეული. ჩვენ, ჩვენდა თავად, განვიზრახეთ ერთი ნამტვრევის ამოჩხრება ს. წვეაში და შეძლებისა და მოხერხების კვალობაზე ჩაწერა. გაფერვა, გასუფთავება, გასალუქება და თავის ადგილზე ამ ნატეხის გამწყობრვა მიმინდვია შთამომავლობისათვის, როდესაც საქართველოს ყოველი კუთხიდან მოიბოქება ნატეხები ამ ბროლის სარკისა, რომ გაერთიანდეს იგი და შიგ გამოიხატოს მთელი სახე, სურათი, სულიერი ვინაობა და სხ. ჩვენი დიდე-

ბული ერისა. \*) ამ ნამტკრვეს სახელად ვუწოდეთ: „წევური ზვირ-აიტყვაოზა“. იგი დაყოფილი იქნება ასე:

1) პირველი ნაწილი: ჩქარა გამოსათქმელები, ენის მოსატყხელები, ანეკდოტები, ქაჯურები და სხვ.;

2) მოსწრებული სიტყვები, ზმები, ამიციანები და სხ.;

3) გამოციანები;

4) ანდაზები;

5) არაკები;

6) გარდმოცემანი;

7) ლექსები: ა) საარშიყონი, ბ) ისტორიულნი, ვაშ-კაცურნი და სხვ.; გ) დარიგებითნი, დ) საგალობელნი, სასიმღერონი და სხ., ე) დაცინებითნი, ვ) სახუმარონი, გასართობნი, საოხუნჯონი, ზ) შელოცვანი;

8) ზღაპრები: ა) სახუმარონი, ბ) ზნეობითნი, გ) დარიგებითნი, დ) ამიციანურნი და სხ.

---

\*) ძალიან საჭიროა მოგროვდეს ყოველი სოფლის ზვირ-სიტყვაობა თვისის ვარიანტებით. ამით შეიძლება გავიგოთ, თუ რომელ სოფლებში შემოსულა სავა-და-სსვა ჯურის ხალხის და ერის თესლი და აქედან მივიკვლიოთ ძირითადი ქართველნი და მათი გვარები. ამისათვის საჭიროა ყოველი ჩასალა შეუდარდეს იმ ხალხთა ზვირ-გარდმოცემათ, რომლის ელემენტებიც ქართულ ერს შერევია. ეს არის საჭირო ნამდვილი ქართული ენის, ძირითადი ქართული ნიკის ღონის ასახსნელად, იმის შესატყობად, თუ რა ზედ-გავლენა იქონიეს ამ ელემენტებმა ქართულ ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებაზე, ენაზე და სხვ.



შაზახი გაყაზახდება, ყაზახს უყაზახესია.

შენი ჩიტი, სკვინჩა ჩიტი, ჩემსა ჩიტსა სკვინჩა ჩიტსა სირაჯასა რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ესირაჯსკვირასკვინჩიტებოდა?

შენი ცხვარი რქა-გრეხილი, ჩემსა ცხვარსა რქა-გრეხილსა, ქედლილასა რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ექედლილ-რქა-გრეხილებოდა?

მართსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა შარშან წინ, შარშან და წრეულ ბალი გაჭკონდ-გამოჭკონდა.

სარტყელი მივირტყ-მოვირტყი, მორტყმული დავიარები.

ძალღსა დანა დავუქნიე, დავაცილე, ყელში ვეცი. ტყემალზე შევედი; მივიტყემლე-მოვიტყემლე, ძირს ჩამოვედი.

თეთრი თხა, თეთრი თიკანი გავიყვანე თეთრაწყაროს—გაკათხათეთრე.

ქატა კნავილა, ჩხავილა წრუწუნ-წრიპინით აწრიპინ-ახრამუნებდა:

\*) ჩქარა გამოსათქმელება გარდა იმისა, რომ ენის-გასტყელები არიან, არიან შიგა და შიგ სხსუმარონიც. ისეთი სატყეებია ზოგაერთში მოუყანალი, რომ, თუ შესცდა გამოთქმელება, თავს კაიდანძდავს.

### ანექდოტები.

რაჰველ კაცს ჰკითხეს: რას შერება შენი ავად-  
მყოფიო?—ძალიან ავად გახლავსო: არც სვამს, არც  
სკამს, თვალს არ აფახურებსო, არც სუნთქავს, აღარც  
ინძრევია.

—ეგ, ჩემო კეთილო, ავადმყოფი კი არა, მკვდა-  
რი ყოფილა და ველარ გაიგეო?

—ღმერთო, ასე აავსე ჩემი ოჯახიო, სთქვა რაჰ-  
ველმა და გატეხა კაკალი. იმას ეგონა ნებალოთი სახსე  
იქნებო და ფშუტე არ-კი გამოადგა.—ღმერთო, ნუ  
ისმენ ჩემს ვედრებასაო, იყვირა, რაც ძალი და ღონე  
ჰქონდა, და, რასაც კი შეეხვეწა მერე ღმერთს, აღა-  
რასფერი აღარ უსმინა.

ოცი რაჰველი კაცი მიდიოდა გზაში. ორმოცი  
ვერსი გზა ჰქონდათ გასავლელი. დაჯდენ და იანგარი-  
შეს, იანგარიშეს და დაიძახეს ერთ-ხმად: ქვე რა ჩემი  
ფეხებია ორმოცი ვერსი გზა: ოროლი ვერსი შეგვხვდე-  
ბა-კი კაცის თავზედაო. შიარულად ხმაურობდენ: აბა,  
ჰე, ორი ვერსი როგორ დაგვღალავს და გავჰკრათ ხე-  
ლიო!

ბიწაძე წავიდა ორპირში მარილზე. ორპირელ-  
მა მელუქნეებმა უთარეს: კაცო დათესე მარილი და  
თქვენშიდაც მოვაო; ამ სიშორეს რა კუნთები გიძლებს,  
რო დაძანალებო? ბიწაძემ ეს ხუმრობა მართალ რჩე-  
ვად მიიღო და შინ რომ მივიდა ცხრუკვეთში, ახნა მიწა

და ორი საბალნე მარილი ჩათესა შიდ. უყურა და უყურა: სამარგლად ძურწა ბალახის მეტი არაფერი არ ამოყვიდა.

—  
ცოლმა ბიწაძე გაგზავნა წისქვილში და დაუბარა: საქამადს ჩავადგავ და სანამ მოიხარშებოდეს შენც მოდი წისქვილიდან, მოიტანე ნამუშევარი, ჩავიჯენ და გაკმევ სადილსაო. წავიდა ბიწაძე და დაარიგა წისქვილში სიმინდი. ძალიან ბზიალობდა წისქვილი. მოეწონა ამ ბიწაძეს წისქვილის ბუქნა და გუგნა და მეტის-მეტი ალტაცებით დაეხტნა წისქვილის ქვას საკოცნელად; მაგრამ, ვაი მისთანა დახტობას, იმას რომ დაემართა: ცხვირი, ულვაშები, ტუჩები, კბილები—მთელი ღრანტი წაახოხნა წისქვილის ქვამ, გაფრინდა გამწარებული შინისკენ. შორს მომავალ ბიწაძეს დერეფანზე გადმომდგარი ცოლი უყურებდა და მიაძახა სიხარულით ქმარს: შენი სულის ქირიმე, დაფქვი ასე ჩქარა და ის გეგებარდა, რომ იცინიო? იმას ეს სახე წაქლესილი გაცინებული ეგონა. ახლოს რომ მოვიდა და დაინახა ცოლმა, მისთანა დასანახავი თქვენს მტერს! —თუ ქმარს აღარ ჰქონდა სათქმელი ენა-პირი, აღარც ცოლს გაენძრა ენა.

—  
იყო სამი ძმა ბლიაძე, დაანთებდენ ცეცხლს და რომ დაეწოდათ, დაებრაწებოდათ კანკები, შამოიტანდნენ გარედან ცივ ტალახს როფით და გვერდზე მოიდგავდნენ,—ისვავდენ და ისვავდენ ხელით დამწვარ-დაფუთქულ კანკებზე. აქავე, კერიას ძირში წამოყუნცული იყო ძაღლი. ფეხები ცეცხლისკენ ჰქონოდა გადაშვერილი. დაეწო ფეხები ძაღლს და უკან დაიწია. შე-

ხედეს ამ ბლიაძეებმა ძაღლს და სთქვეს, ბიკოს! ჩვენც ისე დავიწიოთ, როგორც ძაღლმა დაიწია უკანაო. ასე და ამნაირად ძაღლმა ასწავლა ბლიაძეებს ჭკუა.

ადგნენ ბლიაძეები, დიდ ხელაიან ურემზე ქალაღდი დააღვლერქეს, შებაგეს ურემში ყვერები და წაიღეს მეფესთან. რომ მივიღნენ სასახლესთან, შეაღეს კიშკარი და შედღნეს სათიბიან ეზოში ხარ-ურემი. გაღმოიხეღა მეფემ სახლიღან და უბრძანა თავის ვეზირებს: ესენი რა კაცები არიან, გაიგეთო. ჩემს ეზოში ჩიტის მეტს ვერავის გაუბეღავს გავღა-გამოვღა და ეგენი როგორ ბეღავენო? მივიღენ ვეზირები და ჰკითხეს ბლიაძეებს: რა კაცები ხართ, ეგ ხარ-ურემი რომ შამოგირეკიათ მეფის სათიბშიო.—ჩვენ, მიუგეს ბლიაძეებმა, არზა მოვართვით ამ ხარ-ურემით ბატონ მეფესაო. მეფის მისართმევი არზა ხომ მძიმე უნღა იყოსო. ეს მოაღსენეს ვეზირებმა მეფეს და მეფემ უთბრა: დასვით და საღიღი აქამეთო,—ერთი ჯამი ხოქოკიები (ნეხვის კიები) მიუტანეთ მეორე ჯამი ხორციო. მიუტანეს. ჩაუჯღღენ იჯრას ბლიაძეები: ჯერ სურიელი შეეკამოთ, თუ არა წავაო და მერე ხორციელიო, თქვეს ერთ-ხმად ბლიაძეებმა და ახადეს სულიერების ჯამს თავი, ხოქოკიები ბზუიღ-ბზუიღით გაფრინღენ—თან გაჰყვენ ბლიაძეები. ახღა იკითხა მეფემ: უმაღ რომელი საკმელი მიიღესო? უმაღ, ბატონო, ხოქოკიებს დაუპირეს შეხრაშუნება, მაგრამ ჯამს რომ თავი ახადეს, გაუფრინღათ ხოქოკიები და თვითონაც თან გაჰყვენო, გაჰყვენ და დაიკარგენ... ხარებს დაჰკრეს და გამორეკეს ეზოღან:—ნამღვიღი სულიელები ყოფიღანო.

ჩ ვ ე ნ ი

# „კრებული“

მეორე წელიწადში გადადგა.

დღემდი ჩვენ უფლება არა გვექონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდევ ალგვითქვეს დახმარება.

**ფასი იზივთ დარჩება:** გაგზავნით ფოსტით 7 მან., გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან., თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

—(ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება).—

**რედაქცია გადატანია და ევირიალაში**

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილა, „კრებული“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.

P. S. ბევრი გვეკითხება, „თავგადასაგლის“ გაგრძელება იქნება თუ არაო. ამ წელში კიდევ დაიბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დამზადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშვილის „კალემოგრაფიული ალბომი“, რომელიც „კრებული“-ს ხელის-მომწერლებს იაფ ფასად დაეთმობათ.

რედაქციაში შესაძენად მოიპოვება წარსული წლის „კრებული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შვიდი მანეთია.